პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მაისი **ოთხშაბათი** 2010
№ 121 (13 109) ფასი 60 თეთრი

## გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

## ლომების მომთმინიერებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| კამერუნი | 0 |



» გვერდი 3

## ვაქციოთ ფინალი საფეხბურთო

## ზეიმად



## გამარჯვების რეცეპტი: მონდომება და გამართლება

ნახევარფინალი » გვერდი 2-3

## ყველა ჯილდო რუსთავში მიდის

### გაზაფხულის მოსავალი მეტალურგების ქალაქში



» გვერდი 4

გუშინ რუსთავში საფეხბურთო და საკალათბურთო ჩემპიონატების გამარჯვებულები - ოლიმპი და ენერჯი/ინვესტი დააჯილდოვეს



უტევს ვიქტორ სანიკიძე

» გვერდი 14

## ქართველთა გაბრწყინება სერია A-ში

# საქართველოს თასი

ფინალი. წინათქმა



თენგიზ ჩიკვილაძისთვის დღევანდელი ფინალი მეხუთეა...

**დინამო** VS **ვიტ ჯორჯია**

26 მაისი
თბილისი.
ეროვნული

17:45

გზა ფინალამდე — დინამო

| | |
|---|---|
| **1/8 ფინალი** | |
| 35-ე სკოლა | 0 |
| დინამო | 1 |
| **1/4 ფინალი** | |
| ჩიხურა | 1 |
| დინამო | 1 |
| დინამო | 0 |
| ჩიხურა | 0 |
| **1/2 ფინალი** | |
| სპარტაკი | 0 |
| დინამო | 0 |
| დინამო | 3 |
| სპარტაკი | 0 |



გზა ფინალამდე — ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| **1/8 ფინალი** | |
| ლოკომოტივი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| **1/4 ფინალი** | |
| ზესტაფონი | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 4 |
| ზესტაფონი | 0 |
| (დამატებით დროში) | |
| **1/2 ფინალი** | |
| მარტვილი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| მარტვილი | 0 |



...ვიტ ჯორჯიასთვის პირველი

# ფაქტები, მოვლენები

**დღეს, საქართველოს თასის საიუბილეო, XX გათამაშების ფინალია! ამ ოცი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, ფინალში თბილისის „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ რომ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა სხვანაირად ვერც იქნებოდა: კლუბის 12-წლიანი ისტორიის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია“ ხომ პირველადაა საქართველოს თასის ფინალში...**

## დღევანდელი მეტოქეები

წლევანდელ სეზონამდე „ვეტერინართა“ საუკეთესო შედეგი თასის გათამაშებაში ნახევარფინალში გასვლა იყო, მაგრამ ხუთივე შემთხვევაში (2001, 2002, 2005, 2006 და 2009 წლებში) „ვიტ ჯორჯია“ ვერაფრით ახერხებდა ფინალამდე მისვლას. და აი, საქართველოს ორგზის ჩემპიონსა და სუპერთასის ბოლო გათამაშების გამარჯვებულს მშვენიერი შანსი ეძლევა, კიდევ ერთი ტიტულიც მოიპოვოს, ტიტული, აქამდე რომ არც ერთხელ მოუგია...

აი, „ვიტ ჯორჯიას“ დღევანდელი მეტოქე კი მართლაც სამართლიანად მიიჩნევა საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბად. იცვლებოდნენ კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, მაგრამ, ყოველი სეზონის დაწყების წინ მიზანი უცვლელი რჩებოდა: ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალური შედეგის ჩვენება! ჰოდა, „დინამოს“ სხვადასხვა თაობა ასევე სხვადასხვა დროს მუდმივად ამტკიცებდა გუნდის მაღალ ამბიციებს; დღეს მხოლოდ სათასო მიღწევებზე ვსაუბრობთ და ისიც, თქვათ, რომ „დინამოს“ შედეგს დიდი ხნის განმავლობაში ვერც ერთი გუნდი ვერ გააუმჯობესებს: ათი ფინალი და ცხრა გამარჯვება! ასე რომ, **კახა კაჭარავას** გუნდს დღეს მშვენიერი შანსი ეძლევა საქართველოს ცამეტგზის ჩემპიონობას თასის ფინალში მეათე გამარჯვებაც მიუმატოს...

კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით „დინამომ“ შარშან შეძლო თასის აღება: ერთი წლის წინანდელი შემადგენლობიდან გუნდში კვლავაც არიან: **გიორგი ლორია, გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, ვაჟა ნემსაძე, ლევან კაკუბავა, ჯორჯ აკირემი, დონალდ ჯუისი** (**მათე ვაწაძეს** ტრავმის გამო არ უთამაშია). ყველა ამ ფეხბურთელისათვის თასის ფინალში პირველი გამარჯვება იყო, სამაგიეროდ, **შოთა კაშიასთვის** იყო მეორე ტრიუმფი - „დინამოს“ მარჯვენაფლანგელმა პირველ წარმატებას 2004 წელს მიაღწია. „დინამოში“ სხვა ფეხბურთელებიც არიან, თასი რომ აქვთ მოპოვებული, ოღონდ, სხვა გუნდის შემადგენლობაში: **გიორგი კახელიშვილმა** ამ წარმატებას 2005 წელს მიაღწია, როდესაც „ლოკომოტივში“ თამაშობდა.

დინამოელთა კიდევ ერთმა ახალწვეულმა **თენგიზ ჩიკვილაძემ** კი დღეს მეხუთე ფინალი უნდა ითამაშოს! „დინამოს“ ამჟამინდელმა მცველმა-გოლიადორმა ფინალში პირველად 2005 წელს ითამაშა - „ზესტაფონის“ შემადგენლობაში, შემდეგ ორჯერ „ამერის“ მაისურში გამოწყობილი გახლდათ, შარშან კი - უკვე როგორც „ოლიმპის“ მოთამაშე. ამ ოთხი ფინალიდან ჩიკვილაძემ მხოლოდ ერთხელ (2007 წელს) შესძლო თასის მოპოვება, შარშანდელი ფინალი კი, ალბათ, დიდხანს ემახსოვრება: „ოლიმპი“-“დინამოს“ მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში რუსთაველი გუნდის ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო 11-მეტრიანის ზუსტად დარტყმა; ბოლო დარტყმას კი სწორედ... თენგიზ ჩიკვილაძე ასრულებდა...

აი, „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობაში მხოლოდ **ბესიკ ჩიმაკაძეა**, ვისაც თასის ფინალში მონაწილეობა აქვს მიღებული: „ამერის“ შემადგენლობაში ერთხელ გამარჯვება იზეიმა, მეორედ კი ფინალისტობას დასჯერდა. დაბოლოს, მწვრთნელებზეც: „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცმა **გელა გომელაურმა** პირველად უნდა გაიყვანოს გუნდი ფინალში, ხოლო კახა კაჭარავა ამას ზედიზედ მეორედ ახერხებს. კაჭარავა-მწვრთნელს უკვე შეუძლია იამაყოს, როგორც საქართველოს თასის მფლობელს.

უილბლობა რომ არა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში მეორე შემთხვევას ვნახავდით, როცა ამა თუ იმ სპორტსმენმა ჯერ ფეხბურთელის რანგში მოიპოვა საქართველოს თასი, შემდეგ კი - როგორც მწვრთნელმა. არადა, 1991-92 წლების სეზონში კახა კაჭარავა „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირი იყო, მაგრამ სწორედ მაისის დასაწყისში ტრავმა მიიღო და 26 მაისს დანიშნული თასის ფინალის გამოტოვება მოუხდა...

## გუნდები

დღემდე საქართველოს თასის ფინალში თერთმეტ გუნდს უთამაშია. რეკორდსმენი თბილისის „დინამოა“ - ათ ფინალში ცხრა გამარჯვება! „დინამო“ ფინალში მხოლოდ ერთხელ (1998 წელს) დამარცხდა - იმდროინდელ „მარადიულ“ სათასო მეტოქესთან ბათუმის „დინამოსთან“. თბილისის და ბათუმის „დინამო“ თასის ფინალში ერთმანეთს ხუთჯერ შეხვდნენ (აქედან, ოთხჯერ - ზედიზედ); სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“, აგრეთვე - „ამერი“ და „ზესტაფონი“.

სულ კი, გუნდების სათასო მონაგარი ასე გამოიყურება: თბილისის „დინამო“ - 10 ფინალი (9 გამარჯვება), ქუთაისის „ტორპედო“ - 5 ფინალი (2 გამარჯვება), ბათუმის „დინამო“ - 5 ფინალი (1 გამარჯვება), თბილისის „ლოკომოტივი“ - 4 ფინალი (3 გამარჯვება), „ზესტაფონი“ - 4 ფინალი (1 გამარჯვება), თბილისის „ამერი“ - 3 ფინალი (2 გამარჯვება), სოხუმის „ცხუმი“ - 2 ფინალი (ორივე წაგება).

თითოჯერ იყვნენ ფინალში: წყალტუბოს „სამგურალი“, რუსთავის „მეტალურგი“, რუსთავის „ოლიმპი“, ბოლნისის „სიონი“ და ლანჩხუთის „გურია“. აქედან გამარჯვება მხოლოდ „გურიამ“ მოიპოვა - საქართველოს თასის სულ პირველ გათამაშებაში სოხუმის „ცხუმს“ დამატებით დროში აჯობა.

## მწვრთნელები

2005 წლიდან საქართველოს თასის გათამაშებას ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის **დავით ყიფიანის** სახელი ეწოდა. აღსანიშნავია, რომ დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით გუნდებს ოთხჯერ მოუგიათ საქართველოს თასი; სამ-



დავით ყიფიანი

ჯერ აქვს მოპოვებული ეს საპატიო პრიზი **რევაზ ძოძუაშვილს**, ორ-ორჯერ - **გივი ნოდიასა** და **გიორგი ჩიხრაძეს**, თითოჯერ - **გიგლა იმნაძეს, შოთა ჭეიშვილს, ჯემალ ხერხაძეს, სერგო კოტრიკაძესა და გია ჯიშკარიანს** (ერთად მუშაობდნენ), **ივო შუშაკს, გია გეგუჩაძეს, ნოდარ აკობიას, თემურ მახარაძესა და კახა კაჭარავას.**

გიორგი ჩიხრაძეს საქართველოს თასის ისტორიაში უნიკალური მიღწევა აქვს: ერთადერთია, ვისაც ჯერ ფეხბურთელის რანგში მოუგია თასი, შემდეგ კი - უკვე როგორც მწვრთნელს. ივო შუშაკი კი ერთადერთი უცხოელი მწვრთნელია, ვისაც საქართველოს თასის გათამაშებაში გაუმარჯვია.

## ლეგიონერები

საქართველოს თასის გათამაშების 20-წლიანი ისტორიის განმავლობაში ფინალურ შეხვედრებში რამდენიმე ლეგიონერს უასპარეზია: **რობერტას ფრიდრიკასს, რიმას მაჟეიკისს** (ორივე - ლიტვა), **ანდრეი პორომშინს** (უკრაინა), **კარლოსს, რამონს, ვიეირას, ჟონატასს** (ყველა - ბრაზილია), **პოლ კესანის, ერნესტ აკუასაგას, ჯორჯ აკირემის** (სამივე - გაბონი), **სერგეი ნუდნის** (მოლდოვა), **დონალდ ჯუისს** (კამერუნი), **დანილო ტომიჩს** (ჩერნოგორია). 2007 წლის თასის ფინალს კი („ამერი“-“ზესტაფონი“) თურქ მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა.

## არბიტრები

ამ ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო, ფინალს უცხოელი მსაჯები რომ წარუძღვნენ. დანარჩენ შემთხვევებში ქართველი არბიტრები მსაჯობდნენ და ამ მხრივ აბსოლუტური რეკორდსმენი **სერგო კვარაცხელიაა** - 6 ფინალი აქვს ნამსაჯი! სამჯერ იმსაჯა **მერაბ მალალურაძემ**, ორ-ორჯერ **ლევან ფანიაშვილმა** და **თამაზ ლაცაბიძემ**, თითოჯერ - **მალხაზ კობიაშვილმა, ოთარ გუნთაძემ, კახა მესხმა, გიორგი ვადაჭკორიამ** და **ლაშა სილაგავამ.**

...2006 წლის ფინალურ მატჩში („ამერი“-“ზესტაფონი“) არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ორივე გუნდის ფეხბურთელებს 11 ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც თასის გათამაშების ისტორიაში სარეკორდოა; სამაგიეროდ, ისეთი ფინალიც ყოფილა (1994 წელს, „დინამო“-“მეტალურგი“), როდესაც არბიტრმა თამაზ ლაცაბიძემ არც ერთი ფეხბურთელი არ გააფრთხილა!

არანაკლებ „უნიკალური“ შედეგია ფინალურ მატჩში გაძევების მხრივაც: წინა 19 ფინალურ შეხვედრაში მხოლოდ ორ ფეხბურთელს უჩვენეს წითელი ბარათი: **ზვიად ჯელაძეს** (1998 წელს) და **გურამ კაშიას** (2009 წელს).

## ფეხბურთელები

საქართველოს თასის გათამაშების აბსოლუტური რეკორდსმენი **ირაკლი ზოიძე** გახლავთ - ცხრა ჩატარებული ფინალი და შვიდი გამარჯვება! არანაკლები შედეგი აქვთ **გივი დიდავას** და **ზურაბ იონანიძეს** - სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში ორივეს რვა-რვა ფინალი აქვთ ნათამაშები (დიდავამ ხუთჯერ გაიმარჯვა, იონანიძემ - სამჯერ).

აღსანიშნავია, რომ დიდავას საქართველოს თასის ფინალში სამი სხვადასხვა გუნდის („დინამო“, „ტორპედო“, „ამერი“) შემადგენლობაში გაუმარჯვია. ასევე სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში უასპარეზიათ ფინალში: **სანდრო ბურნაძეს** („მეტალურგი“, „სამგურალი“, „სიონი“), **სულიკო დავითაშვილს** („ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ამერი“) და **გაგა ჩხეტიანს** („ტორპედო“, „ზესტაფონი“, „ოლიმპი“).

აი, თენგიზ ჩიკვილაძე კი დღეს თავის მეხუთე ფინალს ჩაატარებს და „ზესტაფონის“, „ამერისა“ და „ოლიმპის“ შემდეგ „დინამო“ მისთვის მეოთხე გუნდი იქნება.

## გოლები, ანგარიშები...

დღემდე ჩატარებულ ფინალებში ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0 - ასეთი შედეგით ექვსი მატჩი დასრულდა. სამჯერ დაფიქსირდა 2:1, ორორჯერ - 2:0 და 3:1, ერთხელ კი - 4:2. შვიდ შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო დაინიშნა, ხუთჯერ კი - პენალტების სერიამ გამოავლინა თასის მფლობელის ვინაობა. ყველაზე უხვგოლიანი ფინალი 1992 წლის 26 მაისის მატჩი იყო, როდესაც თბილისის „დინამომ“ ბათუმის „დინამოს“ 4:2 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ბათუმელთა კარში ოთხივე გოლი ძმებმა **არველაძეებმა** გაიტანეს! **რეზომ** ორი გოლი გაიტანა, **შოთამ** და **არჩილმა** - თითო-თითო. აღსანიშნავია, რომ რეზო არველაძის შედეგი დღემდე სარეკორდოდ რჩება - ფინალში დუბლი აღარავის გაუტანია. ასევე სარეკორდოდ რჩება **ბუბა ტყავაძის** შედეგიც: 1990 წლის თასის გათამაშებაში „მრეტების“ მაშინდელმა თავდამსხმელმა მეტოქეთა კარში 18 გოლი გაიტანა.

დაბოლოს, კიდევ ერთ რეკორდსმენზეც - სულიკო დავითაშვილს ფინალურ მატჩებში 3 გოლი აქვს გატანილი („ლოკომოტივის“, „ტორპედოსა“ და „ამერის“ მაისურით).

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

ფინალი. წინასამატჩო პრესკონფერენცია

# გადამწყვეტია მონდომება და გამართლება

დღეს 17:45 საათზე ეროვნულ სტადიონზე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მე-20 გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართება. სეზონის დასკვნითი პაექრობისთვის დედაქალაქური გუნდები - „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ შეეჭიდებიან ერთმანეთს. გუშინ მეტოქე გუნდების მწვრთნელებმა ბოლო ვარჯიშები ჩაატარეს და პრესკონფერენციაც გამართეს. პროფლიგის პრესატაშე მიხეილ აბაიშვილმა თბილისის „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელები - კახა კაჭარავა და გელა გომელაური წარმოგვიდგინა...


კახა კაჭარავა


გელა გომელაური

**- როგორ მოემზადეთ თასის ფინალისთვის, რა განწყობაა გუნდში და რა პრობლემები გაფერხებთ?**

გელა გომელაური: - „ვიტ ჯორჯია“ პირველად არის თასის ფინალში და ამას თავისებური დატვირთვა აქვს. ჩვენი გუნდისთვის ფინალში გასვლა დიდი პატივი და სიხარულია, ამიტომ ორმაგად გახარებულები ვიქნებით, თუ 26 მაისს ამ ჯილდოს მოვიპოვებთ. საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ და ვნახოთ...

კახა კაჭარავა: - თბილისის „დინამო“ ყველა სეზონში ჩემპიონობისა და თასის მოგებას გეგმავს. თუ რატომ ვერ გავხდით ჩემპიონები, ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით... შესაძლოა, ჩემი შეცდომებიც იყო, მაგრამ ფაქტია, ამჯერად მხოლოდ თასისთვის ვიბრძვით. „ვიტ ჯორჯია“ კარგად დაკომპლექტებული გუნდია და ვფიქრობ, დაძაბული და საინტერესო თამაში იქნება... რაც შეეხება პრობლემებს, ამ დროისთვის ხელისშემშლელ მიზეზს ვერ ვხედავ.

**- რას იტყვით შანსებზე და მეორეც - როგორ ფიქრობთ, გამარჯვებულის გამოსავლენად 90 წუთი საკმარისი იქნება?**

კაჭარავა

: - შანსებს თანაბრად ვაფასებ... ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. თუ გამარჯვებისთვის 90 წუთი არ იქნება საკმარისი, დამატებითი დროსაც გავუძლებთ და პენალტების სერიასაც, ამისთვისაც მზად ვართ.

გომელაური: - შანსებს მეც თანაბრად შევაფასებდი, დანარჩენს კი თამაში გვიჩვენებს...

**- ფინალის ბილეთებზე, წყვილში პირველი „ვიტ ჯორჯია“ წერია, არადა, დადგენილია, რომ მასპინძელი „დინამოა“. ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით?**

მიხეილ აბაიშვილი: - ბილეთებზე შეკვეთა მანამდე მივეცით, სანამ ამ წყვილში მასპინძლის გასარკვევად წილისყრა ჩატარდებოდა. ამიტომ, რეგალიებით უფრო მაღალი - ჩემპიონი წყვილში პირველი ჩავწერეთ. მატჩის საშვებსა და სხვა ატრიბუტიკაზე მასპინძელი უკვე „დინამოა“.

გომელაური: - ჩემი აზრით, კარგია, რომ მასპინძლის სტატუსი „დინამოს“ ერგო. ფინალი ეროვნულ სტადიონზე, „დინამოს“ საშინაო არენაზეა და სიმართლე გითხრათ, უხერხულობის გრძნობა დაგვეუფლებოდა, ჩვენ რომ „დინამოს“ გასახდელში შევსულიყავით და მეტოქე - სტუმრებისაში.

**- ამჯერად, თასის მოგებისთვის საპრიზო ფონდი არ არის. ხომ არ ამცირებს ეს ჯილდოსთვის ბრძოლის მოტივაციას?**

კაჭარავა: - ეს დავით ყიფიანის სახელობის თასია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ყიფიანი ჩემთვის და ყველა დინამოელისთვის ლეგენდაა.

გომელაური: - სასურველი იქნებოდა, საპრიზო ფონდი ყოფილიყო, მაგრამ თუ არ არის, ამით არაფერი არ იცვლება და არც ჩვენი გუნდის მოტივაცია მცირდება.

აბაიშვილი: - პროფლიგის ახალ ხელმძღვანელობას ის ვითარება დახვდა, რაც ამჟამად არის. მიმდინარეობს მოლაპარაკება სოლიდურ კომპანიებთან როგორც თასის, ასევე ჩემპიონატის საპრიზო ფონდის შექმნაზე. ჩემპიონატისა და თასის მომდევნო გათამაშება, ფინანსური თვალსაზრისით, უკეთ ჩატარდება.

**- ფინალში რამდენად შეცვლით შემადგენლობას და ტაქტიკურ სიურპრიზებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

გომელაური: - უხერხული კითხვაა და ასე გიპასუხებდით, ჩენთან დიდი ცვლილება არ იქნება.

კაჭარავა: - ისე ვითამაშებთ, როგორც ადრე ვთამაშობდით.

**- შეიძლება ითქვას, სეზონი ორივე ფინალისტმა ჩააგდო და სარეაბილიტაციოდ თასის მოპოვებაღა დარჩა...**

გომელაური: - სეზონის ჩაგდებასთან დაკავშირებით ვერ დაგეთანხმებით, ჩემი პოზიცია რადიკალურად განსხვავებულია. სუპერთასი მოვიგეთ, ევროტურნირზე საასპარეზო საგზური მოვიპოვეთ და თასის ფინალში გავედით. გარდა ამისა, თამაშის ხარისხის მხრივ გუნდი პროგრესს განიცდის, 26 მაისს თასის მოპოვებასაც შევეცდებით.

კაჭარავა: - იყო მიზეზი, რის გამოც ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ. ბევრი ტრავმირებული გვყავდა, გუნდი დატოვა ლიდერმა და ახალი ფეხბურთელების მოძიება დაგვჭირდა...

**- ფინალში გამარჯვებისთვის რა ფაქტორი იქნება გადამწყვეტი?**

კაჭარავა: - მოიგებს ის, ვინც უფრო მონდომებს და ვისაც უფრო გაუმართლებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

ამხანაგური მატჩი

# ლომების მომთვინიერებელი

25.05. ლინცი. დოლომიტენშტადიონი
4 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| კამერუნი | 0 |

საქართველო: რევიშვილი, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, კანდელაკი (89. შაშიაშვილი), მენთეშაშვილი (58. აფციაური), ასათიანი, კობიაშვილი, იაშვილი (76. მერებაშვილი), ანანიძე (59. გელაშვილი), დვალიშვილი (69. ბარაბაძე).

სათადარიგოები: კვასხვაძე, დვალი.

კამერუნი: ნდი ასემბე (46. ტინიემბი), რ. სონგი (46. ჯერემი), ა. სონგი (46. მანჯეკი), ნკულუ (46. მატიპი), ბუკარი, მაკუნი, ნდჯენგი (46. ბასონგი), მავუნგუ (46. ნგუემო), იდრისუ, ვებო (46. ჩედჯუ), კუემაჰა.


ლადო დვალიშვილი
სებასტიან ბასონგის წინააღმდეგ

ახლავე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კამერუნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება, ხოლო „ლომების“ გოლკიპერი **პატრიკ ტინიემბი** - მუნდიალის საუკეთესო გოლკიპერი... მაგრამ ეს ქართველ გულშემატკივარს ნაკლებად აღელვებს, ისევე როგორც არ აინტერესებდა **თემურ ქეცბაიას** გუნდის თამაში ავსტრიის ალპებისპირა დაბა ლინცში შეკრებილ ათობით ჟურნალისტს, რომელთა დაკვირების ობიექტი მუნდიალის მონაწილე კამერუნის ნაკრები იყო. ავსტრიასა და გერმანიაში მცხოვრები ქართველების წყალობით საქართველოს ნაკრებმა თავი შინ იგრძნო, ხოლო ქეცბაიამ მის მეორე ოფიციალურ მატჩშიც არ წააგო, თუმცა ამჯერად ვერ მოიგო - 0:0.

კამერუნი ფიფას რეიტინგში (ახალი რეიტინგი დღეს გამოქვეყნდება) 887 ქულით მე-19 ადგილზეა, ხოლო საქართველო 217 ქულით - 119-ეზე. სხვაობა უზარმაზარია, თუმცა მოედანზე ეს არ ჩანდა და ვერც გამოჩნდებოდა, საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ და პირველი ამხანაგური მატჩი **პოლ ლე გენს** გუნდის შესათამაშებლად სჭირდებოდა, რასაც ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი **სამუელ ეტოოს** არყოფნაც დაემატა. ეს ორი ფაქტორი, პლუს უამინდობა ლინცში გახდა კიდეც იმის მიზეზი, რაც ჩვენ კომპიუტერების ეკრანებთან ვიხილეთ. დიახ, კომპიუტერების, რადგან ქართულმა ტელევიზიებმა მორიგი „ფოკუსი“ ჩაუტარეს გულშემატკივარს...

თემურ ქეცბაიამ ვერ შეძლო საუკეთესოების შეკრება, რადგან გამოძახებულთა ნაწილი არ თუ ვერ გამოცხადდა ნაკრების ავსტრიულ შეკრებაზე. ამ არს თუ ვერ-ს ქეცბაია თამაშის შემდეგ გაარკვევს (როგორც შეგვპირდა). იმედია, ასეც იქნება, რადგან სხვანაირად არ გამოვა აბსოლუტურად არაფერი. კარში საქართველოს მოქალაქეობადაბრუნებული **ნუკრი რევიშვილი** ვიხილეთ, მარჯვნივ „დნიპროს“ მცველი **უჩა ლობჟანიძე** დადგა, მარცხნივ „შტურმის“ ლეგიონერი **ილია კანდელაკი**. დიდი ხნის პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა ზურაბ ხიზანიშვილთან** ერთად დაიბრუნა დაცვის ცენტრში ადგილი. და აი, ქეცბაიას სიურპრიზიც - **ჟირესის** ეპოქის შემდეგ **მალხაზ ასათიანმა** წინ ითამაშა, ოღონდ საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე (მეორე ტაიმში ხიზანიშვილს გაუცვალა ადგილი), ისევე როგორც **ზურაბ მენთეშაშვილმა**, უფრო კრეატიული მისია კი გუნდის კაპიტან **ლევან კობიაშვილს** დაეკისრა. ყოველ შემთხვევაში ინტერნეტით „ნანახმა“ ასეთი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, ფლანგებიდან **ჯანო ანანიძე** (მარცხენა) და **ალექსანდრე იაშვილი** (მარჯვენა) ეხმარებოდნენ შეტევაში ეულად მყოფ **ლადო დვალიშვილს**. მოკლედ, ქეცბაიამ რამდენიმე სიახლე ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე შემოგვთავაზა.

პირველი თამაში ზოგადად რომ შევაფასოთ, ასეთ სურათს მივიღებთ, მეტოქის უპირატესობა შესამჩნევი იყო, მაგრამ ის უფრო ბურთის ფლობაში გამოიხატებოდა და არა რევიშვილის კართან მომენტების შექმნაში. ჩვენები კი აურაცხელ წუნს უშვებდნენ ელემენტარულ გადაცემებში. მატჩის დასაწყისში მალხაზ ასათიანს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლეგიონერმა ვერ დაარტყა ხეირიანად, ფაქტობრივად, გააგორა ბურთი. 39-ე წუთზე კი აშკარა გოლისგან რევიშვილმა გვიხსნა, კობიაშვილის არაზუსტი პასი კამერუნელებმა ჩაჭრეს, მაგრამ რევიშვილმა დაასწრო მეტოქეებს. 44-ე წუთზე მარცხენა კუთხიდან **როსტანდ კუემაჰამ** ჩაუწოდა **ჟან მაკუნს**, რომელიც უბრალოდ აცდა ბურთს. წვიმის აკომპანემენტით მიმდინარე უინტერესო და მოსაწყენი პირველი ტაიმი უგოლოდ მორჩა. მოედნის გარეთ უფრო საინტერესო ამბები ხდებოდა, თუ როგორ გულშემატკივრობდნენ ქართველები გუნდს ტრიბუნებსა თუ იქვე შემაღლებულ მდელოზე და როგორ გაექცნენ კამერუნელთა სათადარიგოები წვიმას თავზე სკამებაფარებულები.

შესვენებაზე პოლ ლე გენმა ერთბაშად 7 ფეხბურთელი შეცვალა. მეორე ტაიმის დასაწყისში მზემ გამოანათა, თუმცა თამაში ჩვეული სცენარით გაგრძელდა. სადღაც მე-60 წუთისთვის კი მატჩში უხილავი, მაგრამ მაინც გარდატეხა მოხდა - ამის შემდეგ კამერუნელთა უპირატესობა უბრალოდ „აორთქლდა“, ხოლო ჩვენები უფრო მწვავედ უტევდნენ. ამას საფუძველი ჯანო ანანიძის გარღვევამ დაუდო, მარცხენა ფლანგზე მან მეტოქეს ბურთი თავზე გადაუგდო და გუნდს სახიფათო ჯარიმის დარტყმის უფლება მოუპოვა. ჯანო ამ ეპიზოდის შემდეგ შეცვალეს, თუმცა **ნიკოლოზ გელაშვილი** კიდევ უფრო კარგად ჩაერთო თამაშში.

61-ე წუთზე მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი შეიქმნა, ლევან კობიაშვილმა მარცხნიდან საჯარიმო ჩააწოდა, კამერუნელთა მეკარე ტინიემბს კი ბურთი ხელიდან გაუვარდა, რომელიც იქვე ჩასაფრებულ ამისულაშვილს მიუვიდა, ქართველი მცველის დარტყმული უკვე ცარიელი კარიდან გამოიტანეს.

71-ე წუთზე ლევან კობიაშვილმა სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. 86-ე წუთზე კი სახიფათოდ შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი მერებაშვილმა** გაისროლა. კამერუნი? საოცარია, მაგრამ „ლომები“ სტატისტის როლს ასრულებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე გამოიღეს ხელი, ჯერ **ჯერემის** მოწოდებულ კუთხურზე დროულად არ გამოვიდა რევიშვილი და **მოჰამადუ იდრისუმ** თავით გადააცილა ბურთი ქართველთა კარს, შემდეგ იგივე ბოლო წუთზე განმეორდა, თუმცა ისეთი აშკარა საგოლე მომენტი არ ყოფილა, როგორც პირველ შემთხვევაში, იდრისუს თავური ამჯერადაც არ იყო ზუსტი - 0:0.

საქართველოს ნაკრების თამაშს თუ კობიაშვილი წარმართავდა და ყველა სტანდარტულს ის ასრულებდა, იგივე ფუნქცია მეორე ტაიმში კამერუნის კაპიტან ჯერემი ნჯიტაპს ეკისრა. რა შეგვიძლია ვთქვათ? როგორც ერთის, ისევე მეორის საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა, თუმცა მოედანზე ისინი კიდევ ძალიან ბევრს სჯობდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ერთი ინფორმაციის გამო

# პრეზიდენტთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს...



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** თანამდებობიდან წასვლას არ აპირებსო, ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა სპეციალური განცხადება გაავრცელა (სტილი დაცულია):

*„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა გამოეხმაურა უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მასმედიის სხვადასხვა საშუალებაში გაჟღერებულ ინფორმაციას მისი შესაძლო თანამდებობრივი გადანაცვლების შესახებ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაზე. ზვიად სიჭინავამ მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი სფფ-ის წესდების შესაბამისად 2009 წლის 1 ოქტომბერს აირჩიეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, ამიტომაც, იგი ამ თანამდებობაზე 2011 წლის ბოლომდე, საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე დარჩება. სფფ-ის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ახლა, ისევე როგორც უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ფედერაციაში სამუშაო ვითარებაა, ამ დროისათვის მიმდინარეობს მზადება საქართველოსა და შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების 30 მაისს გასამართი მატჩისათვის და აქედან გამომდინარე, მედიასაშუალებებში გაჟღერებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“.*

სხვათა შორის, ანალოგიური მოსაზრება გუშინ ჩვენც გამოვთქვით - ფეხბურთის ფედერაციის ნორმალური მუშაობისთვის პრეზიდენტების ხშირი ცვლა სასურველი არ არის. განცხადებიდან კი ჩანს, რომ უახლოეს პერიოდში სიჭინავა არსად წასვლას არ აპირებს. ამდენად, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ განაცხადა რამდენიმე ადრეულ ინტერვიუში, თითქოს, ვადის ამოწურვის შემდეგ ფედერაციიდან აუცილებლად წავიდოდა.

სიჭინავა ფეხბურთში საინტერესო პროექტებით მოვიდა და მართალია, მის განხორციელებას ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ ბევრი მათგანი უკვე რეალურ კონტურებს იძენს: განახლდა ქუთაისის სტადიონი; როგორც იქნა, ბათუმში, ანგისას სტადიონზე, თანამედროვე არენის მშენებლობა იწყება. ლაპარაკია 12-15 ათას მაყურებელზე გათვლილ თანამედროვე სტადიონზე...

სიჭინავას პრეზიდენტობის დროს გადაწყდა, რომ თბილისის მერია სპორტულ ობიექტებზე მიწისა და ქონების გადასახადს შეამცირებდა. ამაზე წლებია, უშედეგოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მხოლოდ ახლა დაადგა საშველი. და კიდევ - კლუბების დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დამოუკიდებლობის შემდეგ მხოლოდ ფუჭი ლაპარაკის საგანი იყო, სიჭინავამ ბიზნესმენებს კონკრეტულ, საქმიან და მიმზიდველ პროექტად წარუდგინა: ფული - კლუბებისა და ინფრასტრუქტურის სანაცვლოდ.

პირველი შედეგები ცნობილია - ნავთობპროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანია „ვისოლი“ მზადაა, ქუთაისის „ტორპედოს“ უპატრონოს. ეს ინფორმაცია პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** პირდაპირ ეთერში გააჟღერა.

როგორც შევიტყვეთ, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელთან“ მიმდინარეობს მოლაპარაკება ზუგდიდის „ბაიას“ აყვანის თაობაზე. ფოთის პორტი კი „კოლხეთის“ შესაძლო პარტნიორად განიხილება.

1990 წლის შემდეგ, როცა ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, ქართულ ფეხბურთში ათასგვარი კომპანიის ჩართვაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგოდ სრულდებოდა. სიჭინავა კი ბიზნესმენია და იცის, ამ სფეროს როგორი წინადადებით მიმართოს. ვფიქრობთ, სწორედ ამის შედეგია, პროექტები კონკრეტულ სახეს რომ იძენს. ყოველ შემთხვევაში, დღეს არსებული ინფორმაციები დამაიმედებელია.

ერთი სიტყვით, „ნაციონალურად“ რომ ვთქვათ, სიჭინავას ფეხბურთში გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს, რევოლუციებითა და მმართველი რგოლის არასტაბილურობით კი გასაკეთებელი ვერ გაკეთდებოდა.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ყველა ჯილდო რუსთავში მიდის

გუშინ რუსთავში დიდი ზეიმი იყო. საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდებმა, „ოლიმპმა“ და „ენერჯი-ინვესტმა“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს. ქალაქური „დუბლი“ გუშინ მერიასთან ლამის ნახევარმა რუსთავმა აღნიშნა...

ფაქტია, საქართველოს ჩემპიონობამ მსგავსი სიხარული 5 წლის წინ მხოლოდ ბოლნისის „სიონის“ გამარჯვებამ გამოიწვია, უფრო ადრე კი ქუთაისი გადაირია „ტორპედოს“ ტიტულით. სამწუხაროდ, მსგავსი ზეიმები თბილისში ვერ ეწყობა. გულშემატკივარი რეგიონებსა და პატარა ქალაქებში გაცილებით აქტიურია...

ქართული „ტრადიციის“ შესაფერისად, საღამო საკმაო დაგვიანებით დაიწყო. მიუხედავად ამისა, ზეიმის მომლოდინე ხალხი რუსთავის გადაჭედილი ცენტრიდან ფეხს არ ძრავდა. კონცერტს ხალისიანად უძღვებოდნენ **ნიკა ლომიძე** და **ხატია შამუგია**, მათ ხალხის აყოლიება შეძლეს. ემოციებმა განსაკუთრებით მაშინ იძალა, როცა მოედანზე გამოჩნდა ღია ავტობუსი, რომელზეც ოქროსმედალოსანი სპორტსმენები იდგნენ და ხალხს ესალმებოდნენ. იყო ამაში რაღაც ევროპული...

რუსთაველებს წარმატება ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდეტმა **ალექსანდრე ჩივაძემ, ჯოზეფ ქეიმ,** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა,** პროფლიგის თავკაცმა **გია ფირცხალავამ** და გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** მიულოცეს და ოქროს მედლებიც ჩამოურიგეს.

გულუხვობით გამოირჩა „ქართული ფოლადი“ - კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **გივი გიგინეიშვილმა** გამოცხადა, რომ პრემიის სახით „ოლიმპს“ 125 ათასი ლარი ერგება, რაც ევროთასებამდე უდავოდ სასურველი საჩუქარია.

*„რუსთავი დიდი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია და ეს სიხარული დაიმსახურა. დიდი ხანია, ფეხბურთში ვარ და ასეთი ამაღლებული განწყობა პირველად ვნახე. ეს ფეხბურთელების, ხელმძღვანელობის, თითოეული ჩვენგანის შრომის დაფასებაა. მახსენდება, გუნდს ოქროს მედლები ბაზაზე მიუგდეს და „ზეიმი“ ამით დაასრულეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ, ასეთ სიხარულს რომ მოვესწარი. საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედალი მისაგდები აღარ არის, ის უდიდეს სიხარულს იწვევს. მერწმუნეთ, ასეთი ზეიმებით ჩვენი ჩემპიონატი ნამდვილად დაფასდება“,* - გვითხრა „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ.**

U 21 — საქართველო-შვეიცარია

# გაბელიამ გაარკვია

30 მაისამდე სულ რაღაც ოთხი დღე დარჩა - ევროპის 2011 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველო შვეიცარიას უმასპინძლებს. **ოთარ გაბელიას** შეგირდებისთვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი დადგა. როგორც ცნობილია, 23 მაისს მთავარმა მწვრთნელმა საგურამოში ნაკრების კანდიდატები გამოსცადა. დღეიდან კი გაბელიას რჩეულები ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ დაბანაკდებიან. გუშინ კი ცნობილი გახდა იმ 22 მოთამაშის სია, რომელთაც გაბელია შვეიცარიისთვის მოამზადებს:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **ალექსანდრე ბენაშვილი, გიორგი ხიდეშელი** (ორივე ზესტაფონი), **ბაქარ მირცხულავა** (ბენფიკა, პორტუგალია), **ლევან კაკუბავა** (დინამო), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია), **ნიკა ხუხია** (ბათუმი), **ლაშა თოთაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა, რუსეთი), **გიორგი განუგრავა** (დიორი ეტო, უნგრეთი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **თორნიკე ოქრიაშვილი** (გაგრა), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი), **ბუბა დაუშვილი** (ზესტაფონი), **ზაქარია ბეგლარიშვილი** (ფლორა, ესტონეთი), **თემურ შონია** (სპარტაკი ცხინვალი);

თავდამსხმელები - **ბექა გოცირიძე** (დნიპრო, უკრაინა), **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **რევაზ ბარაბაძე** (ანჟი, რუსეთი), **მათე ვაწაძე** (დინამო).

თავდაპირველ სიას გამოაკლდნენ თბილისის „დინამოს“ მეკარე **გიორგი ნადირაძე,** „ლოკომოტივის“ მცველი **გიორგი ხატიაშვილი** და „ოლიმპის“ უკანახაზელი **გიორგი რეხვიაშვილი.**

„ბასაში“ საწვრთნელი შეკრება გუშინ 13 საათზე დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეკრების დროს ნაკრების ვარჯიშები ბაზაზევე გაიმართება. გაბელიას გუნდის გენერალური რეპეტიცია ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 29 მაისს, 19:30 საათზე დაიგეგმა.

შვეიცარიის 21-წლამდელთა ნაკრები კი თბილისში 27 მაისის საღამოს ჩამოფრინდება და სასტუმრო „რედისონში“ დაბინავდება. სტუმართა მთავარი მწვრთნელი **პიერ-ლუიჯი ტამი** მხოლოდ მეორე დღეს გეგმავს ვარჯიშს - 28 მაისს, „ლოკომოტივზე“. გენერალური წვრთნა კი მატჩის წინადღეს ეროვნულ სტადიონზე, 18:00 საათზე დაიწყება. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, 30 მაისს მას ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს. თამაში 19:00 საათზეა დანიშნული.




ლეგიონერი

# სად ითამაშებს ჭანტურია?

ბოლო დროს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერ **გიორგი ჭანტურიაზე** ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ორი თვის წინ ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელით სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ დაინტერესდა - ეს სავსებით რეალური ამბავია. კლუბის წარმომადგენელი თბილისს ესტუმრა და შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკება გამართა.

ესპანეთში სეზონი მთავრდება, ჭანტურიას არენდის ვადა ეწურება და მისი ტრანსფერი კიდევ უფრო აქტუალური ხდება. კვლავ ისმის, რომ შესაძლოა, გიორგი „ბარსელონადან“ წამოვიდეს და კარიერა სხვა კლუბში გააგრძელოს. გუშინ კონკრეტული ინფორმაციაც გავრცელდა - გიორგის ჰოლანდიურ კლუბებში, „ეინდჰოვენსა“ და „ტვენტეში“ იწვევენ. ეს ერთ-ერთი ვარიანტია, მაგრამ არა - ერთადერთი და უკვე გადაწყვეტილი.

ეს ის შემთხვევაა, როცა ბევრი რამაა შესაძლებელი - კატალონიიდან მისი წამოსვლაც და დარჩენაც. ჭანტურია ნიჭიერი ფეხბურთელია და მისით ცნობილი კლუბების დაინტერესება ლოგიკურია. გიორგის არა მხოლოდ ჰოლანდიურ, არამედ, ინგლისურ და კიდევ ბევრი სხვა ქვეყნის გუნდში იწვევენ და „ეინდჰოვენი“ ან „ტვენტე“ ჯერ მხოლოდ შეთავაზებაა და არა რეალობა.

ყველა „ბარსელონას“ გადაწყვეტილებას ელოდება. გიორგი „საბურთალოს“ ეკუთვნის და კლუბმა კატალონიაში ერთწლიანი ვადით გაანათხოვრა. იჯარის ვადა ზაფხულში, 12 აგვისტოს იწურება. მანამდე კი უნდა გაირკვეს, „ბარსელონა“ და „საბურთალო“ ხელახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმდებიან თუ არა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „ბარსელონა“ თბილისში მოსალაპარაკებლად თავის წარმომადგენლის გამოგზავნას აპირებს. ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია, კატალონიური გრანდი საფეხბურთო სკოლასთან მოსალაპარაკებლად უცხო ქვეყანაში რომ ჩადის. როგორც ჩანს, საქმე მართლაც სერიოზულადაა...

11 აპრილს გიორგი 17 წლის გახდა და როგორც ვიცით, ახალი ხელშეკრულების შემთხვევაში, სექტემბრიდან კლუბი ქართველ თავდამსხმელს ბინას და მანქანას უქირავებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ „ბარსელონა“ მისი დატოვებითაა დაინტერესებული. თუმცა ჰოლანდიელები მას პირდაპირ მთავარ გუნდში აყვანას უპირებენ. არანაკლებ საინტერესო წინადადებებია სხვა ქვეყნებიდანაც.

ჭანტურია უკვე „ჟუვენილ A-ში“ გადაიყვანეს. დარჩენის შემთხვევაში მას „ბარსელონა B-ში“, ანუ დუბლებში გასინჯავენ. გიორგის სატრანსფერო საკითხებმა მისი საფეხბურთო მიღწევები დაჩრდილა, არადა, აქ ხდება, თუ ხდება - ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე „ბარსელონა ჟუვენილი“ ოქროს მედლების მფლობელი გახდა. დღეს კი გიორგი ახალი ტიტულისთვის იბრძოლებს - „ბარსელონა“ კატალონიის თასის ფინალშია და მორიგი წარმატებისთვის ემზადება...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი ლიგა

XXIX ტური

### კოლხეთი (ხ)–გურია 1:1

1:0 გ. გოგენია (8), 1:1 გოგიბერიძე (58)

კოლხეთი (ხ): ნ. ჯალალონია, ჯაბურია, ჩაჩიბაია, მ. ჟვანია, მ. შონია, ი. კუტალია, დ. სართანია (82. კ. გოგენია), ბეზარაშვილი (85. პ. ქომეთიანი), გ. გოგენია, დ. კუტალია, გოგა გაგუა (70. კ. ალანია).

სათადარიგოები: გელა ლომაია, ი. ქუხილავა, ლ. გოგენია.

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ლატარია.

გურია: ძაძამია, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, კ. ძაგანია, ქურიძე, შენირული, მელიქიშვილი (62. რაზმაძე), კილაძე, ტ. კუკულაძე (89. ნილოსანი), კვერენჩხილაძე (46. გოგიბერიძე), ს. ურუშაძე.

სათადარიგოები: ეზიეშვილი, გ. ჭეიშვილი, წერეთელი.

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე.

გაფრთხილება: ზ. რაზმაძე, ს. ურუშაძე, ი. კუტალია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

### კოლხეთი (ფ)–ჰერეთი 4:0

1:0 შ. ლონლაძე (11), 2:0 დ. სიჭინავა (35), 3:0 დ. სიჭინავა (64), 4:0 დ. სიჭინავა (72)

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია დ. ჭითანავა, შ. ლონლაძე, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, ჯოჯუა (70. გოგონაია), ლ. გვალია, გუჩუა (80. ლემონჯავა), აბურჯანია (65. დ. ქირია), დ. სიჭინავა, ციცხვაია.

სათადარიგოები: გორდეზიანი, გ. ციკოლია, ფარცვანია, ლ. თედიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია.

ჰერეთი: ხურციძე, სამხარაძე, დონდოლაძე, ა. ლაბაძე (46. ნაქაძე), ზ. ფოფხაძე, ნათენაძე, ლ. დათუნაშვილი, ოქრუაშვილი, შ. ლობჟანიძე, მ. მესხი, კ. წვერავა.

მოთამაშე-მწვრთნელი: ზურაბ ფოფხაძე

გაფრთხილება: გუჩუა, ლ. გვალია.

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

XXX ტური

### მესხეთი–კოლხეთი (ფ) 0:2

0:1 აბურჯანია (60), 0:2 აბურჯანია (70)

მესხეთი: რეხვიაშვილი, ყულიჯანიშვილი, ბარძიმაძე, თელიაშვილი, ო. დარჩია (75. ჭადაშვილი), სუდაძე, მურმანიშვილი, პარუნაშვილი (65. ალხიძე), აფრიამაშვილი, თ. გრიგალაშვილი, ქურდაძე.

სათადარიგოები: გვირჯიშვილი, სარაშვილი, ლიპარიშვილი, გევორქიანი, ზვ. ზამბახიძე.

მწვრთნელი: ზიგმუნდ ზილბერშტეინი.

კოლხეთი (ფ): გორდეზიანი, ცხვიტარია, ლ. თედიაშვილი, ფარცვანია, გელაჭეიშვილი, გოგონაია, ჯოჯუა, ლ. გვალია (77. მოისწრაფიშვილი), აბურჯანია, ლემონჯავა (58. ნიქარიშვილი), ციცხვაია (72. გ. ციკოლია).

სათადარიგოები: გ. შენგელია, ა. გეგელია.

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია.

გაფრთხილება: ლემონჯავა, ყულიჯანაშვილი.

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

### ნ/დინამოელი–ტორპედო 0:2

0:1 ი. ცნობილაძე (16), 0:2 ლ. ვაშაკიძე (81)

ნ/დინამოელი: კოდალაევი, მამარდაშვილი (46. ო. გაგნიძე), კაკაშვილი (46. დაბრუნდაშვილი), ტოსტიაშვილი, მერეჩკო, თანიაშვილი (74. ი. გაჩეჩილაძე), ხვთისავრიშვილი, ზვ. კვარაცხელია, ლ. მაჭავარიანი, ლაბარტყავა, ი. ქავთარაძე.

სათადარიგოები: ცინცაბაძე, მაჭარაძე, დ. ბრეგვაძე, ხიტირი

მთავარი მწვრთნელი: ვალერიან გაგუა

ტორპედო: მიგინეიშვილი, ჭანკვეტაძე, ფარულავა, ბიბილაშვილი, ქარქუზაშვილი, ლომაშვილი, ლ. კირკიტაძე (67. ვაშაკიძე), რ. კვერნაძე (71. ხანიშვილი), გ. ჩხეტიანი, მ. ჩხარტიშვილი (82. ხაჭიპერაძე), ი. ცნობილაძე.

სათადარიგოები: ი კუჭუხიძე, ხარებავა, კუხიანიძე, ცაგარეიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გია გიგატაძე.

გაფრთხილება: ტოსტიაშვილი, მ. ჩხარტიშვილი, ქარქუზაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

### მეშახტე–35-ე სკ 2:2

1:0 ა. მეტონიძე (40-პენ), 2:0 შათირიშვილი (54), 2:1 თ. ბახტაძე (58), 2:2 გავაშელიშვილი (83)

მეშახტე: კეჩხუაშვილი, გ. ტორაძე, ვ. ვაჩიბერაძე, გ. სიჭინავა, ბაბუნიძე, რაჟამაშვილი, ჯიშიაშვილი, ა. მეტონიძე (57. კობახიძე), გ. თურმანიძე (46. გ. შველიძე), ბოჭორიშვილი, შათირიშვილი (57. რ. კალანდაძე).

სათადარიგოები: ქალდანი, გუბელაძე.

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე.

35-ე სკ: ი. ხომერიკი, თარაშვილი, ჭაფოძე, ლ. იაშვილი (57. გუჯარაიძე), ეძგვერაძე, ბელთაძე, ბაგაშვილი, ი. არველაძე, გ. ჯელაძე, თ. მეტრეველი (46. გავაშელიშვილი), თ. ბახტაძე (69. ი. უგულავა).

მთავარი მწვრთნელი: კახა გოგიჩაიშვილი

გაფრთხილება: ი. ხომერიკი.

გაძევება: ბაგაშვილი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

### გურია–ჩიხურა 3:1

0:1 მ. მიქაძე (28), 1:1 ტ. კუკულაძე (42), 2:1 ტ. კუკულაძე (79), 3:1 მ. ურუშაძე (87)

გურია: გ. ძაძამია, რ. კუკულაძე, გოგიბერიძე, კ. ძაგანია, ქურიძე (64. ს. ურუშაძე), შენირული, ზ. რაზმაძე (70. ნილოსანი), კილაძე, მელიქიშვილი (74. ვ. ბრეგაძე), კვერენჩხილაძე, ტ. კუკულაძე.

სათადარიგოები: ეზიეშვილი, ბ. წერეთელი, გ. ჭეიშვილი

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე.

ჩიხურა: დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი, ზივზივაძე, გვეტაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ქამუშაძე, ა. ივანიშვილი (70. ენუქიძე), ბ. პეტრიაშვილი (70. ჭილაძე), მ. მიქაძე, სტეფანიშვილი.

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ძინძიბაძე, გ. იაკობაშვილი, ქიმაძე, ნადირაძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე.

გაფრთხილება: ზივზივაძე, გოგიბერიძე, ქამუშაძე, კვერენჩხილაძე, დოლაძე.

გაძევება: ზივზივაძე, სტეფანიშვილი, გოგიბერიძე.

არბიტრი: კ. ჭაჭუა

### მარტვილი–მერცხალი 1:0

1:0 ლ. კუჭუხიძე (64)

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, ჩხიკვაძე, სუხიაშვილი, ფაცაცია, იატრონი, წოწორია, ც. ბუკია (68. ბერუაშვილი), ლ. კუჭუხიძე (65. ხვადაგიანი) ტაპე (84. გიორგობიანი), ამბროლაძე.

სათადარიგოები: ო. ტორაძე, მელიავა, ლარკი, რ. ჯიქია

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

მერცხალი: ლ. ძაგანია, ტუტოიანი, ქათამაძე, ხამაშურიძე, რ. ჭეიშვილი, გ. აკობია, ნაკაიძე (46. ი. ბაჯელიძე), ს. ვ. ჩიგოგიძე, ლ. ჩხაიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ცეცხლაძე.

სათადარიგოები: გ. გოგუა.

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ქათამაძე

გაძევება: ქათამაძე

არბიტრი: მ. გუმბერიძე

### ჭიათურა–კოლხეთი (ხ) 4:2

1:0 ვაშაძე (18), 2:0 ვაშაძე (30), 3:0 სევასტოპულო (36-პენ), 3:1 გ. ბრეგვაძე (49-საკ. კარში), 4:1 ვაშაძე (56), 4:2 ლ. გოგენია (71)

ჭიათურა: ბადურაშვილი (46. დარბაიძე), ტყემალაძე, ჭუმბურიძე, გ. ბრეგვაძე, ცუცქირიძე, გაფრინდაშვილი, ბ. გიორგაძე, დ. ტაბატაძე (67. რობაქიძე), ზ. ნოზაძე (81. ლაშხი), სევასტოპულო, ვაშაძე.

სათადარიგოები: ასანიძე, დ. შეყილაძე, კახნიაშვილი, მეცხოვრიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი

კოლხეთი (ხ): ჯალალონია, ვ. ჯაბურია, ლ. გოგენია, ჩაჩიბაია, მ. შონია (32. ი. კუტალია), გ. გოგენია, ფირცხალავა, კ. ალანია, ცობეხია (42. გელა ლომაია), ბ. ბუკია, ქუხილავა (42. დ. სართანია).

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ლატარია.

გაფრთხილება: დ. ტაბატაძე, გაფრინდაშვილი, ზ. ნოზაძე, სევასტოპულო.

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

### ჰერეთი–IBSU 4:2

0:1 თავბერიძე (15), 1:1 თავბერიძე (59-საკ. კარში), 1:2 ცხოიძე (71), 2:2 მ. მესხი (75), 3:2 კ. წვერავა (81-პენ), 4:2 კ. წვერავა (90)

ჰერეთი: ხურციძე, სამხარაძე, ზ. ფოფხაძე, ნათენაძე, დონდოლაძე, ლ. დათუნაშვილი, ყორღანაშვილი, შ. ლობჟანიძე, თ. ყაველაშვილი (46. აბაშიძე), ი. ტაბატაძე (46. მ. მესხი), კ. წვერავა.

სათადარიგოები: ლაბაძე, ქაჩლიშვილი

მწვრთნელი: ზურაბ ფოფხაძე.

IBSU: ა. ბილიხოძე, მენთეშაშვილი, თავბერიძე, ტეტუნაშვილი, ოდიშარია, გვიჩია, ოკონკვო, გ. გიორგობიანი (79. მაჩალაძე), არახამია, ცხოიძე, ზ. ძაგანია (62. ა. ნოზაძე).

სათადარიგოები: მეფარიძე, თვალავაძე, ბართია, პირველი, გ. კვარაცხელია

მთავარი მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: არახამია, ცხოიძე, ზ. ფოფხაძე, აბაშიძე, კ. წვერავა.

არბიტრი: ი. ურუშაძე

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო 2008 | 28 | 22 | 4 | 2 | 70-12 | 70 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 28 | 19 | 4 | 5 | 63-21 | 61 |
| 3. მარტვილი | 28 | 17 | 2 | 9 | 44-31 | 53 |
| 4. გურია | 28 | 16 | 5 | 7 | 53-32 | 53 |
| 5. ბათუმი | 28 | 15 | 8 | 5 | 44-17 | 53 |
| 6. ჩიხურა | 28 | 14 | 7 | 7 | 41-28 | 49 |
| 7. ნ/დინამოელი | 28 | 9 | 7 | 12 | 45-40 | 34 |
| 8. IBSU | 28 | 9 | 5 | 14 | 38-57 | 32 |
| 9. მერცხალი | 28 | 9 | 4 | 15 | 29-45 | 31 |
| 10. ჭიათურა | 28 | 9 | 3 | 16 | 36-52 | 30 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 28 | 9 | 3 | 16 | 36-58 | 30 |
| 12. მეშახტე | 28 | 6 | 7 | 15 | 36-68 | 25 |
| 13. 35-ე სკოლა | 28 | 6 | 6 | 16 | 30-49 | 24 |
| 14. ჰერეთი | 28 | 6 | 5 | 17 | 27-60 | 23 |
| 15. მესხეთი* | 28 | 7 | 4 | 17 | 26-48 | 22 |

*შენიშვნა: *ახალციხის მესხეთმა ლიცენზირების კომიტეტის დადგენილებით ჩემპიონატი -3 ქულით დაიწყო*

## ინტერვიუ

# ლაშა სალუქვაძე: ქეცბაიას ვერ ველაპარაკე, ჩხეიძემ ყველაფერი იცის...

**კამერუნთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებს ერთბაშად 8 ფეხბურთელი გამოაკლდა, რასაც ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამ ფეხბურთელებს შორისაა რუსეთის ჩემპიონ „რუბინის" მცველი ლაშა სალუქვაძეც. მას საზარდულის ტრავმა აქვს და ამის გამო ყაზანელთა ბოლო მატჩში არ უთამაშია. თბილისში მყოფმა სალუქვაძემ პაუზით ისარგებლა და ცხვირის ოპერაცია გაიკეთა. ლაშას შინ ვეწვიეთ და სანაკრებოს გარდა, სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ.**

**- კამერუნთან მატჩისთვის ნაკრებში იყავით გამოძახებული, მაგრამ გუნდს ტრავმის გამო დააკლდით. ამას გარდა, ცხვირის ოპერაციაც გაგიკეთებიათ. როგორ გრძნობთ ახლა თავს?**

- გეტყვით, რაც იყო ამ ტრავმასა და ცხვირთან დაკავშირებით. ზაფხულის პაუზამდე ბოლოსწინა ტურში „როსტოვი" სტუმრად 2:0 დავამარცხეთ. თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მყესის ტრავმა მივიღე. შეცვლის ლიმიტი უკვე ამოწურული გვქონდა და მატჩი ძლივს ჩავამთავრე. მეორე დღეს რენტგენი გადამიღეს და მყესზე ნახეთქი აღმომაჩნდა. ორი კვირის განმავლობაში არათუ ვარჯიში, სირბილიც კი არ შეიძლებოდა. ბუნებრივია, 14 მაისს ცსკა-სთან მატჩიც გამოვტოვე. კლუბმა იცოდა, ნაკრებში რომ ვიყავი გამოძახებული და თბილისში ფაქსი გამოგზავნეს. ფეხბურთის ფედერაციაშიც ვიყავი და ნაკრების ექიმმაც ნახა ტრავმა... ერთი სიტყვით, ჩემი თამაში გამორიცხული იყო. ჰოდა, ვისარგებლე ამ პაუზით და ცხვირის ოპერაციაც გავიკეთე...

**- რაიმე კონკრეტული მიზეზი იყო?**

- ჯერ კიდევ ზამთარში, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მატჩისას მეტოქემ ცხვირში იდაყვი მომარტყა. მერე ანალოგიური რამ მოხდა რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩშიც... სუნთქვა მიჭირდა და ხშირად პირით ვსუნთქავდი. ექიმთან ვიყავი და მითხრა, ხრტილი გაქვს გატეხილი და თუ არ მიხედე, ცხვირით სუნთქვა გაგიჭირდება, ამან კი შესაძლოა გულზეც იმოქმედოსო. დავუჯერე ექიმს და...

**- ნაკრებს ერთბაშად 8 მოთამაშე დააკლდა. გაბრაზებულ თემურ ქეცბაიას ისიც კი უთქვამს, კამერუნთან მატჩის შემდეგ თბილისში ჩავალ და ვითარებაში დეტალურად გავერკვევი, ვინც ნაკრებში არასაპატიო მიზეზის გამო არ ჩამოვიდა, აღარ გამოვიძახებო...**

- ვინც ჩემი პრობლემა იცის, ის მიხვდება, რომ სერიოზული მიზეზი მაქვს. ეროვნულ გუნდში თამაში ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და როცა კარგ ფორმაში მყოფი ნაკრებში არ გამომიძახეს, ისიც არ დამიმალავს, რომ გული დამწყდა. ამ თემაზე ტელევიზიით იყო სიუჟეტი. მისი ნახვის შემდეგ ვერ მოვისვენე, ფედერაციაში ავედი და ავსტრიაში დაკავშირება ვთხოვე. თემურ ქეცბაიასთან დალაპარაკება არ მოხერხდა, სამაგიეროდ, ვესაუბრე ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ ნიკა ჩხეიძეს და სიტუაცია ავუხსენი. მან მითხრა, რომ ნაკრების მწვრთნელებმა ჩემს საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი იციან.

**- ტრავმის გამო რა პერიოდი გაგიცდებათ? რუსეთის ჩემპიონატი 9 ივლისს განახლდება. ამ დროისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებთ?**

- ტრავმა რომ მივიღე, მეორე დღეს მითხრეს, ორი კვირის შემდეგ მსუბუქი დატვირთვით შეგიძლია ივარჯიშოო. 1 ივნისს „რუბინს" მიუნხენში მოსამზადებელი შეკრება ეწყება და გუნდს სწორედ გერმანიაში შევუერთდები.

**- თქვენი გუნდი ზედიზედ ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი. ამჯერადაც ოქროს მედლებისთვის იბრძვით, თუმცა ჯერჯერობით მესამე ადგილზე ხართ. რამდენად შესწევს „რუბინს" ძალა, ზედიზედ მესამედ გახდეს პრემიერლიგის პირველი გუნდი?**

- ტრავმებმა დიდად შეგვიშალა ხელი - 9 ფეხბურთელი გვყავს დაშავებული.



ამის გათვალისწინებით კიდევ კარგი შედეგი გვაქვს. მეორე ადგილზე ვიყავით, მაგრამ ბოლოს ცსკა-სთან წავაგეთ და გადასწრების საშუალება მივეცით.

**- ჩემპიონობის მოპოვებაზე უფრო რთული მისი შენარჩუნებააო, ნათქვამია. ალბათ, ამ სიტყვების რეალურობა თქვენმა გუნდმაც გამოსცადა...**

- დიახ, ჩემპიონობის შენარჩუნება მართლაც უფრო ძნელია. მეტოქეები ადრე სხვაგვარად გვიყურებდნენ, ახლა კი უფრო დაცვიდან გვეთამაშებიან. აუტსაიდერებთან არაერთი ქულა დავკარგეთ. სხვათა შორის, სტუმრად უფრო უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე შინ, რადგან გასვლით მატჩზე მეტოქე გვიტევს და კონტრშეტევებზე უფრო გვიმარტივდება თამაში.

**- ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- პირველ რიგში „ზენიტს". ადრე პეტერბურგელებს დაცვაში პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ იტალიელმა მწვრთნელმა სპალეტიმ დაატყო ხელი, როგორც იტყვიან, გუნდი დაალაგა და „ზენიტი" ახლა ბევრად უფრო გამართულად თამაშობს. ამიტომაც მივიჩნევ „ზენიტს" მთავარ კონკურენტად. თუმცა ოქროსთვის ცსკა-ც იბრძოლებს, „სპარტაკსაც" დიდი ამბიციები აქვს, თუმცა ჯერჯერობით ვერ ააწყო თამაში... „ლოკომოტივისგან" აშკარად მეტს ველოდი, მაგრამ ქულები დაკარგეს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" ჩამოწერა ნაადრევია.

**- რუსეთში ჩემპიონატი ეკვატორს უახლოვდება და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. წლევანდელი პირველობა უფრო მაღალი დონისაა თუ წინა?**

- შემიძლია ვთქვა, რომ ამ სეზონში უფრო დაძაბული და მაღალი დონის ჩემპიონატია. აუტსაიდერთანაც კი არავის აქვს გარანტირებული მოგება. ნახეთ ალბათ, „ალანიამ" „სპარტაკს" 5:2 რომ მოუგო. მოულოდნელი შედეგი სხვაც არაერთი იყო...

**- „ანჟიში" ნუკრი რევიშვილისა და დავით კვირკველიას გადასვლის შემდეგ „რუბინში" ერთადერთი ქართველი დარჩით. თუმცა შესაძლოა, ერთი თანამემულე დაგემატოთ. „სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ალეკო ამისულაშვილის გადაბირების ერთ-ერთი რეალური მსურველი სწორედ ყაზანის გუნდია...**

- კვირკველია „ანჟიში" ნახევარი წლით გაანათხოვრეს და ალბათ დაგვიბრუნდება. რაც შეეხება ამისულაშვილს, მეც გავიგე მისი შესაძლო ტრანსფერის თაობაზე და... რა გითხრათ, ვნახოთ... თუ ალეკო დაგვემატება, ამას რა აჯობებს?!

**- ჩემპიონთა ლიგა მოიგო „ინტერმა", რომელსაც ამ ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ორჯერ ეთამაშეთ. ჯგუფიდან ფინალამდე „ნერაძურიმ" სერიოზული პროგრესი განიცადა. როგორ იხსენებთ დღეს იმ თამაშებს?**

- ვინც ყაზანში „ინტერთან" ჩვენი თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ ჩვენ მეტი და უკეთესი საგოლე მომენტები გვქონდა, მაგრამ თამაში 1:1 მორჩა, მერე ყველასთვის მოულოდნელად „ბარსას" სტუმრად მოვუგეთ, შინ კი ფრედ ვეთამაშეთ. ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გაგვიჩნდა და საამისოდ, „ინტერთან" სტუმრად ფრეც გვეყოფოდა, მაგრამ იტალიელებსაც სჭირდებოდათ ქულები და სრულიად დამსახურებულად 2:0 მოგვიგეს. მე მგონი, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩემპიონთა ლიგას ღირსეული გამარჯვებული ჰყავს.

**- მაინც რაშია „ინტერის" წარმატების საიდუმლო?**

- პირველ რიგში ეს ჟოზე მოურინიოს დამსახურებაა. არ ვეთანხმები მოსაზრებას, თითქოს, „ინტერი" კონტრშეტევებზე თამაშობდეს. მოურინიო თანაბარ ყურადღებას აქცევს დაცვასაც და შეტევასაც, სათამაშო დისციპლინაც უმაღლეს დონეზე აქვს. წინა ხაზზე მილიტო-ეტო'ოს მრისხანე დუეტი ჰყავს, რომელსაც ეფექტურად ეხმარება სნეიდერი... მითამაშია მათ წინააღმდეგ და საკუთარ თავზე გამომიცდია სამივეს ძალა.

**- ლიგის ფინალში ორივე გოლი დიეგო მილიტომ გაიტანა. როგორ დაახასიათებდით მას?**

- მთელი თამაშის განმავლობაში მოძრაობს და მეტოქის მცველებს მოსვენებას არ აძლევს. მუდმივად გოლზეა დაგეშილი, პოზიციას კარგად არჩევს, ტექნიკურია და ბურთს იშვიათად კარგავს, გოლის ჩინებული ალღო აქვს, ნებისმიერი პოზიციიდან ურტყამს კარში... როცა ფორვარდი უკან იხევს, მცველს უადვილდება თამაში, მილიტო კი სულ წინ მიიწევს და თუ წამით მოდუნდი, შეიძლება, ეს გოლის ფასად დაგიჯდეს.

**- და ბოლო კითხვა: მსოფლიოს ჩემპიონატზე ვის უქომაგებთ?**

- ჯერ არ ვიცი... არგენტინის ნაკრების მიმართ დიდი სიმპათიები მაქვს. ბრაზილიაც რეალურად იბრძოლებს ოქროსთვის... ალბათ, ამ ბრძოლაში ინგლისიც ჩაერთვება.

**დავით ცაბაძე**

## ინფრასტრუქტურა

# ხონში სტადიონს აშენებენ

ქართული ფეხბურთის კრიზისი ის ზღვარი აღმოჩნდა, რომელმაც ყველა მიახვედრა - რადიკალური ზომების გარეშე დამღუპველი პროცესები გაგრძელდებოდა და ეს ჩვენი ფეხბურთი საბოლოოდ დასამარდებოდა. ამიტომაცაა, რომ ბოლო პერიოდში ხელისუფლება საფეხბურთო ინფრასტრუქტურის აღორძინება-განვითარების სურვილს ავლენს. ასეა ქუთაისში, ფოთში, ქვემო და შიდა ქართლში, სამეგრელოში, აჭარაში...

საინტერესო ტენდენციებია იმერეთში. ქუთაისამდე სტადიონი და მის გარშემო მდებარე ინფრასტრუქტურა სამტრედიაში განახლდა. ახლა კი ხონის ჯერია. ხონის „იმერეთის" დირექტორი **ლუკა მანაგაძე** პატარა იმერულ ქალაქში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება.

„იმერეთის" პრეზიდენტი ხონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჭავჭანიძე ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და ხომ იცით, კაცს თუ ეს სფერო უყვარს, გვერდში დაგიდგება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან საკმაოდ ნორმალური დაფინანსება გვაქვს - 90 ათასი ლარი რეგიონალლიგის გუნდისთვის მშვენიერი ბიუჯეტია. პირველ ლიგაში გადასვლაზეც ვფიქრობთ, მაგრამ ვნახოთ, რამდენად მოვახერხებთ. რეგიონალლიგის დასავლეთ ზონაში სადღეისოდ მეორე ადგილზე ვართ და დაწინაურების იმედი ჯერ კიდევ გვაქვს. გარდა კლუბის დაფინანსებისა, შესაძლებელი გახდა კომუნისტების დროს შეჩერებული სტადიონის გარემონტებაც. ამ საჭიროებისთვის, დამატებით 150 ათასი ლარი გამოგვიყვეს და სტადიონის ადმინისტრაციული კორპუსი, გასახდელები, საშხაპეები და მსაჯთა ოთახები მოვაწესრიგეთ. მეორე-მესამე ეტაპებზე მოედნის საფარის მოწესრიგება და 1 500 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნების ინდივიდუალური სკამებით მოწყობაა დაგეგმილი. დავით ჭავჭანიძის გარდა, საქართველოში სხვა თანამდგომიც გამოგვიჩნდა - სასტუმრო „აჭარის" მეპატრონე თემურ უგულავა ფორმებისა და ბურთების შესაძენი თანხით შეგვეწია. „იმერეთს" უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც ეხმარებიან: თურქეთის პირველი ლიგის კლუბ „ორდუსფორის" ერთ-ერთი მენილე, წარმოშობით ქართველი გურამ ქათამაძე და პეტერბურგელი ბიზნესმენი ბადრი კაკაბაძე არიან. მართალია, რეგიონალურ ლიგაში ვთამაშობთ, მაგრამ ხონში გასართობი აღარ დარჩა და ამ ფაქტორის გათვალისწინებითაა, ყველა შეხვედრას 1000-მდე მაყურებელი რომ ესწრება. ერთადერთი გასართობი აქ ფეხბურთია. ბევრი ნიჭიერი ბავშვი გვყავს და ვცდილობთ, სწორ გზაზე დავაყენოთ. მაგალითად, „ზესტაფონში" წავიდა ნიკა ჩიხლაძე, „გაგრაში" - ბიჭიკო გედენიძე... გუნდს ავარჯიშებს დავით ჭელიძე, რომელიც წლების წინ ოდესის „ჩერნომორეცში", „ანჟისა" და თბილისის „მერანში" თამაშობდა", - გვითხრა მანაგაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# მხოლოდ კონტრშეტევა საკმარისი არ არის

**ინგლისი–მექსიკა 3:1**

**ინგლისი:** გრინი (46. ჰარტი), გ. ჯონსონი, კინგი, ფერდინანდი (46. კარაგერი), ბაინესი, ქერიკი (62. ჰადლსტოუნი), მილნერი (85. ა. ჯონსონი), ჯერარდი, უოლკოტი (77. ლენონი), კრაუჩი (46. დეფო), რუნი.

**მექსიკა:** პერესი, როდრიგესი, ოსორიო, სალსიდო, აგილარი (52. ბარერა), ტორადო, მარკესი, ჯოვანი (72. ბლანკო), ხუარესი, ფრანკო (46. ერნანდესი), ველა (62. გუარდადო).

**გოლები:** 1:0 კინგი (17), 2:0 კრაუჩი (34), 2:1 ფრანკო (45), 3:1 გ. ჯონსონი (47)

**მაყურებელი:** 88 638

ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ბოლო საშინაო შეხვედრა ჩაატარა და 3:1 მოიგო, თუმცა ფეხბურთელებმა „უემბლი“ **ფაბიო კაპელოს** რისხვით დაზაფრულებმა დატოვეს. მექსიკის ნაკრების კარში გოლები გაიტანეს **ლედლი კინგმა, პიტერ კრაუჩმა და გლენ ჯონსონმა.** ამ უკანასკნელმა დაახლოებით 20 მეტრიდან დიდებული დარტყმით მიაღწია მიზანს, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოთამაშეებმა იტალიელი თავკაცის გული ვერ მოიგეს. და კიდევ, ინგლისელებს ერთხელაც შეეშინდათ, რომ მათი მთავარი ვარსკვლავი და იმედი **უეინ რუნი** დაშავდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა კოჭისა და საზარდულის მოშუშების შემდეგ პირველად ითამაშა თავიდან ბოლომდე და მოედანი ზურგნატკენმა დატოვა, მაგრამ პრესკონფერენციაზე კაპელომ თქვა, რომ მას არაფერი სჭირს. დაშავდა **სტივენ ჯერარდიც,** რომელსაც თავზე ოთხი ნაკერი დაადეს, თუმცა კაპელო ჯერარდის ნაკერებს კი არა, გუნდის თამაშში ინტენსივობის ნაკლებობას დარდობდა. მოგვიანებით ჯერარდმა თავად განმარტა რას ერჩოდა მათ კაპელო. მან თქვა:

*„მწვრთნელი ჩვენგან მეტ აგრესიას ითხოვს. პირველ ტაიმში მექსიკელები ბურთს ძალიან ხშირად ფლობდნენ, ჩვენ კი ვიდექით და ამის ნებას ვაძლევდით. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ვნვდით ყელში და ძალიან შევავიწროეთ. რასაკვირველია, ამაზე გაცილებით უკეთ თამაში შეგვიძლია. ჩვენი მოქმედებების გასამწვავებლად ჯერ კიდევ გვაქვს დრო“.*

ინგლისელთა პირველი გოლის ავტორმა ლედლი კინგმა დასძინა: *„შესვენებისას მწვრთნელმა ძალიან თვალსაჩინოდ აგვიხსნა, რომ ჩვენ მეტოქეს მჭიდროდ არ ვეთამაშებოდით და ეს მეორე ტაიმში გამოვასწორეთ“.*

ახლა კი საკუთრივ კაპელოს ციტატა მოვიტანოთ. იტალიელმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე თქვა: *„შესვენებისას ფეხბურთელებთან აშკარად სალაპარაკო მქონდა. მე მათ ავუხსენი, რა უნდა ექნათ მეორე ტაიმში. მოწინააღმდეგეები მეტი წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთ, თორემ ყველა მექსიკასავით კი არ ითამაშებს. ჩემთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და არის მეტოქისთვის ბურთის რაც შეიძლება ჩქარა წართმევა. კონტრშეტევების დროს მართლა სახიფათონი ვიყავით, მაგრამ სულაც არ მინდა მხოლოდ კონტრშეტევებზე ვითამაშოთ. მე ინგლისის ნაკრებისგან გაცილებით მეტი მინდა. ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ ავსტრიაში ჩატარებული პირველი შეკრების მიუხედავად, სადაც ორი დღე მართლა გვარიანად დავიტვირთეთ, ცოცხლად არ ვიყავით. მაგრამ, არა უშავს. ჩვენთვის მთავარია სამხრეთ აფრიკაში ჩასატარებელი პირველი შეხვედრა აშშ-ის გუნდთან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თვალნათლივ დამენახა, სად ვართ გრძელი და დამღლელი სეზონის შემდეგ. გუნდის ბრძოლისუნარიანობის გამოსასწორებლად დრო ჯერ საკმარისად გვაქვს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



პიტერ კრაუჩს გააქვს მეორე გოლი მექსიკელთა კარში



კეირუში და რონალდო

# სირცხვილი კუნძულელებთან

**პორტუგალია–კაბო ვერდე 0:0**

**პორტუგალია:** ედუარდო, კარვალიო (46. რ. კოშტა), ფერეირა (68. მიგელი), ალვეში, კოენტრაო, დეკუ (57. დანი), ნანი, ველოზო (46. მეირელეში), მენდეში (57. ტიაგო), რონალდო, ლიდსონი (46. ალმეიდა).

**მაყურებელი:** 6 000

**კარლუშ კეირუშის** გუნდმა გვარიანი სირცხვილი ჭამა - **კრიშტიანო რონალდომ** და კომპანიამ ვერაფერი მოუხერხა აფრიკის სანაპიროსთან მდებარე არქიპელაგის, კაბო ვერდეს (მწვანე კონცხი) კუნძულების გუნდს - 0:0. არადა კეირუშმა ფიფას რეიტინგში 117-ე პოზიციაზე მყოფი გუნდის წინააღმდეგ საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა.

კოვილიის სტადიონზე მასპინძლები აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ეს გატანილ გოლებში არ ასახულა. თავად რონალდომ კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. პორტუგალიის შემდეგი მეტოქე კამერუნია, ეს თამაში 1 ივნისს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# თქვენ გელით... ვუვუზელა

**სამხ. აფრიკა–ბულგარეთი 1:1**

**სამხრეთი აფრიკა:** ხუნე, გაქსა, სანგვენი (46. ნგკონგკა), ხუმალო, ჩაბალალა (78. კალე), მოდისე (68. ტპველა), ხუბონი, პარკერი (46. სიბაია), ლეტშოლონიანე (46. მოკოენა), მორირი (62. ნამვეტე), მფელა.

**ბულგარეთი:** კარადჟოვი (88. რანგელოვი), ვენკოვი, ივანოვი, მანოლევი, სტილ. პეტროვი, ანგელოვი, სტოიანოვი, გეორგიევი (90. ნიკოლოვი), იანევი (60. დიმიტროვი), დომოვჩისკი, პოპოვი.

**გოლები:** 1:0 სანგვენი (20), 1:1 სტოიანოვი (31)

**მაყურებელი:** 25 000

იოჰანესბურგის „სოკერ სიტი სტედიუმზე“ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელმა ვერ შეძლო ამხანაგურ მატჩში ბულგარეთის ნაკრების დამარცხება - 1:1. გულშემატკივრებს ალბათ უპირველესად აინტერესებს, იქნება თუ არა აფრიკის სტადიონებზე ვუვუზელა - სამწუხაროდ, იქნება და ყურთასმენასაც წაიღებს. მისი აკრძალვა ფიფამ ვერ შეძლო, აფრიკელ გულშემატკივრებს კი სხვანაირად სტადიონზე 90 წუთი ჯდომა არ სურთ.

„ბაფანა ბაფანა“ პირველ ტაიმში **სიაბონგა სანგვენის** გოლით დაწინაურდა, მაგრამ 31-ე წუთზე **ივან სტოიანოვმა** გაათანაბრა და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა გუნდი უკეთ თამაშობდა, ანგარიში მეტად აღარ შეცვლილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სანგვენი და ხუმალო ბულგარელთა კარში გოლს ზეიმობენ

# არც ისე გიჟია გიჟი დიეგო

**არგენტინა–კანადა 5:0**

**არგენტინა:** რომერო, ჰაინცე (59. კ. როდრიგესი), ბურდისო, ოტამენდი, მასკერანო (59. ბოლატი), გუტიერესი, პასტორე (74. გარსე), დი მარია, მ. როდრიგესი (46. ვერონი), იგუაინი (68. პალერმო), ტევესი (70. აგუერო).

**კანადა:** ონსტედი, ჰასტინგსი (80. სტრეიტი), სტალტერი, კლუკოვსკი, აინო, იმჰოფი, ლეჯერვუდი (55. პეტერსი), სიმპსონი, დე როსარიო (87. ადემოლუ), ფრენდი (66. ჯექსონი), ჯონსონი.

**გოლები:** 1:0 მ. როდრიგესი (16), 2:0 მ. როდრიგესი (32), 3:0 დი მარია (37), 4:0 ტევესი (63), 5:0 აგუერო (71)

**მაყურებელი:** 52 000

არგენტინის ნაკრები „მონუმენტალზე“ ბრწყინვალე სტილში გამოემშვიდობა საკუთარ გულშემატკივრებს - **დიეგო მარადონას** გუნდმა კანადის ნაკრები 5:0 გაანადგურა. მართალია, კანადა უსუსური იყო, მაგრამ არ შეიძლება დავუკარგოთ დიეგოსაც, მგონი, არც ისე ცუდად არის საქმე არგენტინის ნაკრებში, როგორც ბევრს ჰგონია...

დასაწყისი „ლივერპულის“ ჰავბეკის, **მაქსი როდრიგესის** ბენეფისად იქცა, მან ჯერ საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი **კარლოს ტევესის** პასით იხეირა. ნახევარ საათზე ოდნავ მეტი იყო გასული და „ალბისელესტე“ უკვე 2:0-ს იგებდა. მესამე გოლი განსაკუთრებული სილამაზის გამოვიდა, 37-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან **ანხელ დი მარიამ** ტექნიკური დარტყმით დალაშქრა კანადელთა კარი. ტყუილად არ სურთ დი მარიას შეძენა ტოპკლუბებს, განსაკუთრებით კი „რეალს“.

მეორე ტაიმში ემოციები მოედანზე შედარებით დაცხრა, მეოთხე გოლი კანადელი **ანდრე აინოს** ბავშვურ შეცდომას მოჰყვა, **გონსალო იგუაინმა** კი კარლოს ტევესს გაატანინა. 70-ე წუთზე გოლის ავტორი ტევესი **სერხიო აგუერომ** შეცვალა და რამდენიმე წამში მარადონას სიძემ თავისი გოლი გაიტანა - 5:0. მოკლედ, არგენტინა **ლეო მესის** გარეშეც სერიოზულ ძალად გამოჩნდა და რა იქნება ლეოს დამატების შემდეგ...

*„ბიჭებმა კარგად გაიგეს, რომ ჩვენ არ გვქონდა ამხანაგური მატჩი, ეს იყო საერთაშორისო შეხვედრა. კარგი თამაშით გულშემატკივრები გავახარეთ, გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ კარგად თამაში შეგვიძლია. მათ დავაიმედებ, ჩვენ კიდევ უფრო მეტს შევძლებთ“,* - განაცხადა დიეგომ თამაშის შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიეგო მარადონა

## წინასამუნდიალო ამბები

### ავსტრალიამ სამი დატოვა

ავსტრალიის ნაკრების ჰოლანდიელმა თავკაცმა **პიმ ვერბეკმა** 31-კაციანი შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელი ამოაგდო. მწვანე კონტინენტზე დარჩნენ **სკოტ მაკდონალდი, ჯეიდ ნორზი** და **ნიკ კარლი.** ასე რომ, სამშობლოდან ალპებში 28 ფეხბურთელი გაემგზავრა. ვერბეკი დანარჩენ 5 უილბლოს 1 ივნისს დაასახელებს.

### ბრაუნი საეჭვოა

ახალი ზელანდიის ნაკრების შემტევმა **ტიმ ბრაუნმა** ავსტრალიის ნაკრებთან მატჩის პირველ ტაიმში სერიოზულად დაიშავა მხარი და ახლა მისი თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ეჭვის ქვეშაა. თამაშის მერე სკანირებამ აჩვენა ტრავმის სერიოზულობა. გამორიცხულია, ბრაუნმა ევროპულ ტურნეში სერბეთის, სლოვენიისა და ჩილეს წინააღმდეგ ითამაშოს. **რიკი ჰერბერტი** ბრაუნს დროს აძლევს, რადგან ის გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, თუ არადა შვიდი კაცი სარეზერვო სიაშია. სავარაუდოდ, მას „ველინგტონის“ ნახევარმცველი **კოულ პეველი** შეცვლის თუ დროულად გამოჯანმრთელებას ვერ შეძლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანიის ნაკრები

# ექვსიანების დეფიციტი ბუნდესგუნდში

## როლფესისა და ბალაკის შემდეგ, შტუტგარტელი ტრეშიც დაშავდა და სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრება

ორშაბათ საღამოს, გერმანიის ნაკრებმა, რომელიც ავსტრიაშია შეკრებილი, კლუბ „ზუდტიროლთან" ტესტმატჩი გამართა და 4:0 მოიგო. 1000 მაყურებლის თვალწინ, ანგარიში **პიოტრ ტროხოვსკიმ** (საჯარიმო დარტყმით) გახსნა (37-ე წუთზე). მეორე გოლი ბრემენელი **მესუთ იოზილის** ანგარიშზეა (47). სხვაობა სამამდე შტუტგარტელმა **კაკაუმ** გაზარდა, ხოლო მეოთხე გოლი, ზუდტიროლელმა **ვალტერ ცულომ** საკუთარ კარში გაიტანა.

ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამხანაგურმა შეხვედრამ ბუნდესგუნდს სერიოზული პრობლემა შეუქმნა: საქმე იმაშია, რომ საყრდენმა ნახევარმცველმა **კრისტიან ტრეშმა** ტრავმა მიიღო და როგორც გაირკვა, ლაზარეთში მინიმუმ 6 კვირა უნდა გაატაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრეში სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრება. მართალია, ტრეში გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრი არ არის, მაგრამ მისი ტრავმა ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვისთვის** დიდი პრობლემაა, რადგან შტუტგარტელის სახით, იოგიმ კიდევ ერთი საყრდენი ნახევარმცველი დაკარგა. როგორც იცით, მუნდიალზე ვერც **მიხაელ ბალაკი** და **სიმონ როლფესი** იასპარეზებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძახებული ფეხბურთელებისგან, ლიოვის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ნომინალური ჩამშლელი შუახაზელია: **სამი ხედირა.**

ზემოთ ხსენებული მოთამაშეების ტრავმების გამო, ტრეშს მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში მოხვედრა განაღდებული ჰქონდა. ეს ლიოვის ასისტენტმა **ჰანსი ფლიკმაც** დაადასტურა. მხოლოდ ერთი ნომინალური საყრდენი მუნდიალისთვის ძალიან ცოტაა. ორი აზრი არ არსებობს: ძირითად შემადგენლობაში, ნახევარდაცვის ცენტრში **ბასტიან შვაინშტაიგერი** და ხედირა ითამაშებენ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ შემცვლელები სჭირდებათ. ამ ეტაპზე კი, მათ გარდა, განაცხადში არც ერთი ნომინალური საყრდენი არ არის. ამ პოზიციაზე თამაში შალკელ **ჰაიკო ვესტერმანსაც** შეუძლია, მაგრამ ის პირველ რიგში მცველია და ლიოვსაც დაცვაში სჭირდება. შესაბამისად, ალბათ ლოგიკურია ის, რომ იოგიმ და მისმა თანაშტაბელებმა ნაკრებში ახალ საყრდენს უნდა უხმონ, მაგრამ ფლიკის თქმით, ბუნდესმწვრთნელი რომელიმე სხვა „ექვსიანის" გამოძახებისგან თავს იკავებს. ხოლო კითხვაზე, შეიცვლება თუ არა ამ მხრივ რამე საბოლოო შემადგენლობის გამოქვეყნებამდე, ფლიკმა ასე უპასუხა: *„მოდით, პირველ ივნისს დაველოდოთ."*

### იქნებ მაინც ფრინგსი?

ტრეში თანაგუნდელებს გუშინ გამოეთხოვა და გერმანიაში გაემგზავრა. ცხადია, ახლა კიდევ უფრო გაიზრდება ზეწოლა ლიოვზე - გულშემატკივრები მას ნაკრებში **ტორსტენ ფრინგსის** დაბრუნებას სთხოვენ, რისგანაც იოგი თავს იკავებს და რადიკალურია. შესაძლოა, ლიოვი ამ საკითხზე მაინც დაფიქრდეს, რადგან ფაქტია, რომ საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება. მართალია, ამ პოზიციაზე თამაშის გამოცდილება, ვესტერმანის გარდა, **ფილიპ ლამს** და **დენის აოგოსაც** აქვთ, მაგრამ ეს არ არის ხეირიანი გამოსავალი. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ გერმანიის ნაკრების წინასწარი სამუნდიალო შემადგენლობა 25 ფეხბურთელამდე შემცირდა და პირველ ივნისამდე, ამ განაცხადიდან ლიოვმა კიდევ ორი ფეხბურთელი უნდა ამოშალოს.


კრისტიან ტრეში მოედნიდან ასე გაიყვანეს

### ბუნდესგუნდს ბაიერნელებიც შეუერთდნენ

გუშინ, ბუნდესგუნდს „ბაიერნის" რამდენიმე ფეხბურთელიც შეუერთდა: **მიროსლავ კლოზე, მარიო გომესი, თომას მიულერი** და **ჰოლგერ ბადშტუბერი.** ლამს, შვაინშტაიგერსა და **ჰანს-იორგ ბუტს** ლიოვი დღეს ელოდება.

ჰამბურგი


არმინ ფეე
უმუშევარი ალარ არის

# ფეე ჩრდილოეთში, გერეროც რჩება

## ჰამბურგის ბოსებმა ახალი ვერაფერი მოიფიქრეს...

**არმინ ფეეზე** ვერავინ იტყვის, მაინცდამაინც წარმატებული მწვრთნელიაო. ამ სპეციალისტმა გასულ სეზონში „ვოლფსბურგშიც" დაამტკიცა, რომ დიდი ვერაფერი ხვითოა - ჩემპიონი გუნდი ჩააბარეს და მის ხელში „ვოლფსბურგმა" უდიდესი რეგრესი განიცადა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გუშინდლამდე კიდევ ერთი ამბიციური გერმანული კლუბი „ჰამბურგი" უმწვრთნელოდ იყო და როგორც უკვე ხვდებით, ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა ახალი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, გუნდი ფეეს ჩააბარეს. არადა, რამდენს ტრაბახობდნენ, საგაისოდ ყველაფერი კარდინალურად შეიცვლება, მაგარი მწვრთნელი გვეყოლებაო. ახლა კი ისე გამოდის, რომ „ჰამბურგი" ისევ იმ გზას მიჰყვება, რომელმაც წარმატება არ მოუტანა. **ბრუნო ლაბადიამ** HSV-ში მხოლოდ ერთი წელი გაძლო. საერთოდ, ბოლო 5 წელიწადში ამ გუნდმა 5 სპეციალისტი გამოიცვალა და არა გვგონია, რომ ტრადიცია ფეემ დაარღვიოს. ტყუილად კი არ ყვიროდნენ გუნდის ქომაგები, პრობლემა არც მწვრთნელშია და არც ფეხბურთელებში, მთავარი ბოსი **ბერნდ ჰოფმანია** მოსახსნელიო... მწვრთნელად ერთად, „ჰამბურგს" ახალი სპორტული დირექტორიც ჰყავს: ყოფილი ფეხბურთელი **ბასტიან რაინჰარდტი** (ბუნდესლიგაში 123 მატჩი, 9 გოლი), რომელმაც ერთი წლის წინ გათავისუფლებული **დიტმარ ბაიერსდორფერის** პოსტი დაიკავა.

2007 წელს „შტუტგარტი" რომ გააჩემპიონა, არმინ ფეეს მას მერე ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და სავსებით სამართლიანად, 2007 წლის ჩემპიონობასაც არ უთვლიან დიდ მიღწევად, რადგან მაშინ „შტუტგარტს" ნამდვილად არ ეთქმოდა საჩემპიონო გუნდი და თუ მაინც მოიპოვა „ვერცხლის სინი", მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა კონკურენტი აჭრილი იყო - განსაკუთრებით კი მიუნხენის „ბაიერნი". ფეემ, რომელიც „ვოლფსბურგიდან" შემოდგომაზე გააგდეს, „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააფორმა.

ამასობაში, „ჰამბურგის" ხელმძღვანელები და გუნდის თავდამსხმელი **პაულო გერერო** თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. პერუელი ფორვარდი HSV-ში 2014 წლამდე დარჩება. ამ სეზონში გერერო ძალიან დიდხანს იყო ტრავმირებული, რის გამოც ბუნდესლიგაში მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა (4 გოლი).

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არნაუტოვიჩს ვერდერმაც დაუმიზნა

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის" შემდეგ, მილანის „ინტერის" ავსტრიელ თავდამსხმელ **მარკო არნაუტოვიჩს** ბრემენის „ვერდერმაც" დაუმიზნა. სერბული წარმოშობის 21 წლის ავსტრიელი გასულ სეზონში „ინტერში" ჰოლანდიური „ტვენტედან" იყო განათხოვრებული, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, „ნერაძურის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. არნაუტოვიჩს „ტვენტესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

ბაიერნი

# რუმენიგე: ახალი კონტრაქტი ვან გაალს!

## მიუნხენში ფლანგის მცველს ეძებენ

მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგო, გერმანიის ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ბაიერნს" მიუნხენში ათიათასობით ფანი დახვდა. რეკორდმაისტერის ქომაგებმა საყვარელი გუნდის ფეხბურთელებთან ერთად წარმატებული სეზონის დასრულება იზეიმეს. მიუნხენური კლუბის პრეზიდენტი **ული ჰიონესი** უკვე მომავალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. ული და მისი თანაშტაბელები ტრანსფერებზე მუშაობას უკვე შეუდგნენ. როგორც ირკვევა, „ბაიერნისთვის" ყველაზე პრიორიტეტული ფლანგის მაღალი კლასის მცველის ყიდვაა.

„ზუდოიჩე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰიონესმა დაადასტურა, რომ „ბაიერნი" პირველ რიგში ფლანგის ახალ მცველს ეძებს, ოღონდ იქვე დასძინა, რომ ჯერ არავინ უპოვია. ბავარიელებისთვის ფაქტობრივად სულერთია, რომელი ფლანგის მცველს შეიძენენ, რადგან **ფილიპ ლამს** ორივე ფლანგზე შეუძლია ასპარეზობა. მაგრამ რაკი ამ უკანასკნელს მარცხნივ ურჩევნია თამაში, ჰიონესი და კომპანია პირველ რიგში მაინც მარჯვენა მცველებს აკვირდებიან.

*„თუკი ბრწყინვალე მარჯვენა მცველს ვიპოვით და ვიყიდით, ლამი მარცხნივ გადაინაცვლებს. წარმოიდგინეთ, რა ამბებს დაატრიალებენ მარჯვენა ფლანგზე რიბერი და ლამი?"* - ეიფორიაშია ჰიონესი.

მიუხედავად სპეკულაციებისა, ული პირველ რიგში დღევანდელ ბაიერნელებს აქებს და მიაჩნია, რომ გუნდს დიდად გაძლიერება არ სჭირდება, თუმცა იქვე დასძენს, რომ საქმისთვის ტრანსფერები მაინც საჭიროა. ჰიონესის აზრით, დღევანდელი გუნდის პოტენციალი გაცილებით მაღალია, ვიდრე 2001 წლის „ბაიერნისა" იყო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

*„2001 წელს „ბაიერნმა" მაქსიმუმი გააკეთა და ის იყო დიდი ერის დასასრული. ანდერსონი, ლინკე, პაულო სერჟიო, ლიზარაზუ, მათეუსი, ელბერი და სხვები კარიერის ზენიტში იყვნენ. დღევანდელ გუნდს რომ ვუყურებ, მჯერა, რომ გომესი, ბადშტუბერი, მიულერი, ალაბა, კონტენტო და სხვები გაცილებით მეტს მიაღწევენ,* - აცხადებს რეკორდმაისტერის პრეზიდენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ მაშინდელი გუნდი უფრო მებრძოლი იყო, დღევანდელი კი უფრო სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, - *თუ ვან გაალი ამ გზას არ გადაუხვევს, ვფიქრობ, აქვს შანსი, ბრწყინვალე ერა შექმნას. ფაქტია, რომ ამაზე უკეთესი სამუშაო პირობები ლუისს სხვაგან არსად ექნება."*

ფაქტია, რომ შარშან ზაფხულში „რეალიდან" შეძენილმა **არიენ რობენმა** იმედები მაქსიმალურად გაამართლა. „ზუდდოიჩე ცაითუნგის" ჟურნალისტმა ჰიონესს გაახსენა ის, რომ ჰოლანდიელი გარემარბი მადრიდიდან პირველ რიგში იმის გამო გაუშვეს, რომ ხშირად იღებდა ტრავმას. კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა ულიმ მაშინ მუდამ ტრავმირებული რობენის ყიდვა, ჰიონესმა ასე უპასუხა: *„პირველ რიგში იმიტომ, რომ ვან გაალი მას ძალიან კარგად იცნობდა და ასი პროცენტით დარწმუნებული იყო არიენის შესაძლებლობებში. ესეც რომ არ იყოს, ფაქტია: ჩვენს მთავარ ექიმს, დოქტორ მიულერ-ვოლფარტს „ჩელსის" ან „რეალის" სამედიცინო შტაბში რომ ემუშავა, რობენი მადრიდში და ლონდონში გაცილებით იშვიათად იქნებოდა ტრავმირებული."*

ზემოთ პრეზიდენტ ჰიონესის მოსაზრებები გაგაცანით. ახლა კი ვნახოთ, რას ფიქრობს სამომავლოდ „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე.** კალეს უპირველესი იდეა ის არის, რომ რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი ვადამდე ადრე უნდა გააგრძელოს. ჰიონესი და რუმენიგე ჰოლანდიელი სპეციალისტის მუშაობით იმდენად კმაყოფილები არიან, რომ სურვილი გამოთქვეს, ვან გაალს ახლავე ახალი ხელშეკრულება გაუფორმონ. არადა, ლუისის კონტრაქტს ვადა ისედაც 2011 წლამდე აქვს.

*„ლუისის მუშაობის სტილით და შედეგებით უაღრესად კმაყოფილები ვართ. საკმარისია, მხოლოდ ერთი სიგნალი და ჩვენ მზად ვიქნებით, ვან გაალს ახალ კონტრაქტზე დაველაპარაკოთ - რა თქმა უნდა, გაუმჯობესებული პირობებით,"* - უთხრა რუმენიგე „ზუდოიჩე ცაითუნგს". მან და ჰიონესმა ვან გაალს უკვე შეუსრულეს ერთი თხოვნა: მომავალი სეზონიდან, ლუისის სამწვრთნელო შტაბს მისი ყოფილი ასისტენტები, **მარსელ ბუტი** და მეკარეების მწვრთნელი **ფრანს ჰუკიც** დაემატებიან.

უკვე გადაწყვეტილია, რომ „ბაიერნში" **ტონი კროოსი** და **ბრენო** დაბრუნდებიან. პირველი „ლევერკუზენში" იყო განათხოვრებული, მეორე კი „ნიურნბერგში". რუმენიგე სატრანსფერო ბაზარზე გრანდიოზულ აქტიურობას გამორიცხავს და ამბობს, რომ „ბაიერნი" არასდროს მოიქცევა ისე, როგორც შარშან მადრიდის „რეალი" მოიქცა. თუმცა კალე არ გამორიცხავს იმას, რომ რეკორდმაისტერმა წელსაც გაისროლოს დაახლოებით 25 მილიონი ევრო ახალ ფეხბურთელში. როგორც იცით, შარშან ბავარიელებმა არიენ რობენი სწორედ 25 მილიონად შეიძინეს. თუმცა რუმენიგე დასძენს: *„თუ ფულს დავხარჯავთ, მხოლოდ ისევე მიზანმიმართულად, როგორც ეს რობენის ტრანსფერის შემთხვევაში მოხდა."*

დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ თითქოს „ბაიერნი" **მარიო გომესის ედინ ჯეკოში** (ვოლფსბურგი) გაცვლას აპირებდეს (ცხადია, ფულის დამატებით), მაგრამ ეს ინფორმაცია გომესმა კატეგორიულად უარყო. მარიომ თქვა, რომ ასეთ რამეს არასდროს დათანხმდება და რომ მომავალ სეზონსაც აუცილებლად „ბაიერნში" გაატარებს.


კარლ-ჰაინც რუმენიგე და ლუის ვან გაალი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

მილანი

# გაზპრომმა მილანის კარზე დააკაკუნა

გუშინ „გაძეტა დელო სპორტმა“ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. ავტორიტეტული გამოცემა იუწყება, რომ „მილანის“ მფლობელი კომპანია „ფინინვესტი“ აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „გაზპრომთან“. საქმე „როსონერის“ აქციების 25-30%-ის რუსული კომპანიისთვის მიყიდვას ეხება. ამ დროისთვის, კლუბის აქციების სრულ პაკეტს სწორედ **სილვიო ბერლუსკონის** „ფინინვესტი“ ფლობს, რომელიც უკვე ათწლეულებია კლუბის ერთადერთი მმართველია. ბერლუსკონიმ რამდენჯერმე განაცხადა, არ არის გამორიცხული კლუბი გავყიდოო, თუმცა როგორც ჩანს, „მილანის“ მთლიანად დათმობას, აქციების ნაწილის გასხვისება ამჯობინა.

ჩვენი იტალიელი კოლეგების მტკიცებით, გარიგების სანაცვლოდ „მილანში“ 150-180 მილიონ ევრომდე ჩაიდება და თანხის უდიდესი ნაწილი ტრანსფერებს მოხმარდება. ბუნებრივია, „გაზპრომი“ კლუბის მთავარი სპონსორის სტატუსით ისარგებლებს. მოგვიანებით, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი რუსული კომპანიის წარმომადგენელმა **სერგეი კუპრიანოვმა** გააკეთა:

*„ჩვენი კომპანიის სახელი საფეხბურთო სამყაროში კარგად არის ცნობილი, რაც ძალიან გვახარებს. შემიძლია დავადასტურო, რომ მომავალში კიდევ უფრო გააქტიურებას ვაპირებთ. რაც შეეხება „მილანს“, დღესდღეობით არავითარი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. შესაძლოა, ასეთი აზრი გაჩნდა და კაბინეტებში განიხილება, მაგრამ მოლაპარაკებამდე საქმე ნამდვილად არ მისულა. მით უმეტეს, ყველანაირი შეთანხმება ამ ეტაპზე უბრალოდ გამორიცხულია“.*

მიუხედავად კუპრიანოვის ასეთი განცხადებისა, „გაძეტა“ თავისას არ იშლის - გინდათ თუ არა, „მილანს“ მალე ახალი აქციონერი ეყოლებაო. ვნახოთ, თუ რაიმე შეიცვალა, აუცილებლად შეგატყობინებთ.

## გალიანი: ალეგრი? ჯერ მხოლოდ კანდიდატია

„მილანზე“ საუბარი სამწვრთნელო თემით გავაგრძელოთ. იტალიელმა ჟურნალისტებმა **მასიმილიანო ალეგრი** პრაქტიკულად „როსონერის“ მთავარ მწვრთნელად გამოაცხადეს, რაც **ადრიანო გალიანის** მაინცდამაინც არ მოეწონა. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა მასმედიის საშუალებებს მოთმინებისკენ მოუწოდა და ჟურნალისტებს სთხოვა, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებენ. აი, რას ამბობს სინიორ ადრიანო:

*„ალეგრი ერთ-ერთი კანდიდატია, ამის დადასტურება შემიძლია, მაგრამ რაიმე შეთანხმებაზე საუბარი დღეს აბსურდია. ალეგრი ძალიან კარგი სპეციალისტია და არ გამოვრიცხავ, რომ არჩევანი მასზე შეჩერდეს, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებ, რომ მწვრთნელი უთუოდ ის იქნება. საბოლოო სიტყვა სილვიო ბერლუსკონიმ უნდა თქვას, რომელიც მთელი ენერგიით არის ამ პროცესში ჩართული. მასიმილიანოს უკვე შეხვდა და ძალიან დადებითაც განეწყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებთან გასაუბრებაზე უარს იტყვის. დღეს, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია გადაჭრით - ფილიპო გალი მომავალ სეზონშიც პრიმავერას გაწვრთნის, მისთვის მთავარ გუნდში მუშაობა ჯერ ადრეა. ახალგაზრდებს კი შესანიშნავად თავკაცობს და ჩვენი სურვილია, რომ ამ საქმით იყოს დაკავებული. რაც შეეხება მაურო ტასოტის, დიდია შანსი, კვლავ ასისტენტის როლი დაეკისროს, თუმცა მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად ისიც განიხილება. ასე რომ, ნუ ვიჩქარებთ და მასიმილიანო ალეგრის ჯერ ნუ გამოვაცხადებთ „როსონერის“ მთავარ მწვრთნელად“.*



წავა სილვიო ბერლუსკონი რუსებთან გარიგებაზე?

მწვრთნელი



რომელ გუნდს ჩაიბარებს სინიშა მიხაილოვიჩი?

# სინიშაზე გაციაობაა

მოკლედ, დღე არ გავა, რომ **სინიშა მიხაილოვიჩთან** დაკავშირებით ახალი ინფორმაცია არ გავრცელდეს. ჯერ იყო და, ლამის „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად გამოაცხადეს, შემდეგ „ჯენოას“ დაუკავშირეს მისი ბედი, გუშინდელი ინფორმაციით კი დიდია შანსი „ფიორენტინას“ ჩაუდგეს სათავეში. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, სინიშა ფლორენციული კლუბის სპორტულ დირექტორ **პანტელეო კორვინოს** შეხვდა და შესაძლო თანამშრომლობაზე ისაუბრა. ამბობენ, შეხვედრამ კონსტრუქციულად ჩაიარა და თუ ასე გაგრძელდა, შეთანხმებაც მალე შედგებაო. აქვე შეგახსენებთ, რომ **ჩეზარე პრანდელიმ** პრაქტიკულად მიაღწია შეთანხმებას ფედერკალჩოსთან და მუნდიალის შემდეგ იტალიის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. დავუბრუნდეთ მიხაილოვიჩს, რომელმაც ჟურნალისტებთან შემდეგი განაცხადა:

*„სიცილიაში გატარებული პერიოდი ყოველთვის კარგად გამახსენდება, მაგრამ დადგა დრო, ახალი გამოწვევა მივიღო. სიმართლე გითხრათ, დღეს წარმოდგენა არ მაქვს, სად გავაგრძელებ კარიერას. მოლაპარაკებები არაერთ კლუბთან მიმდინარეობს და წესით, რამდენიმე დღეში გარკვეული კონტურები უნდა გამოიკვეთოს. „ინტერი“? - მილანელებთან მქონდა კონტაქტი, მაგრამ ჯერჯერობით ამის იქით საქმე არ წასულა. როცა ვამბობ, მოლაპარაკებების პროცესში ვარ-მეთქი, „ინტერს“ არ ვგულისხმობ. თუ „ნერაძურის“ მესვეურები გააქტიურდებიან და ჩემთან შეხვედრას მოისურვებენ, ეს მხოლოდ გამახარებს. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს“.*

მიხაილოვიჩზე იმდენად დიდი მოთხოვნაა, რომ დაჰკრა ფეხი და „კატანია“ თავისი ინიციატივით დატოვა. როგორც ჩანს, სერბი დარწმუნებულია, რომ საინტერესო წინადადებები არ მოაკლდება. თუმცა სინიშას ახალი სამსახურისთვის ჯერ ვერ მოიცლის - მამა გარდაეცვალა და დროებით სამშობლოში დაბრუნდა...

ინტერი

# მორატის ამაო მცდელობა

## კანდიდატი ხუთია, პრეზიდენტს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია



მასიმო მორატიმ ჟოზე მოურინიო ვერ დაარწმუნა...

**მასიმო მორატიმ** ვერ მოისვენა და **ჟოზე მოურინიოს** მაინც შეხვდა. ვფიქრობთ, თვითონაც არ სჯეროდა, რომ ამ შეხვედრით რამეს შეცვლიდა, მაგრამ ტიფოზებს მაინც ეტყვის - რა ვქნა, მე ცდა არ დავაკელიო. საქმიანი ვახშამი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან პორტუგალიელი შეუვალი გახლდათ - ის „რეალში“ მიდის. განბილებულმა მორატიმ იტალიელ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*„შევხვდი, რათა მისი საბოლოო პოზიცია გამეგო და ჩვენს შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე მელაპარაკა. სამწუხაროდ, მან მყარად გადაწყვიტა „ინტერიდან“ წასვლა და უძლური ვარ, აზრი შევაცვლევინო. ძალიან მწყდება გული, რომ ჩვენი თანამშრომლობა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ ფაქტი სახეზეა და უნდა შევეგუოთ. ვის ჩავაბარებ გუნდს? - დღეს კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ საკითხზე ფიქრისთვის არ მეცალა. დავსხდებით, ყველაფერს კარგად ავწონდავწონით და ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც კლუბის განვითარებას შეუწყობს ხელს. „ინტერი“ ისეთ მწვრთნელს უნდა ჩავაბაროთ, რომელიც გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. შესაძლოა, ეს ბევრს უტოპია ჰგონია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მოურინიო დიდებული სპეციალისტია და ჩემზე უკეთ ეს არავინ იცის, მაგრამ შეუცვლელი ნამდვილად არ გახლავთ“.*

თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, მოურინიოს შემცვლელად ხუთი კანდიდატურა განიხილება - **რაფაელ ბენიტესი, ფაბიო კაპელო, სინიშა მიხაილოვიჩი, გუუს ჰიდინკი და პეპ გვარდიოლა**. ამათგან, დღეს მხოლოდ მიხაილოვიჩია თავისუფალი და შესაბამისად, მისი შანსები ყველაზე დიდია.

იუვენტუსი

# უკონტრაქტო კაპიტანი: კანავარო საჭირო აღარ არის?

„იუვენტუსში“ მოსალოდნელ რეფორმებზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მხოლოდ ფეხბურთელთა განცხადებებს ვისმენთ, რომლებიც გაურკვევლობაში არიან და ცდილობენ, მათი კარიერისთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. სწორედ ასეთ სიტუაციაშია **მაურო კამორანეზი**, რაც მისი პირადი აგენტის სიტყვებიდან კარგად ჩანს:

*„ტურინული კლუბის მესვეურებთან დაახლოებით ერთი თვის წინ მქონდა საუბარი და მაშინ მკაფიოდ მითხრეს, რომ ჩემს კლიენტთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებდნენ. შესაბამისად, ახალი კლუბის ძიება დავიწყეთ და მალევე, არაერთი საინტერესო წინადადება მივიღეთ. თუმცა, შემდეგ „იუვენტუსს“ პრეზიდენტი შეეცვალა და გვთხოვეს, რომ ყველანაირი მოლაპარაკება შეგვეწყვიტა. ასეც მოვიქეცით, რადგან მაუროს არ სურს ტურინის დატოვება. გვეგონა, რომ რამდენიმე დღეში ახალ ხელშეკრულებას წარმოგვიდგენდნენ, მაგრამ ასე ნამდვილად არ მოხდა. დღემდე გაურკვევლობაში ვართ და არ ვიცით, რა უნდათ ტურინელებს ჩვენგან. თუ მათ მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ, განვაგრძობთ ახალი კლუბის ძიებას, თუ საპირისპირო პოზიცია აქვთ, მაშინ კონტრაქტი შემოგვთავაზონ. იმედია, უახლოეს დღეებში შეგვხვდებიან და ყველაფერს კარგად აგვიხსნიან“.*

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ანალოგიურ სიტუაციაშია **ფაბიო კანავაროც**. აი, რას ამბობს „სკუადრა აძურას“ კაპიტანი: *„ჩემს ხელშეკრულებას მოქმედების ვადა სულ მალე გაუვა, ახალი კი ჯერჯერობით არავის შემოუთავაზებია. სიმართლე გითხრათ, დიდი სურვილი მაქვს, რომ კარიერა „ნაპოლიში“ გავაგრძელო, მაგრამ როგორც ჩანს, არც ნეაპოლში ხედავენ ჩემს საჭიროებას. გამოდის, რომ მე ვარ იტალიის ნაკრების უკონტრაქტო კაპიტანი“.*

ვინ, ვინ და ფაბიო კანავარო თუ ასეთ დღეში ჩავარდებოდა, არ გვეგონა. ფაქტია, რომ **ანდრეა ანიელიმ** რაიმე უნდა მოიმოქმედოს, ასე შეიძლება მართვის სადავეები გაექცეს ხელიდან.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



იუვენტუსს ფაბიო კანავაროსთვის ახალი კონტრაქტი ჯერ არ შეუთავაზებია

ინტერვიუ

ფლორან მალუდა

# როცა რაღაცას ვამბობ, ხალხი მისმენს...

## ნუ გააიგივებთ ილგლიან მალუდას ჩამშლელ ნახევარმცველთან

ახლახან დამთავრებული სეზონი ფლორან მალუდასთვის საკლუბო კარიერაში ულაპარაკოდ საუკეთესო იყო. მან 15 გოლი გაიტანა და „ჩელსის“ გამარჯვებაში, პრემიერლიგასა თუ საფეხბურთო ასოციაციის თასზე, დიდი წვლილი შეიტანა. მართალია, მალუდას ტელეკამერები ისე არ სწყალობენ, როგორც მის ზოგიერთ თანაგუნდელს, მაგრამ ის, რომ მომავალში რომელ კლუბშიც უნდა გადავიდეს, გაცილებით მაღალი რეიტინგი ექნება ვიდრე აქამდე ჰქონდა, უეჭველია.

მას მერე, რაც მალუდა ფრანგული „გინგამიდან“ წავიდა (სადაც დიდიე დროგბასთან წყვილში ჩინებულად თამაშობდა) გუნდს შავი დღე დაადგა - ორჯერ გავარდა და მომავალ სეზონს მესამე ლიგაში დაიწყებს. შემდეგი გუნდი იყო „ლიონი“, რომელიც გარემარბთან გამოთხოვების შემდეგ საჩემპიონო ბრძოლას ველარ სწვდება - ფრანგული ტიტული ხან „ბორდომ“ მოიგო და ხან „მარსელმა“. და ნაკრებში? რაიმონ დომენეკს მალუდა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ძირითად შემადგენლობაში ჰყავდა და, მოგეხსენებათ, „ლურჯები“ ფინალში გავიდნენ. შემდეგ იყო და მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა. შედეგი? საფრანგეთის ნაკრები რის ვაი-ვაგლახით გავიდა მუნდიალის ფინალურ ეტაპზე. რომ იცოდეთ, ბევრი ამბობს, რომ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა არ არის.

ამ სეზონში, „ჩელსიმ“, როგორც მოგახსენეთ, პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და ფეხბურთის ასოციაციის თასიც. ადრე დასავლეთლონდონელებს ასეთი დიდი შედეგისთვის არასდროს მიუღწევიათ. ამ საქმეს იტალიელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ხელმძღვანელობდა, რომელმაც მალუდაზე ასე თქვა: „ის ფანტასტიკური იყო“! დროგბამ კი დასძინა: „მან სეზონი დიდებულად ჩაატარა“. ახლა, 29 წლის ნახევარმცველი ინგლისში დიდებულად ჩამთავრებული სეზონის სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ასევე დიდებულად გაგრძელებას აპირებს. მალუდან ფიფას ოფიციალურ ვებსაიტს ინტერვიუ „უემბლიზე“ მისცა, როდესაც „ჩელსიმ“ ასოციაციის თასის ფინალში „პორტსმუთი“ დაამარცხა და ჯილდო მოიპოვა.

**- გასული სეზონი „ჩელსისთვის“ დიდებული გამოდგა. გუნდმა ისტორიულ შედეგს მიაღწია, ერთ სეზონში ორი ჯილდო მოიგო. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

- ხალხი სულ იმას გვეუბნება, რომ ინგლისში დუბლი იშვიათობაა, ამიტომაც ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, დიდებულია. სხვათა შორის ერთ სეზონში ორი ჯილდო არც სხვა გუნდების შემადგენლობაში მომიგია, ასე რომ, ეს ჩემთვისაც პირველი იყო. 2007 წელს „ლიონში“ რომ ვთამაშობდი და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული უკვე მოპოვებული გვქონდა, ლიგის თასის ფინალში გავედით, მაგრამ იქ „ბორდოსთან“ წავაგეთ. მაშინ ძალიან დამწყდა გული, ახლა კი ბედნიერი ვარ. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ წარმატებით „ჩელსის“ ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყება.

**- გასული სეზონი თქვენთვის პირადი შედეგის თვალსაზრისითაც განსაკუთრებული იყო. ეთანხმებით იმ აზრს, რომ ეს თქვენს კარიერაში საუკეთესო სეზონი იყო?**

- დიახ, მართლაც გამორჩეული სეზონი მქონდა. გუნდში მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, ვუტევდი კიდეც და თავსაც ვიცავდი. ეს განსაკუთრებით, სეზონის ბოლოს გამოიკვეთა. ბოლო სამ შეხვედრაში ნახევარდაცვაში კი ვთამაშობდი, მაგრამ, შედარებით უკნიდან და შემიძლია გითხრათ, რომ თუ ფრენკ ლემპარდის, ჯონ ტერის და დროგბას ჩემდამი დამოკიდებულებით ვიმსჯელებთ, საქმეს თავი კარგად გავართვი. ჩემი თანაგუნდელები ახლა უფრო მეყრდნობიან, ვიდრე ადრე და ეს სწორედ ის არის, რაც აქ ჩამოსვლის შემდეგ ყველაზე მეტად მსურდა. ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- დავძენდით, რომ იმავე თანაგუნდელებმა თქვენ „ჩელსის“ საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს...**

- ეს მართლაც უდიდესი პატივია. ძალიან ვამაყობ, რომ თანაგუნდელებმა და კლუბის თანამშრომლებმა მე გამომარჩიეს.

**- რით ახსნით ასეთ დაფასებას? ალბათ, თქვენმა ძლიერმა ხასიათმა ითამაშა დიდი როლი. ამ ხასიათს სცეს პატივი.**

- არა, უბრალოდ, ასეთია ადამიანური ბუნება. ადამიანებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. რამდენადაც ჩემი საფეხბურთო გამოცდილება მკარნახობს, ასეთი დადებითი პერიოდი ყველა მოთამაშის ცხოვრებაში დგება. აი, როგორც სკოლაშია: ერთ მშვენიერ დღეს გამოცდებს კარგად ჩააბარებ და საკუთარი თავის რწმენა გემატება. სწორედ ასე ეყრება საფუძველი მომავალ წარმატებებს. ზუსტად ასე ხდებოდა, როდესაც ჩემს წინა კლუბებში ვთამაშობდი - „გინგამსა“ და „ლიონზე“ მოგახსენებთ. ახლა „ჩელსიშიც“ იგივე განმეორდა. დღეს ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოვყალიბდი. როცა რაღაცას ვამბობ, ხალხი მისმენს.



ფლორან მალუდა

**- საფრანგეთის ნაკრებში საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციის შესრულებას ხომ არ ფიქრობთ?**

- (იცინის) ბოლო დღეებში ამაზე უამრავმა ხალხმა ჩამომიგდო სიტყვა. ეს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დღეებში ვცადე და რაც მერე მოხდა, ექსპერიმენტის განმეორების არანაირ სურვილს არ მიჩენს. თუ გუნდი წარმატებას აღწევს, ხალხი ამბობს, რომ ყველაფერი კარგად იყო გათვლილი და თითოეული ფეხბურთელი მისთვის ზედგამოჭრილ საქმეს აკეთებდა, მაგრამ თუ გუნდი მარცხდება, როგორც ეს 2008-ში მოხდა, გრძნობ, რომ ზურგზე სამიზნე გამოგეხატა და ხალხი იქ გიმიზნებს. გულწრფელად გეტყვით, ამ ფუნქციის შესრულება მაინცდამაინც არ მიყვარს. მესმის, რომ როდესაც სხვა როლსაც გთავაზობენ, ამით შენს უნივერსალიზმს უსვამენ ხაზს, მაგრამ მე მოედნის სხვა უბნებიდან მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია. მე ხომ ჩემი უპირატესობები კარგად ვიცი - ბუნებითა და მონაცემებით შემტევი ნახევარმცველი ვარ. რაც შეეხება ჩამშლელ ნახევარმცველს... ყველაზე მეტად არ მინდა ამ ამპლუასთან გამაიგივონ.

**- მართლაც, თქვენთვის მეტოქეთა შეტევების ჩაშლა, მით უფრო იმ წელიწადს, როდესაც 15 გოლი გაიტანეთ, უსამართლობა იქნებოდა.**

- გოლები კი იმიტომ გავიტანე, რომ წინ მათამაშებდნენ. სეზონის მსვლელობისას 4-3-3 განლაგებაზე დაბრუნებამ იმ საქმეზე გადამრთო, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს და მეხერხება.

**- ახლა, „ჩელსისთან“ ერთად დუბლის შესრულებისა და 15 გოლის გატანის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატს საკუთარი თავის განსაკუთრებული რწმენით იწყებთ?**

- რასაკვირველია - რწმენა განსაკუთრებით მაშინ მემატება, როდესაც ვიგონებ, რა უძლოდა წინ 2006 წლის ჩემპიონატს. მაშინაც ქვეყნის ჩემპიონი გავხდი, ოღონდ საფრანგეთის, „ლიონის“ შემადგენლობაში. შემდეგ საფრანგეთის ნაკრებზე გადავერთე და ფინალამდე დიდებული გზა გავიარეთ. თუმცა მაშინ როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით რთული დრო იყო, რადგან ჩემპიონატის წინ ერთსაათიანი ოპერაცია გამიკეთეს.

**- წლის დასაწყისში ბევრს მსჯელობდნენ თუ ვის უნდა ეთამაშა საფრანგეთის ნაკრების ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე. ასახელებდნენ ტიერი ანრისა და ფრენკ რიბერის, თუმცა, თქვენ ისეთი დიდებული სეზონი ჩაატარეთ, რომ ალბათ დისკუსია ამოიწურა.**

- ვერ გეტყვით, ჩემმა სეზონმა რამე შეცვალა თუ არა და საერთოდაც ჩემთვის საკითხი ასე არ დგას. მე დებატებში არ ვმონაწილეობ, ეს ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმე მარტივია, ფეხბურთი უნდა ვითამაშო, რაც შეიძლება კარგად. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შეიძლება „ჩელსიში“ თამაშმა რეიტინგი ამიმაღლა და რასაკვირველია, ეს ჩვენი გუნდის წარმატებებთან იქნება დაკავშირებული.

**- დაბოლოს, რას იტყოდით იმაზე, რომ დომენეკმა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში, 30 კაცში, პატრიკ ვიეირა, ქარიმ ბენზემა და სამირ ნასრი არ შეიყვანა?**

- ძნელია რამის თქმა. წარმომიდგენია, როგორი გაწბილებულები იქნებიან ისინი, მაგრამ ახლა მთავარია ის ხალხი, ვინც ჯგუფში მოხვდა, დასერიოზულდეს და პასუხისმგებლობა შეიგრძნოს. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ სულაც არ ვაპირებთ მსოფლიო თასს თავი დავუხაროთ. ჩვენ სამხრეთ აფრიკაში ერთადერთი მიზნით მივდივართ, უნდა გავიმარჯვოთ. როდესაც კაცს გიმართლებს და კლუბში წარმატებას აღწევ, მადა გეხსნება და ნაკრეში ტიტულების მოხვეჭაზეც იწყებ ფიქრს. მოკლედ, არ უარვყოფ, ამბიციებით სავსე გახლავართ. მე და ნიკო (ანელკას გულისხმობს - რედ) სიამოვნებით ავწევდით მორიგ თასს ერთად, ოღონდ, ამჯერად ნაკრებში.

მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სატრანსფერო ამბები

### სამწლიანი უმუშევრობის დასასრული: ტიგანა ბორდოში

2007 წლის გაზაფხულზე, თურქეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 2 (!) ტურით ადრე, **ჟან ტიგანა** „ბეშიქთაშის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. იქიდან მოყოლებული, 80-ანი წლების შესანიშნავი ფრანგული ნაკრების ნახევარმცველი უმუშევრობით იტანჯება...

54 წლის ტიგანას უქმობას გუშინ დაესვა წერტილი, როცა „ბორდოს" დამრიგებლის ვაკანტური პოსტი შეავსო. ცნობისთვის, ამ გუნდში ის 1981-დან 1989 წლამდე თამაშობდა და ამიტომაც თქვა - ეს ჩემი გულის არჩევანი იყოო.

ტიგანას, რომელსაც საფრანგეთის ნაკრებში 52 მატჩი აქვს ჩატარებული, „ლიონის", „მონაკოსა" და „ფულჰემის" მთავარ მწვრთნელადაც უმუშავია. ფრანგული პრესის ცნობით, „ბორდოსთან" ის 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს... ჰო, მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა - ჟირონდულ კლუბში ტიგანა შეცვლის **ლორან ბლანს,** რომელიც მუნდიალის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს ჩაიბარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### სნეიდერი ისევ მადრიდში?

რაკი **ჟოზე მოურინიო** „რეალის" მთავარი მწვრთნელი ხდება, ატყდა ერთი ამბავი იმაზე, რომ შესაძლოა, „სანტიაგო ბერნაბეუზე" მას ძველი და ახლანდელი შეგირდებიც გაჰყვნენ. ზოგისთვის მადრიდული გარემო ნაცნობია, მაგალითად, **უესლი სნეიდერისთვის**, რომელიც „ინტერში" სწორედ „რეალიდან" (სადაც 2007-09 წლებში თამაშობდა და 52 მატჩში 11 გოლიც გაიტანა) გადავიდა. ჟურნალისტებმა მას აგორებულ ხმებზე ჰკითხეს. ჰოლანდიელის პასუხმა სატრანსფერო ინტრიგა კიდევ უფრო გაამძაფრა:

*„მადრიდში დაბრუნება? ყველაფერი შესაძლებელია. თუმცა ჟოზე მოურინიოსთან ამაზე არ მილაპარაკია. წელს „ინტერთან" ერთად სამი ტიტული მოვიგე და არა მგონია, კლუბმა ჩემი გაშვება ისურვოს".*

მოკლედ, ყველაფერი შესაძლებელიაო, სნეიდერმა და ჩვენც ასე ვფიქრობთ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

### კინი ჯიუტია

**რობი კინი** „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" ოთხი თვით „სელტიკში" იყო გაქირავებული, ახლა კი ლონდონში დაბრუნდა და ამბობს, რომ **ჰარი რედნაპის** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში დაეხმარება. რატომ გადავიდა კინი „სელტიკ პარკზე"? ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ „უაით ჰართ ლეინზე" მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე თავდამსხმელი იყო. რედნაპი უპირატესობას **ჯერმაინ დეფოს, პიტერ კრაუჩსა და რომან პავლიუჩენკოს** ანიჭებდა.

შემდეგ იყო ლაპარაკი, რომ 29 წლის ირლანდიელის შეძენას „ასტონ ვილა" აპირებდა, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ ბირმინგემელთა თავკაცი **მარტინ ონილი** 15 მილიონი ფუნტის გადახდას მოერიდებოდა. მაგრამ ვაჭრობამდე საქმე არ მივიდა, რადგან კინმა დაიჩემა, რომ კონკურენციის არ ეშინია და მზადაა „ტოტენჰემში" დაბრუნდეს.

*„ბოლო დროს ფეხბურთს უფრო ჩვევის გამო ვთამაშობდი, „სელტიკში" კი საქმეში დავბრუნდი და ჟინმაც გამახსენა თავი. გლაზგომ ნამდვილად კარგად იმოქმედა და ახლა ისევ ძველებური კინი ვარ"*, - განაცხადა თავდამსხმელმა, თუმცა, ინგლისურმა ტაბლოიდებმა „სფურზის" ოფისში შეიტყვეს, რომ კლუბი კინის თაობაზე წინადადებებს ელოდება და როცა მიიღებს, განიხილავს კიდეც. კინი კი განაგრძობს:

*„მე „ტოტენჰემთან" კიდევ სამი წელი მაკავშირებს და 5 ივლისს საწვრთნელ ბაზაზე ჩვეულებრივ ვაპირებ მისვლას. ვინც რა უნდა ის თქვას, მე „ტოტენჰემის" ფეხბურთელი ვარ. ეტაპი, როდესაც გუნდში შენს შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებათ ნებისმიერ ფეხბურთელს აქვს. სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს მოთამაშემ ფხა და დაკარგული რწმენა აღადგინოს".*

ჟურნალისტებმა ირლანდიელს ჰკითხეს, რას განიცდიდა, როდესაც ხედავდა, რომ ლონდონური გუნდი პრემიერლიგის ოთხეულში მისი დახმარების გარეშე შედიოდა. მან უპასუხა, რომ ამის გამო გუნება არ გაფუჭებია:

*„რატომ უნდა გამფუჭებოდა გუნება? მე ბიჭებთან კონტაქტი ერთი დღითაც არ გამიწყვეტია და სულ წარმატებას ვუსურვებდი. მე გულღრძო კაცი არ ვარ. მეგობრების გამარჯვება ყოველთვის მახარებს. „ტოტენჰემისადმი" მთელი ცხოვრება დიდი სიმპათია მექნება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

### აირლენდმა წასვლა ითხოვა

„მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა **სტივენ აირლენდმა** ოფიციალურად ითხოვა გუნდიდან წასვლა. მიზეზი: ისტლენდელთა გუნდის 2008/09 წლების საუკეთესო ფეხბურთელი ახალი მწვრთნელის **რობერტო მანჩინის** ხელში ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება. მან „სიტის" შეფებს ნებისმიერი (!) წინადადების განხილვა სთხოვა.

და როგორი რეაქცია აქვს ამაზე რობერტო მანჩინის? იტალიელს აირლენდის დაკარგვა, რასაკვირველია, არ უხარია, მაგრამ ირლანდიელს, გვარად სამშობლოს სახელი რომ შერქმევია, გარანტიასაც ვერ აძლევს, რომ მომავალ სეზონში რეგულარულად ათამაშებს. ერთი სიტყვით, მანჩინის აირლენდი სამარქაფო ფეხბურთელად მიაჩნია, 23 წლისას კი ყოველ ტურში მოედანზე უნდა ყოფნა.

„მანჩესტერ სიტის" გეგმებს ზოგადადაც თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ისტლენდელები ცალკე „ასტონ ვილას" ევაჭრებიან ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის **ჯეიმს მილნერის** გადასაბირებლად და ცალკე „ევერტონისგან" **მიკელ არტეტას** ყიდვა სურთ. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ აირლენდის წასვლით „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" უბედურება ნამდვილად არ დატრიალდება. და მაინც, ფანებს გული სწყდებათ ფეხბურთელზე, რომელმაც გასულ სეზონში, მანჩინის მოსვლამდე, **მარკ ჰიუზის** ხელში ჩინებულად ითამაშა.

**ილია ბაბუნაშვილი**

### სამხრეთაფრიკელს სამხრეთ აფრიკამდე

„ტოტენჰემი" **სტივენ პიენაარის** შესაძენად „ევერტონისთვის" შესათავაზებელ წინადადებას ამზადებს. თავის მხრივ „სფურზი" კი იმიტომ გააქტიურდა, რომ საკუთრივ „ევერტონსაც" პასუხი აქვს პიენაარის აგენტისთვის გასაცემი: სამხრეთაფრიკელის აგენტმა **ივან მოდიამ** ლივერპულურ კლუბს სამკვირიანი ვადა მისცა: ან ახალი კონტრაქტი შემოგვთავაზეთ, ან მივდივართო.

პიენაარი „ევერტონში" 2007 წელს დორტმუნდის „ბორუსიადან" 2 მილიონ ფუნტად გადავიდა და „გუდისონ პარკზე" წესით კიდევ ერთი წლით უნდა დარჩეს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად ამ დროს მას თავისუფალი აგენტის სტატუსი ექნება და სადაც უნდა იქ წავა - ანუ ახალი კონტრაქტის დასადებად სწორედ ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდეა კარგი დრო.

ჯერჯერობით, „ევერტონმა" კონტრაქტები მხოლოდ **სტივ კეჰილსა და ჯეკ როდუელს** განუახლა, ხოლო **მიკელ არტეტასა და ლეიტონ ბეინესთან** ახლა აპირებს მოლაპარაკებას, რამაც პიენაარის ბანაკი, როგორც ჩანს, გაალიზიანა.

**ილია ბაბუნაშვილი**

## სკანდალური აღიარება

# ვინ კლავდა მსაჯებს?

სულ ცოტა ხნის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე **ლორდმა ტრისმენმა** რესტორანში მის მეგობარ ქალს უთხრა, რუსები ესპანელებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯების მოქრთამვას ცდილობენო. საუბარი, თურმე, ჩუმად დიქტოფონით იწერებოდა და ლორდის სიტყვები „დეილი მეილში" დაიბეჭდა, რასაც სკანდალი და თავმჯდომარის გადადგომა მოჰყვა. მათთვის, ვინც ეს ისტორია არ იცის დავძენთ, რომ კორუფციული სქემის თანახმად სანაცვლოდ ესპანელებს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე რუსების სასარგებლოდ უნდა ეთქვათ უარი. ლორდ ტრისმენის სიტყვები გაუგონარ მონაჩმახად ჩათვალეს და თითქოს თემა დახურეს კიდეც - ამბის დავიწყება ინგლისელებსაც ძალიან აძლევთ ხელს, რადგან 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობას ისინიც ცდილობენ და რეპუტაციის გაფუჭება და ფიფას ბოსების განაწყენება არაფრად აწყობთ - მაგრამ, რუსული ფეხბურთი და კორუფცია მაინც და მაინც შორს მდგომი ცნებები რომ არ არის, ბრიტანულ პრესას წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, დღეს კი სატელევიზიო მიმომხილველმა **ალექსანდრ ბუბნოვმა** დაუდასტურა. ბუბნოვი ამბობს, რომ მისი ქვეყანა არც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის არის მზად და ხაზს უსვამს - რუს მსაჯებს საერთაშორისო შეხვედრების გასაძღოლად სულ იშვიათად და იშვიათად სწორედ იმიტომ იწვევენ, რომ ისინი მექრთამეები ჰგონიათ. ისინი არც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ყოფილან დარ არც 2010-ის მუნდიალზე იქნებიან.

დიახ, სწორედ რუსულ ფეხბურთში ფესვგადგმული კორუფციის გამო ფიქრობს საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, რომ 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობა არარეალურია. მეტიც, „დეილი მეილისთვის" თავისი წყაროებით ცნობილი გახდა, რომ უეფა არც პოლონეთსა და უკრაინაში დაგეგმილ 2012 წლის ევროპირველობაზე აპირებს რუსი არბიტრების ნდობას. ფიფა და უეფა ამას ოფიციალურად, რასაკვირველია უარყოფენ, მაგრამ კულუარულად ცნობილია, რომ მათ არაოფიციალური დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ხოლო ბუბნოვი უფრო შორსაც მიდის და ლორდ ტრისმენის თემასთან დაკავშირებით ამბობს, რომ მართლა იყო ნიშნები, რომ ესპანელები თავიანთი პროექტის გატანას აპირებდნენ. რის სანაცვლოდ? ამის შესახებ ზემოდ უკვე მოგახსენეთ.

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ალექსანდრ ბუბნოვმა კერძოდ, რადიოსადგურ „ბიზნეს FM-თან" ინტერვიუში თქვა: *„ისეთი მაღალი რანგის ოფიციალური პირი, როგორიც ლორდი ტრისმენი გახლდათ ამას მიზეზის გარეშე ვერაფრით იტყოდა. გიჟი უნდა იყო ასეთი რამ არაფრიდან რომ გამოიგონო. როგორც ჩანს, მას საამისოდ საფუძველი ჰქონდა. ვფიქრობ, კონფიდენციალურ ინფორმაციას ფლობდა".*

ხოლო 2018 წლის ჩემპიონატის შესახებ ბუბნოვი ფიქრობს, რომ რუსეთს მუნდიალის სამასპინძლოდ საჭირო ინფრასტრუქტურა თითქმის არ აქვს და ყველაფერი მოსასწრები და ასაშენებელი იქნება.

ისე კი, მართლა საინტერესოა როდის იმსაჯა ესა თუ ის დიდი სანაკრებო თამაში რუსმა არბიტრმა? ეს იყო გერმანიაში, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, პორტუგალიისა და ჰოლანდიის შეხვედრა. იმ დღეს, **ვალენტინ ივანოვმა** ოთხი ფეხბურთელის გაძევებისა და ყვითელი ბარათის თექვსმეტჯერ ამოღების გამო ფიფას პრეზიდენტის, **ზეპ ბლატერის** წყრომა დაიმსახურა, თუმცა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა დაიცვა - არაფერი დაუშავებია, უბრალოდ წესით მინიჭებული უფლებები მაქსიმალურად გამოიყენაო. ასე იყო თუ ისე, ვერავინ იტყვის, რომ იმ შეხვედრაში ივანოვმა ქრთამი აიღო.

*„მას მერე, ჩვენ, რუსი მსაჯები საერთაშორისო სარბიელიდან მოგვკვეთეს. რამდენი ხნით? ძალიან ძნელი სათქმელია - ამბობს თავად ივანოვი - რასაკვირველია, ეს ცუდია და ჩვენს ქვეყანას პრესტიჟს არ მატებს. გარდა ამისა, ჩვენ საერთაშორისო გამოცდილება გვაკლდება".*

დავუბრუნდეთ ბუბნოვს, რომელმაც თქვა: *„ჩვენი მსაჯები საერთაშორისო შეჯიბრებებში უნდა იყვნენ, რადგან ისინი ძალიან ძლიერი საბჭოთა სკოლის წარმომადგენლები არიან, მაგრამ 90-იან წლებში საზოგადოება კორუფციაში ჩაიძირა და ეს მათაც შეეხო. მსაჯებს ქრთამავდნენ, ცემდნენ და მოუკლავთ კიდეც. თანხა, რომელსაც გუნდები მათ ქრთამად აძლევდნენ ძალიან დიდი იყო. ხანდახან ერთი შეხვედრა ათეულობით ათასი დოლარი ღირდა. იმ წლებში მსაჯებმა სასურველი შედეგის მისაღწევად შეუმჩნეველი და ეფექტური რამ მოიფიქრეს. მათ მანიპულაციებს საზღვარი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ დასრულებულა. რუსულ ფეხბურთში კორუფციის დონე კვლავ მაღალია. სწორედ ამიტომ ეშინია ფიფასა და უეფას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე რუსი მსაჯების დანიშვნისა".*

რუსულ ფეხბურთში იყო შემთხვევები, როდესაც მსაჯთა მექრთამეობის შიშით თავად ადგილობრივი ჩემპიონატის მთავარ შეხვედრებში უცხოელი მსაჯი მოუწვევიათ. 2009 წელს ფიფამ რამდენიმე ქვეყნის ფედერაციას დაუგზავნა წერილი, სადაც მითითებული იყო ტოტალიზატორებზე დაყრდნობით მოძიებული საეჭვო შეხვედრები. რუსეთის წილ, სამი ასეთი შეხვედრა მოდიოდა. კრიტიკოსები ამბობენ, რომ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას ფიფას წერილზე ჯეროვანი რეაგირება არ მოუხდენია და ხსენებული მატჩები სერიოზულად არ გამოუძიებია.

დაბოლოს, ისევ ლორდ ტრისმენის შესახებ. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ რუსები ინგლისელი ლეიბორისტი პერის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას არ აპირებენ.

**ილია ბაბუნაშვილი**




ალექსანდრ ბუბნოვი

## ლაციო

# გაყიდიან ფლოკარის?




სერჯო ფლოკარი

განვლილ სეზონში თუ ვინმე გამოირჩა „ლაციოს" შემადგენლობაში, **სერჯო ფლოკარი** გახლავთ. გამოცდილი ფორვარდი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადაბარგდა „ბიანკოჩელესტეში" და რვა გატანილი გოლით, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რომაელებს სერჯოსთან საიჯარო ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდამსხმელი გენუაში უნდა დაბრუნდეს. თუმცა, „ლაციოს" მესვეურები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ფლოკარი გამოისყიდონ და მასთან რამდენიმეწლიანი ხელშეკრულება გააფორმონ. სერჯოს დათმობის წინააღმდეგნი არც „ჯენოას" მესვეურები არიან. აი, რას ამბობს ჟურნალისტებთან საუბარში კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი:**

*„რომაელებს ფლოკარის გამოსყიდვა სურთ, რისი წინააღმეგი არც მე ვარ. საბედნიეროდ, ფინანსურად არ გვიჭირს და „ლაციოს" მიერ გადახდილი რამდენიმე მილიონი ნაკლებად მაინტერესებს. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ბარტერზე შევთანხმდებით და „ბიანკოჩელესტე" ჩვენთვის სასურველ ფეხბურთელს დაგვითმობს. პირადად მე, სამ ფეხბურთელს გამოვარჩევდი: სარატეს, კოლაროვს და ლიხტშტაინერს. თუ რომაელები რომელიმეს დაგვითმობენ, ფლოკარის უსასყიდლოდ შეველევით".*

**ლაშა წიკლაური**

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

წარმოგიდგენთ მონაწილეებს

# ჰოლანდია

**მომავალი** ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ჰოლანდიის ნაკრები ითვლება და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში და ყოველთვის განიხილება დიდ ტურნირებზე პრიზიორთა პრეტენდენტებს შორის. გარდა ამისა, ჰოლანდიელებმა ძალიან ძლიერად გაიარეს შესარჩევი ტურნირი - რვიდან რვა მატჩი მოიგეს, რაც შთამბეჭდავი შედეგია და მესამე ფაქტორი - ისტორიულ-ლინგვისტური. რა თქმა უნდა, „ნარინჯისფრებს" ნიდერლანდებიდან გადასახლებული ბურების მასობრივი მხარდაჭერა არ ექნებათ, მაგრამ სამხრეთ აფრიკა მათთვის უფრო ნაცნობი ქვეყანაა, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის დანარჩენი მონაწილეებისთვის.



ჰოლანდიაში ფეხბურთის თამაში 1880 წელს დაიწყეს. ეს 14 წლის **პიმ მიულირის** დამსახურებაა. ბიჭი ინგლისში ცხოვრობდა, სადაც ადგილობრივი გასართობი შეიყვარა და შემდეგ ეს სიყვარული თანამემამულეებსაც გადასდო. მაგრამ ჰოლანდიაში დიდი ხანი ფეხბურთი სათანადოდ ვერ ვითარდებოდა. ქვეყანაში ჩადიოდნენ უცხოელი მწვრთნელები, უპირატესად ინგლისელები, მაგრამ მოყვარულებთან ერთად წარმატების მიღწევა რთული იყო. პროფესიონალიზმის შემოღებას ხელს უშლიდა კალვინისტური ეკლესია, რომლის პოზიცია მაშინ ძალიან ძლიერი იყო. ჰოლანდიელები ომამდე ორჯერ მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატში, მაგრამ პირველივე მატჩებიდან გამოეთიშნენ ბრძოლას.

ომის შემდეგ ჰოლანდიაში ფეხბურთი უფრო უკეთ ვითარდებოდა. გაუჩნდათ საკუთარი ვარსკვლავი - **აბე ლენსტრა** „ჰერენვეენიდან". 1954 წელს კლუბებმა, როგორც იქნა, პროფესიული სტატუსი მიიღეს, რამაც მაშინვე აამაღლა ფეხბურთის ხარისხი. 60-იან წლებში „აიაქსი", „ფეიენოორდი", „ეინდჰოვენი" საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ ევროპულ ფეხბურთში. დიადი საფეხბურთო სახელმწიფოების კლუბში კი ჰოლანდია 70-იან წლებში გაწევრდა. მანამდე „ნარინჯისფრები" საშუალო დონეს განეკუთვნებოდნენ, რომელთა მთავარი ამოცანა მეზობელი ბელგიისა და ლუქსემბურგის დამარცხება იყო.

ჰოლანდიის ნაკრები აღმოსავლეთ ევროპის ორმა სპეციალისტმა გამოძერწა - რუმინეთიდან დევნილმა **ელეკ შვარცმა** (მეტსახელად - „ბოშა") და დოქტორ **ფრანტიშეკ ფანდორცმა**, რომელიც ნიდერლანდებში ჩეხოსლოვაკიიდან გადასახლდა. სწორედ ფანდორცმა გაიყვანა ჰოლანდია 1974 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ მოხუც მწვრთნელს ულამაზოდ მოექცნენ - გერმანული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ის ტოტალური ფეხბურთის ერთ-ერთი დამაარსებლით - **რინუს მიხელსით** შეცვალეს. ამ ინტრიგაში **იოჰან კრუიფისა** და „აიაქსის" სხვა მოთამაშეთა ხელიც ერია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჰოლანდიური საფეხბურთო ხელმძღვანელობის ამ სვლამ სრულად გაამართლა. ჰოლანდიამ გერმანიის სტადიონებზე ნამდვილი ფურორი მოახდინა, ფინალამდე მიაღწია, სადაც ტურნირის მასპინძელი - გფრ-ის ნაკრები ელოდა. გადამწყვეტი მატჩი გერმანელებმა მიხელსის გუნდზე შეყვარებული გულშემატკივრების სამწუხაროდ, 2:1 მოიგეს.

ოთხი წლის შემდეგ ჰოლანდია ისევ მეორე ადგილზე გავიდა და ეს შედეგი კვლავ სენსაციად მოინათლა. საქმე ისაა, რომ ტურნირის სტარტამდე ცოტა ხნით ადრე ნაკრები დატოვა კრუიფმა, გარდა ამისა, ჰოლანდიელებმა ისევ შეცვალეს მწვრთნელი. გადამდგარი მფრინავი **იან ზვარტკრუისი**, რომელმაც გუნდს არგენტინული ჩემპიონატის საგზური მოუტანა, მეორე მწვრთნელად ჩამოაქვეითეს, მისი ადგილი კი ცნობილმა ავსტრიელმა **ერნსტ ჰაპელმა** დაიკავა. ეს სპეციალისტები დიდად არ სწყალობდნენ ერთმანეთს და გუნდის შიგნით მორალური კლიმატი მეტად არასახარბიელო იყო. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიამ ისევ აჩვენა ლამაზი ფეხბურთი, ფინალში გავიდა და კვლავ მასპინძელთან წააგო. ამჯერად არგენტინასთან დამატებით დროში - 1:3.

შემდეგი ორი ჩემპიონატი „ნარინჯისფრებმა" გამოტოვეს, სამაგიეროდ, 1990 წლის ტურნირს ევროპის მოქმედი ჩემპიონის რანგში ეწვივნენ. ტრადიციულად, შესარჩევი ციკლის შემდეგ გუნდმა მწვრთნელი შეიცვალა - **ტეის ლიბრეხტსი ლეო ბეენჰაკერმა** ჩაანაცვლა. მაგრამ იტალიაში ჰოლანდიამ ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო და მხოლოდ **ფრანკ რაიკაარდის** ულირსი საქციელით დაგვამახსოვრა თავი - ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდამ **რუდი ფიოლერს** შეაფურთხა.

ამის შემდეგ ჰოლანდია დიდი ტურნირების მუდმივი ფინალისტი გახდა. შედარებით წარმატებული იყო **გუუს ჰიდინკის** გუნდის მეოთხე ადგილი 1998 წელს, **დიკ ადვოკაატმა** 1994 წელს მეოთხედ ფინალამდე მიაღწია, **ლუი ვან გაალმა** 2002 წელს საერთოდ ვერ გაიყვანა გუნდი ფინალურ ეტაპზე, ოთხი წლის შემდეგ კი **მარკო ვან ბასტენის** ნაკრებმა კი ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და 1/8 ფინალში ჩემპიონატის ყველაზე უხეშ მატჩში პორტუგალიასთან დამარცხდა.

■ ■ ■

ვან ბასტენმა პოსტი გერმანული ჩემპიონატის შემდეგაც შეინარჩუნა. ევრო 2008-ზე „ნარინჯისფრებმა" ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურეს მსოფლიოს პირველობის ფინალისტები - იტალია (3:0) და საფრანგეთი (4:1), რის შემდეგაც გუნდი ტურნირის მთავარ ფავორიტად იქცა, მაგრამ მეოთხედფინალში ვან ბასტენმა პროფესორ გუუს ჰიდინკის რუსეთთან წააგო - 1:3. მარკომ პოსტი დატოვა და მისი ადგილი **ბერტ ვან მაარვიკმა** დაიკავა.

სწორედ ვან ბასტენის მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი. მარკომ თავი გაართვა ამ ამოცანას, თუმცა ახალგაზრდა მწვრთნელის ზოგიერთი ნაბიჯი მეტად ორიგინალური იყო. ვან ბასტენს „ალკმაარის" თამაში მოსწონდა და ამ გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელი ნაკრებში მიიწვია, მათ შორის ვეტერანები - **მეერდინკი, ტიმერი, ვან გალენი** და **ოპდამი**. ჰოლანდიაში ანეკდოტიც გაჩნდა: ვან ბასტენი ხვდება „ალკმაარი-ამსტერდამის" ავტობუსის მგზავრებს: „თქვენ ალკმაარიდან" ხართ? ბურთივის ფეხის მორტყმა შეგიძლიათ? მაშინ ნაკრებში გელოდებით".

კურიოზული დებიუტანტები მალე ჩამოშორდნენ ნაკრებს, მაგრამ ამ ფრონტზე ვან ბასტენს უდავო წარმატებებიც ჰქონდა. მაგალითად, **იორის მატიისენი** - ნაკრების წამყვანი მცველი, **ჰალიდ ბულარუზი**, რომელიც მარკომ სუსტ „ვაალვიკში" იპოვა. ახალგაზრდა მწვრთნელის მთავარი შეცდომა კი ნახევარმცველ **მარკ ვან ბომელთან** კონფლიქტი იყო. ეს ფეხბურთელი ძლიერი საყრდენი და გასახდელში არაფორმალური ლიდერია და მის გარეშე ნაკრები შესამჩნევად დასუსტდა.

როგორც კი ვან ბასტენმა ეროვნული გუნდი დატოვა, ვან ბომელი მაშინვე დაბრუნდა ნაკრებში. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ახალი მწვრთნელი მისი სიმამრი გახლავთ. ბერტ ვან მაარვიკი ცნობილი სპეციალისტია, თუმცა ჰოლანდიელი კორიფეების რიცხვს არ განეკუთვნება. მისი მთავარი მიღწევა - „ფეიენოორდთან" ერთად 2002 წელს უეფას თასის მოგებაა. იმ ფინალში წაგებულმა „დორტმუნდმა" ჰოლანდიელ სპეციალისტს თავისთან დაუძახა, მაგრამ ამისგან კარგი არაფერი გამოვიდა. ვან მაარვიკი როტერდამში დაბრუნდა და იქ ერთი წელი იმუშავა.

ვან მაარვიკი თავისი ახალგაზრდა წინამორბედის მემკვიდრეობას მზრუნველად მოეპყრო. გუნდში ბევრი ახალბედა არ გამოჩენილა - **გრეგორი ვან დერ ვილი, ედსონ ბრააფსჰეიდი** და **ელერო ელია**. ეს საკმარისი აღმოჩნდა შესარჩევი ტურნირის მოსაგებად. თანაც ჰოლანდიამ ევროპულ ნაკრებებს შორის პირველმა მოიპოვა სამხრეთ აფრიკის საგზური.

■ ■ ■

ჰოლანდიის ნაკრებში ბევრი ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ უნდა გამოიყოს ოთხეული - **რაფაელ ვან დერ ვაარტი, არიენ რობენი, ვესლი სნეიდერი** და **რობინ ვან პერსი**. თუ ამ შესანიშნავ ოთხეულს ყველაფერი წესრიგში აქვს, ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხებაა შესაძლებელი. სხვა საქმეა, ოთხივე კარგ ფორმაში შეხვდება თუ არა ჩემპიონატს. მაგალითად, ვან პერსიმ ახლახან მოირჩინა ტრავმა. რობენსა და სნეიდერს თითქოს ყველაფერი წესრიგში აქვთ და მათ ცოტა ხნის წინ ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ვან დერ ვაარტმა კი ესპანეთის ჩემპიონატში ძალიან ბევრი მატჩი გამოტოვა და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდის.

ნაკრების მთავარი პრობლემა - მაღალი დონის მეკარეა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ეროვნული გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა **ედვინ ვან დერ სარმა**, რომელიც ათ წელზე მეტია პასუხისმგებელი იყო ნაკრების კარის უსაფრთხოებაზე. მის ოფიციალურ მემკვიდრედ „აიაქსის" მეკარე **მაარტენ სტეკელენბურგი** ითვლება. მაგრამ 27 წლის მეკარე არასტაბილურია და ტრავმებისკენ აქვს მიდრეკილება. ამიტომაც იყო, რომ 2008-09 წლების სეზონში „აიაქსის" შემადგენლობიდან **კენეტ ფერმეერმა** ამოაგდო. რამდენიმე მატჩში „ნარინჯისფერთა" კარს იცავდა **მიხელ ფორმი** „უტრეხტიდან" და უნდა ითქვას, რომ შავკანიანმა მეკარემ კარგად გაართვა თავი ამ მისიას - არც ერთი გაშვებული გოლი. ნაკრებში იწვევდნენ **პიტ ფელტჰეიზენს** „ვიტესიდან".

ამასთან, კანდიდატთა სიაში შედიან 40 წელს მიტანებული მეკარეები. **ჰენკ ტიმერმა** ნაკრების გამო „ჰერენვეენში" განაახლა კარიერა, ასევე ნაკრებშია „ტვენტეს" გოლკიპერი **სანდერ ბოშკერი**. თუ სანდერი ჰოლანდიის ნაკრების კარში ჩადგა, ის გახდება ყველაზე ასაკოვანი დებიუტანტი თანამედროვე ფეხბურთში.

მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩა **რუუდ ვან ნისტელროი**, თუმცა ვან მაარვიკის გუნდში მის გარეშეც არიან სნაიპერები - **დირკ კუიტი, კლაას-იან ჰუნტელაარი, რაიან ბაბელი, ელერო ელია**, რობინ ვან პერსი. მათ გოლის გატანა კი ეხერხებათ, მაგრამ ზედიზედ სამი ამხანაგური მატჩი გუნდმა უგოლო ფრით დაასრულა.

დაცვა არასოდეს ითვლებოდა ჰოლანდიის ნაკრების ძლიერ მხარედ და ახლაც ასეა. თუმცა შესარჩევ ტურნირში უკანა ხაზმა საკმაოდ კარგად იმუშავა - მხოლოდ ორი გოლი გაუშვა. დაცვის ბურჯია იორის მატიისენი „ჰამბურგიდან" - ოდნავ ნელი, მაგრამ საიმედო მცველი, რომელიც იშვიათად აგებს ორთაბრძოლებს. ჩვეულებრივ მისი მეწყვილე **ჯონი ჰეიტინგაა** „ევერტონიდან". შესაძლოა, ისეთი სტაბილური ვერ არის, როგორც მატიისენი, მაგრამ ძალიან სწრაფია. არ არის გამორიცხული განაცხადში **რონ ფლაარის** ხილვა, რომელმაც ტრავმა მოირჩინა. მას ვან ბასტენი რეგულარულად იწვევდა გუნდში. მარცხნივ ითამაშებს გუნდის კაპიტანი, გამოცდილი **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი**, მარჯვნივ ნორჩი გრეგორი ვან დერ ვილი.

კარგი არჩევანია საყრდენ ნახევარმცველებს შორის: გიგანტი **ორლანდო ენგელაარი**, პატარა, მაგრამ ხისტი **დემი დე ზეუვი**, დისპეტჩერი **სტეინ სხაარსი** და უნივერსალი **დავიდ მენდეში**. და, რა თქმა უნდა, მარკ ვან ბომელი. ამ უკანასკნელის ადგილი ძირითადში ეჭვს არ იწვევს. დანარჩენებს ვან მაარვიკი სიტუაციის მიხედვით გამოიყენებს.

ჰოლანდიის ნაკრებს ხშირად არ უმართლებდა წილისყრის მხრივ და ბევრჯერ მოხვედრილა სიკვდილის ჯგუფში, მაგრამ ამჯერად „ნარინჯისფრებს" გაუმართლათ. ჯგუფი, რომელშიც მათ გარდა დანია, იაპონია და კამერუნი შეიკრიბნენ, რთული არ უნდა იყოს. შემდეგ რა იქნება, ძნელი სათქმელია. ამ გუნდს შეუძლია ჩემპიონი გახდეს, მაგრამ უფრო ხშირად ჰოლანდია აწბილებდა პროგნოზისტებისა და გულშემატკივრების მოლოდინს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

### ჰოლანდია

ჰოლანდიის სამეფო საფეხბურთო კავშირი 1889 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1904 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში მე-3 ადგილი უკავია.

ევროპის ჩემპიონი (1988), მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1974, 78)

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 8-ჯერ ითამაშა, ჩაატარა 36 მატჩი: +16=10-10, ბურთების შეფარდება: 59-38

მთავარი მწვრთნელი: ბერტ ვან მაარვიკი

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: ედვინ ვან დერ სარი (130)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - პატრიკ კლუივერტი (40)

ჯგუფური ეტაპი

14 ივნისი. ჰოლანდია-დანია (კეიპტაუნი)

19 ივნისი. ჰოლანდია-იაპონია (დურბანი)

24 ივნისი. კამერუნი-ჰოლანდია (კეიპტაუნი)

### შესარჩევი ტურნირი

10.09.08 მაკედონია-ჰოლანდია 1:2 (ჰეიტინგა, ვან დერ ვაარტი)
11.10.80 ჰოლანდია-ისლანდია 2:0 (მატიისენი, ჰუნტელაარი)
15.10.08 ნორვეგია-ჰოლანდია 0:1 (ვან ბომელი)
28.03.09 ჰოლანდია-შოტლანდია 3:0 (ჰუნტელაარი, ვან პერსი, კუიტი)
01.04.09 ჰოლანდია-მაკედონია 4:0 (კუიტი-2, ჰუნტელაარი, ვან დერ ვაარტი)
06.06.09 ისლანდია-ჰოლანდია 1:2 (დე იონგი, ვან ბომელი)
10.06.09 ჰოლანდია-ნორვეგია 2:0 (ოოიერი, რობენი)
09.09.09 შოტლანდია-ჰოლანდია 0:1 (ელია)

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| მარტინ სტეკელენბურგი | 22.09.82 | აიაქსი | 5 | - |
| ედვინ ვან დერ სარი | 29.08.70 | მანჩესტერ იუნ (ინგ) | 2 | - |
| მიხელ ფორმი | 20.10.83 | უტრეხტი | 1 | - |
| **მცველები** | | | | |
| იორის მატიისენი | 05.04.80 | ჰამბურგი (გერ) | 8 | 1 |
| ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | 05.02.75 | ფეიენოორდი | 8 | 0 |
| ანდრე ოოიერი | 11.07.74 | ეინდჰოვენი | 8 | 1 |
| გრეგორი ვან დერ ვილი | 03.02.88 | აიაქსი | 3 | - |
| ჯონი ჰეიტინგა | 15.11.83 | ევერტონი (ინგ) | 3 | 1 |
| დირკ მარსელისი | 13.04.88 | ეინდჰოვენი | 2 | - |
| ჰალიდ ბულარუზი | 28.12.81 | შტუტგარტი (გერ) | 1 | - |
| ედსონ ბრააფჰეიდი | 06.04.83 | სელტიკი (შოტ) | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| მარკ ვან ბომელი | 22.04.77 | ბაიერნი (გერ) | 7 | 2 |
| რაფაელ ვან დერ ვაარტი | 11.02.83 | რეალი (ესპ) | 7 | 2 |
| არიენ რობენი | 23.01.84 | ბაიერნი (გერ) | 6 | 1 |
| ნაიჯელ დე იონგი | 30.11.84 | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 6 | 1 |
| ვესლი სნეიდერი | 09.06.84 | ინტერი (იტა) | 5 | - |
| იბრაჰიმ აფელაი | 02.04.86 | ეინდჰოვენი | 5 | - |
| დემი დე ზეუვი | 26.05.83 | აიაქსი | 3 | - |
| სტეინ სხაარსი | 11.01.84 | ალკმაარი | 2 | - |
| დავიდ მენდეშ და სილვა | 04.08.82 | ალკმაარი | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| დირკ კუიტი | 22.06.80 | ლივერპული (ინგ) | 8 | 3 |
| კლაას-იან ჰუნტელაარი | 12.08.83 | მილანი (იტა) | 8 | 3 |
| რობინ ვან პერსი | 06.06.83 | არსენალი (ინგ) | 6 | 1 |
| რაიან ბაბელი | 19.12.86 | ლივერპული (ინგ) | 5 | - |
| ელერო ელია | 13.02.87 | ჰამბურგი (გერ) | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ დავით ხურციასთან

# შესაძლოა, მოძმანაშვილს დააგვიანდესო

კვირას თავისუფალი სტილით მოჭიდავე ორმა ქართველმა მძიმეწონოსანმა - დავით მოძმანაშვილმა და გიორგი ნიკურაძემ მახაჩყალაში ალი ალიევის სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს. ნიკურაძე ადრევე დამარცხდა, მოძმანაშვილმა კი ბრინჯაო მოიპოვა. ჩვენი გუნდის ლიდერის გამოსვლა განსაკუთრებით გვაინტერესებს - ის ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მესამე ტურნირზე ჭიდაობდა. გვესმის, რომ ამხელა ჩავარდნის შემდეგ დაბრუნება საკმაოდ რთული პროცესი იქნება. დაღესტანში მოპოვებულმა მედალმა იმედებიც გაგვიჩინა და კითხვებიც დაგვიტოვა. მაგალითად, სანუგეშო წრეში პეკინის ოლიმპიადაზე გიორგი გოგშელიძესთან ბინძური მეთოდებით მომგები ყაზახი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი თეიმურაზ თიგიევი და სომეხი ევროპის ვიცე-ჩემპიონი რუსლან ბასიევი დაამარცხა, მაგრამ ძირითად ბადეში მანამდე ლამის უცნობ ტოხტარ ტემრეზოვთან წააგო, რომელიც კონკურენციას რუსეთიდან აზერბაიჯანში გაექცა. საინტერესოა, ხელახლა როგორ გაუშინაურდა ჩვენებური ლეიბს, დიდ სპორტს, არის თუ არა წინსვლა მის ჭიდაობაში და რამდენად მომზადებული შეხვდება მსოფლიოს პირველობას? ამ კითხვებზე პასუხისთვის მოძმანაშვილის პირად მწვრთნელ დავით ხურციას დავუკავშირდით, რომელიც ნაკრების დამრიგებელიცაა და მახაჩყალაშიც ახლდა ჩვენს დუეტს.

**- როგორ შეაფასებთ ამ ტურნირზე მოძმანაშვილის გამოსვლას, წინა ტურნირებთან შედარებით პროგრესი თუ ეტყობოდა?**

- სასურველი ფორმისგან ჯერ კიდევ შორსაა, დრო კვლავაც სჭირდება. თავიდან მძიმედ დაიწყო, პირველი ორი შეხვედრა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მერე შედარებით მოყოჩაღდა. სანუგეშოში უფრო უკეთ იჭიდავა, მცირე პროგრესი მართლაც დავინახე, მაგრამ მთლიანობაში მაინც არ ვარ კმაყოფილი. იქნებ მე ვარ კრიტიკული და ამიტომ ვამბობ, მცირე პროგრესი-მეთქი. მით უფრო, სანუგეშოში ოლიმპიადის ყაზახ ვიცე-ჩემპიონ თეიმურაზ თიგიევსა და სომეხ ევროპის ვიცე-ჩემპიონ რუსლან ბასიევს იოლად, დამაჯერებლად მოუგო. ბასიევს როგორც პატარა ბავშვს, ისე აჯობა, მაგრამ მინიმალური სხვაობით და შეეძლო, უფრო მეტი გაეკეთებინა, უფრო დიდი სხვაობით დაემარცხებინა. ამიტომ ვამბობ ასე.

**- თიგიევსაც იოლად მოუგო? როგორც ვიცით, წილისყრაში გაუმართლა.**

- ვერ ვიტყვი, რომ იოლად მოუგო, მაგრამ ყველანაირად სჯობდა. იგრძნობოდა, რომ მოძმანაშვილი ყველაფერში აღემატებოდა, ყველა ასპექტში. თიგიევმა რაც გააკეთა, ორივე პერიოდი 0:0-მდე მიიყვანა. პირველში ფეხში ის შევიდა, მაგრამ დათოსს არ გასჭირვებია ქულის აღება. მეორეში უფრო მოძმანაშვილი აქტიურობდა, თიგიევი კი ისევ მაქსიმალურად იკავებდა თავს, ოღონდ ამჯერად მონეტა ჩვენიანს დაუჯდა და კიდეც გადაიყვანა. ყველაფრიდან იგრძნობოდა, რომ თიგიევს მოძმანაშვილთან შანსი არ ჰქონდა.

**- თუმცა იმხელა გაცდენის შემდეგ სპორტში დაბრუნება რთული პროცესია, რაც ასე უცებ, ერთბაშად არ ხდება. მთავარია, ტურნირიდან ტურნირამდე იყოს პროგრესი.**

- ცხადია, ერთბაშად არ იქნება, წინსვლა კი ნამდვილად იყო. უბრალოდ, თავიდან გაუჭირდა დაწყება.

**- რატომ, გაუჭირდა ტურნირისთვის განწყობა?**

- ცოტა მართლაც გაუჭირდა გახსნა. პირველ შეხვედრაში ოს მეტოქესთან პირველი პერიოდი 0:0 დაამთავრა, მეორეში კი ორჯერ გაუკეთა ქულა. მერე აზერბაიჯანელ ტოხტარ ტემრეზოვთანაც ვერ განეწყო, ვერ გაიხსნა. არადა, ყველაფრით აღემატებოდა მას. აქ ორივე პერიოდში მეტოქეს დაუჯდა მონეტა და ასე წააგო მოძმანაშვილმა.

**- ფიზიკურად ხომ არ გაუჭირდა, გაუძლო დატვირთვას?**

- გაუძლო, არ დაღლილა. მეტსაც გეტყვით - თიგიევს და ბასიევს 15-წუთიანი ინტერვალით შეხვდა და ამ მხრივ ორივესთან კარგად გამოიყურებოდა, თავისუფლად იდგა ლეიბზე.

**- თქვენ როგორ ატყობთ, რამდენი ხანი დასჭირდება ფორმაში შესასვლელად, მოასწრებს ამას მსოფლიომდე?**

- ჯერ რასაც ვუყურე, ვერ ვგრძნობ, რომ მალე შეძლებს ამას. ახლა ყველაზე მეტად ბალავაძის ტურნირი მაინტერესებს. როგორც ვიცით, არ იქნება ცუდი შეჯიბრება, ამ წონაში რამდენიმე კარგი ფალავანი ჩამოდის - თურქეთიდან ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალისტი ფატიჰ ჩაკიროღლუ იქნება, აზერბაიჯანიდან გვეწვევიან კარგი ფალავნები და მაინტერესებს მათთან შეხვედრები. მაგრამ ჯერ ვერ ვამბობ, გადალახავს თუ არა ამ მომენტს მსოფლიოს პირველობამდე. შეიძლება, ექვსი-შვიდი თვე კიდევ დასჭირდეს, თუმცა ბალავაძის ტურნირი ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს.

**- მახაჩყალაში გიორგი ნიკურაძეც ჭიდაბდა. მის გამოსვლაზე რას იტყვით?**

- გიორგი პირველივე შეხვედრაში თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა მასპინძელ რამაზან მაგომედოვთან - ორივე პერიოდი წილისყრით წააგო. სამწუხაროდ, მერე მაგომედოვი ბასიევთან დამარცხდა და ნიკურაძე სანუგეშოში ვერ გადაერთო.

**- ბალავაძის ტურნირის გარდა, სად შეიძლება კიდევ ველოდოთ მოძმანაშვილის გამოსვლას?**

- დაგეგმილია, რომ ბალავაძის ტურნირის შემდეგ მოჭიდავეთა ნაწილი 16-18 ივლისს ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში იჭიდავებს, ნაწილი კი ესპანეთში წავა ტურნირზე. მოგეხსენებათ, ბაქოში გამოსვლა კვოტირებულია და იქ ყველა ვერ მოხვდება. ვინც იქ ჭიდაობის უფლებას ვერ მოიპოვებს, ისინი მადრიდში წავლენ. ამდენად, ბალავაძის ტურნირის მერე ვიტყვით გადაჭრით, ვინ სად იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვა სოკი-დან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგმა** დაბადებიდან 72 წელი მიულოცა სეოკის საპატიო პრეზიდენტს **ჯანო ბაგრატიონს**. „მსურს ვისარგებლო შემთხვევით და გისურვოთ თქვენ და სეოკ-ის პრეზიდენტს, ბატონ **გია ნაცვლიშვილს** დიდი წარმატება ქართველ სპორსტმენთა მზადების საქმეში მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის," — ნათქვამია მილოცვაში.

## მილოცვა



საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან საიუბილეო 80 წელს ულოცავს წარსულში ცნობილი მძლეოსანს და სპორტის ღვაწლმოსილ მოღვაწეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **რევაზ ტრაპაიძეს**.

ტყვიის სროლა

მსოფლიოს თასი

# ქადაგიძე რეკორდთან ახლოს

ამერიკულ ფორტ ბენინგში მიმდინარე მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე გუშინ პნევმატური იარაღით სროლაში **ლევან ქადაგიძემაც** იასპარეზა, მაგრამ არცთუ წარმატებულად - 565 ქულით 43-ე ადგილზე გავიდა 56 მონაწილეს შორის.

თუმცა ახალგაზრდა მსროლელის გამოსვლას მთლად კრიტიკულადაც ვერ შევაფასებთ, რადგან ამჯერადაც, ასე ვთქვათ, საკუთარი მაჩვენებლის სიახლოვეს ისროლა. მართალია, ვერც მედალი მოიპოვა და ვერც ფინალურ ოქტეტში მოხვდა, მაგრამ მისი სტაბილურობა მაინც სასიამოვნოა. სადღეისოდ ქადაგიძის მთავარ ღირსებად სწორედ ეს თვისებაა მიჩნეული. ის ახლახან გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე და მისგან ჯერ მედლებს თუ დიდ შედეგებს არ ელოდებიან, მისი უფრო უფრო სამომავლოდ ეიმედებათ. სტაბილურობასთან ერთად, ქადაგიძე შიგადაშიგ ცოტ-ცოტას უმატებს კიდეც შედეგებს. ახლანდელი 565 ქულა არაა მისი პირადი რეკორდი - ის 572 ქულაა, რომელიც ამას წინათ საქართველოს ჩემპიონატში დაამყარა, მაგრამ ბოლო ტურნირებში მუდმივად მის სიახლოვეს ტრიალებს. ასეთი სტაბილურობა გვაძლევს იმედს, რომ მალე 570-იან ზღვარსაც გადააბიჯებს. მართალია, მედლების მოპოვების გარანტია არც ეს იქნება, მაგრამ პროგრესს თუ გააგრძელებს, ძალიან კარგი იქნება.

ისე მოხდა, რომ ქადაგიძემ შესარჩევი ეტაპი სუსტად დაიწყო და სუსტადვე დაასრულა, შუაში კი უფრო კარგად ისროლა. პირველ ათსროლიან სერიაში რვიანი არ გაუკეთებია, მაგრამ 93 ქულაზე მეტი ვერ დააგროვა, ბოლო სერიაში კი სამი რვიანი გაარტყა და მხოლოდ 90 ქულა დააგროვა. დარჩენილ ოთხ სერიაში არა უშავდა - ორჯერ 95 და ორჯერაც 96.

ამით ქადაგიძემ დაასრულა ფორტ ბენინგში გამოსვლა, **ნინო სალუქვაძე** კი სპორტული პისტოლეტით 29 მაისს ისვრის.

**ირაკლი თავაძე**

ფარიკაობა

# საერთაშორისო ფედერაცია ქართველებს დაასაჩუქრებს

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად ყოველწლიურად უფროსი ასაკის მუშკეტერებისთვის ოფიციალურ შეჯიბრებებთან ერთად სამი სახის ასპარეზობას აწყობს, ესენია: სატელიტი, მსოფლიოს თასი და გრან-პრი. აზერბაიჯანის დედაქალაქმა სწორედ სატელიტის ტურნირს უმასპინძლა. სარბიელი გერმანელ, რუს, აზერბაიჯანელ და ქართველ ხმლით მოფარიკავე ქალებს დაეთმოთ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ორი მანდილოსანი იცავდა: **თათია აფციაურმა** მეხუთე, **თეოდორა კახიანმა** კი მეშვიდე ადგილი დაიკავეს. ბაქოშივე გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე **ბექა ბაზაძემ** იყოჩაღა. ხმლით ფარიკაობაში მან შვიდი შეხვედრა მოიგო, ნახევარფინალური ორთაბრძოლა კი მასპინძელ **ალიევთან** დათმო და საბოლოოდ მე-3 ადგილს დასჯერდა.

ამჟამად ქართველი მუშკეტერები **გალაქტიონ ჩიქოვანის** ხსოვნის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებიან, რომელსაც 27 მაისიდან ქუთაისი მეთერთმეტედ უმასპინძლებს. პაექრობებში ქართველებთან ერთად ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც ჩაებმებიან. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა ჩემპიონატისთვის საშეჯიბრო გამოცდილების მიღებას ემსახურება. ეს ასპარეზობა ლაიპციგში ივლისის მიწურულსაა დანიშნული. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **მერაბ ბაზაძის** ინფორმაციით, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია სწორედ ამ ტურნირზე ქართულ მხარეს უსასყიდლოდ 7200 ევროს ღირებულების ფორმასა და ინვენტარს გადასცემს.

**ვაჟა დანელია**

ძალოსნობა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სინგაპურში ერთი საგზურით

## კუზილოვი დასაჯეს

საქართველოს ჭაბუკმა ძალოსნებმა ვალენსიაში 17-წლამდელთა ევროპის პირველობაზე, როგორც ვწერდით, ოქროს ერთი და ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვეს, ქულებით 27 ქვეყანას შორის მერვე ადგილი დაიკავს და გუნდმა სინგაპურის მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშების ერთი საგზურიც დაიმსახურა.

გამარჯვებულსა და პრიზიორებს გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეხვედრა მოუწყვეს. ჭაბუკებს წარმატება მიულოცეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძემ**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ირაკლი სამყურაშვილმა**, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ**.

„ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მაქსიმუმი გააკეთეს, - გვითხრა რამაზ გურგენიძემ, - 56 კილოში შოთა მიშველიძე შარშან მსგავს შეჯიბრებაზე მე-11 იყო, ამჯერად კი ბრინჯაო ერგო. იგი 1994 წელსაა დაბადებული და დარწმუნებული ვარ, გაისად ოქროს მედლისთვის იბრძოლებს. 94 კილოში შესანიშნავად იასპარეზა ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ვილიამინ ალექსიძემ. აკვრაში მეორე ცდისას მან 177-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, წონაც დააფიქსირა, მაგრამ სიხარულის გამო, წესისამებრ, დაშვებისას შტანგას ხელი არ დააყოლა, რის გამოც ცდა არ ჩაუთვალეს. იძულებული გავხდით, ბოლო მისვლისას 181 კილო შეგვეკვეთა. ცხადია, ეს რისკი იყო, რადგან პირად რეკორდზე ერთბაშად 6 კილოთი მეტი წონა უნდა დაეძლია. ვილის საამისოდ ძალაც ეყო და ქართული ჟინიც. აკვრაში ოქრო ერგო, ორჭიდში კი ბრინჯაო დაიმსახურა. რაც შეეხება ლაშა ტალახაძეს, მას თავიდანვე ოქროს ვუგეგმავდით იმედებიც გაგვიმართლა - როგორც ორჭიდში, ისე ცალკეულ მოძრაობებში პირველი ადგილები დაიკავა. სინგაპურში ახალგაზრდების ოლიმპიურ თამაშებზეც იგი გაემგზავრება".

გიორგი ასანიძე: - ჭაბუკების წარმატებამ უსაზღვროდ გაგვახარა, თუნდაც იმიტომ, რომ დავრწმუნდით, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება. უფროსი თაობის ერთბაშად რამდენიმე წარმომადგენელმა დატოვა სარბიელი, ახლების მომზადებას კი დრო სჭირდება. სწორედ, თანატოლებთან პაექრობაში უნდა დაოსტატდნენ ის ბიჭები, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე გვასახელებენ. მიშველიძისა და ალექსიძის მიღწევები, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მძიმეწონოსანი ტალახაძის გამარჯვება. იგი ევროპის პირველობის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს.

**- თქვენ ეროვნული ნაკრები ახსენეთ. როგორც შევიტყვეთ, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორ ალბერტ კუზილოვს დოპინგის გამოყენების გამო დისკვალიფიკაცია მისცეს და მედალიც ჩამოართვეს...**

- ეს სამწუხრო ფაქტია, რადგან კუზილოვი, სულ მცირე, ორი წლით მაინც გამოგვაკლდება და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში ვერ იასპარეზებს, არადა, მედლის რეალური კანდიდატი იყო. არ მინდა, ვინმეს ბრალი დავდო, მაგრამ ყველამ იცის, რომ კუზილოვი ორთვენახევარი რუსეთის ნაკრებთან ერთად ემზადებოდა უშუალო კონკურენტების გვერდით... ჩვენთან ვარჯიშისას, სხვა ძალოსნების დარად, მუდმივი კონტროლის ქვეშ იყო და გაუთვალისწინებელი რამ გამორიცხულია. ყოველივეს მიუხედავად, წლეულს ანტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულების მოგროვება შეუძლია, რასაც მომავალი წლის მონაგარიც დაემატება და დარწმუნებული ვარ, ლონდონში 2-3 ძალოსნით მაინც გავემგზავრებით. მერე კი ვნახოთ: პერსპექტიული ახალგაზრდები მოდიან, მათი იმედი გვაქვს.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიური ფესტივალი 2015



# მხარდამჭერი აქციები გრძელდება

„ევროპულ ოლიმპიურ ოჯახს უნდა დავუმტკიცოთ, რომ თბილისს აქვს უდიდესი სურვილი და ჯანსაღი ამბიცია, რათა ღირსეულად უმასპინძლოს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ამისთვის მხოლოდ სპორტული სტრუქტურებისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის ძალისხმევა საკმარისი არ არის – ამ კეთილშობილური და მნიშვნელოვანი საქმის დადებითად გადაწყვეტაში სპორტსმენები და მოსახლეობაც აქტიურად უნდა ჩაერთონ," - აღნიშნა სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** დღეს „თბილისი 2015"-ის მხარდასაჭერ ღონისძიებაზე, რომელიც ამჯერად მძლეოსნობაში გაიმართა.

ქართველმა მძლეოსნებმა, ასევე, ოლიმპიურმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა **ირაკლი ცირეკიძემ, რამაზ ნოზაძემ, ზაზა კედელაშვილმა, გიორგი გოგშელიძემ, ლაშა გუჯეჯიანმა, ოთარ თუშიშვილმა** და სხვებმა გია ნაცვლიშვილთან ერთად სიმბოლურად რიყეზე ახალგახსნილი ხიდი გადაირბინეს და შარდენის გავლით კალაუბანში ავიდნენ, სადაც სპეციალურ სტენდზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურეს სურვილი და მზადყოფნა, რომ თბილისმა უმასპინძლოს ოლიმპიურ ფესტივალს.

მომდევნო მხარდამჭერი აქცია 28 მაისს ფრენბურთში გაიმართება და მასში მონაწილეობას საქართველოს პირველი ლედი **სანდრა რულოვსი** მიიღებს.

**სეოკ-ის პრეს-სამსახური**

# აიამ მძიმედ მოიგო, მაგრამ გალიდერდა

25.05. თბილისი

| | |
|---|---|
| აკადემია | 14 |
| აია | 18 |

აკადემია (15-9) ელიზბარაშვილი, ი.დავითაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, გოგინაშვილი, ავლოხაშვილი (ლომსაძე 70), ქოპილაშვილი (1-8) ლამბაშიძე, მეკოკიშვილი, შაშიაშვილი (ჭუაძე 45), ნებულიშვილი, ლომიძე, ნიბლაძე, მალლაკელიძე (ჩაჩუა 57), გაჩეჩილაძე

*ლ: ი.დავითაშვილი. 2ს: მეკოკიშვილი. ა: ელიზბარაშვილი*

აია (15-9) სინაურიძე, ვ.შალამბერიძე (გოშაძე 67), ჩხიკვაძე, აშვეთია, ხამაშურიძე, შარვაშიძე. (1-8) ნარიაშვილი, სხულუხია, ლომიძე, იობიძე, გურეშიძე, დიაკონიძე (ცირეკიძე 75), გ.შალამბერიძე, ძაგნიძე

*2ლ: სინაურიძე, ჩხიკვაძე. 2ს,გ: შარვაშიძე*

სინბინი: გურეშიძე

მსაჯი: მ. ჩაჩუა

ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე ქუთაისის „აიამ" მესამე ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში თბილისის „აკადემიასთან" კიდევ ერთი უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა, გაჭირვებით მოიგო 18:14 და სატურნირო ცხრილში ლიდერობა დაიბრუნა.

ძნელი სათქმელია, ტრიუმფალურმა სტარტმა იმოქმედა თუ სხვა რამე მიზეზია, მაგრამ „აიამ" თამაშის ხარისხს უკლო. სტუმრებს ხშირი ტექნიკური წუნი ხელს უშლიდა ხელდახელ ბურთაობაში. ქუთათურები სწრაფად თამაშს ცდილობდნენ, სიჩქარესა და ფაცი-ფუცში კი ბურთი ხელიდან უვარდებოდათ.

წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც „აიამ" მიმდინარე ჩემპიონატში პირველად წააგო, მნიშვნელოვნად გამოსწორებული იყო დერეფანში თამაში. ისევ გაუმრუდდა სამიზნე ქუთაისელთა დამრტყმელ **გაგა სინაურიძეს**, რომელიც მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ფულბეკად გაამწესა, თვითონ კი გარემარბის პოზიცია დაიკავა.

„აიას" შემადგენლობაში კიდევ ორი ცვლილება იყო. ცხრა ნომერზე **გიორგი როხვაძის** ნაცვლად **ლევან გოგიამ** დაიკავა ძირითადში ადგილი. გარემარბი **ზურაბ გოგლიჩიძე** კი **ვილენ შალამბერიძემ** შეცვალა.

თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა „აკადემიამ", რომელმაც სტარტზე განცდილი სამი მარცხის შემდეგ ბოლო ორი შეხვედრა მოიგო და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. აკადემიელთათვის „აიასთან" მატჩს, უწინარესად, სწორედ სატურნირო თვალსაზრისით ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა.

ამიტომ „აკადემიამ" თამაში მეტოქეზე ბევრად აქტიურად, შემართებით დაიწყო და უკვე მეორე წუთზე ლელოს გატანა მოახერხა. აკადემიელთა ფულბეკმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ქუთაისელთა ნახევარზე მაღალი ბურთი დაკიდა, ზედ ოცდაორმეტრიანი ზონის ხაზთან „აიას" ფულბეკ გაგა სინაურიძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა. თბილისელებმა ხაზი დროულად ასწიეს, ბურთი ხელთ იგდეს და ცხრა ნომერმა **გიორგი ქოპილაშვილმა**, რომელიც „აკადემიას" შემადგენლობაში საუკეთესო იყო, შეტევა მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გადაიტანა. აქ გარემარბმა **ივანე დავითაშვილმა** ბურთი ლელოსკენ ფეხით შეიცურა, თვითონვე მიჰყვა, ქუთაისელთა დაბნეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. გარდასახვა შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** ვერ გაიტანა - 5:0.

ანგარიშის შემცირება სტუმრებს მალევე შეეძლოთ, მაგრამ ორწუთიანი შუალედით სინაურიძემ ჯერ 30 მეტრიდან ვერ გაიტანა, მერე კი, კიდევ უფრო შორიდან, 45 მეტრიდან დაარტყა არაზუსტად.

სამაგიეროდ, მე-15 წუთზე გიორგი ელიზბარაშვილმა 45 მეტრიდან არეკნით დალაშქრა „აიას" კარი - 8:0. ქუთათურებმა მეტოქეზე ზეწოლა ამის შემდეგლა გააძლიერეს, თუმცა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს. მანამდე კი გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს. ქუთაისელთაგან კარში დარტყმის მისია მგეზავმა **ლევან შარვაშიძემ** ითავა, „აკადემიას" კი სამი ქულა მეკოკიშვილმა მოუტანა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე სამი წუთი რჩებოდა. „აიამ" მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფნიდან მოლი ააგორა. აკადემიელებმა მისი შეჩერება ზედ ჩათვლის მოედნის ხაზთან შეძლეს. თამაში რაკში გადავიდა. შეცვლაზე შესულმა ცხრა ნომერმა გიორგი როხვაძემ დროულად შენიშნა მარცხნივ, მოკლე ფრთაზე შეტევაში ჩართული ფულბეკი სინაურიძე, რომელიც ლელოში წამზე უსწრაფესად შეიჭრა. შარვაშიძემ გარდასახვა რთული პოზიციიდან, თითქმის კიდიდან დაარტყა და გაიტანა - 10:11.

მეორე ტაიმი აქტიურად უკვე სტუმრებმა დაიწყეს და 45-ე წუთზე შარვაშიძემ საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები - 13:11. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარჩენილ დროში მან მასპინძელთა კარის დალაშქვრა ორჯერ უშედეგოდ სცადა. ქუთაისელებმა საერთო ჯამში ოთხი საჯარიმო ვერ გაიტანეს, რაც ცოტა სულაც არ არის.

„აკადემიამ" ანგარიში დაწინაურება 61-ე წუთზე შეძლო. საჯარიმო ისევ მეკოკიშვილმა გაიტანა. მანამდე კი ელიზბარაშვილმა ორჯერ დაარტყა არეკნი, მაგრამ მიზანი გაუცუდდა.

ხუთ წუთში კი „აიამ" გამარჯვების ლელო გაიტანა. შეტევა საკმაოდ ხანგრძლივი, მრავალფაზიანი გამოვიდა. აკადემიელები ქუთაისელთა იერიშისას სამჯერ დაჯარიმდნენ. „აიამ" ორჯერ ბურთი აუტში გადაიტანა. დერეფნიდან ორივეჯერ მოლი ააგორეს, ორივეჯერ თამაში რაკში გადავიდა. მორკინალების მიძალებით რომ ვერას გახდნენ, ბურთი ხაზზე გაიტანეს, მაგრამ „აკადემიას" დაცვის ხაზის გაჭრა ვერაფრით მოახერხეს.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ერთ-ერთ ეპიზოდში მასპინძლებმა თამაშგარეს წესი დაარღვიეს. როხვაძემ საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და მარცხნივ, მოკლე ფრთაზე გარემარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს** გადააწოდა. „ქარიშხალას" შეჩერება აკადემიელებმა ველარ შეძლეს. კიდიდან შარვაშიძემ ვერ გარდასახა - 18:14.

ბოლო ათი წუთი „აკადემია" სტუმართა გუნდის ლელოს მისადგომებთან უტევდა - მოლით, რაკიდან მოკლე დარტყმებით, შერკინების მიწოლით, ყველაფერი სცადეს, მაგრამ „აია" საკუთარი ლელოს სადარაჯოზე გაუვალი კედელივით იდგა. როგორც უკვე ვთქვით, ქუთათურებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს - 18:14.

# ლელო-ლოკომოტივი 5:0

25.06. თბილისი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 3 |
| ლელო | 9 |

ლოკომოტივი (15-9) კავთიძე (ქავთარაძე 60), შაშიაშვილი, კობერიძე, ბერძენიშვილი (ხუციშვილი 41), ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ლვინჯილია (1-8) ელოშვილი, გენებაშვილი, ნაცარაშვილი, ჩიტიძე (ოზგებაშვილი 53), გუჯარაიძე, ნიშნიანიძე, ახვლედიანი (ბერიძე 54), მაისურაძე.

*ს: კვინიხიძე*

სინბინი: კობერიძე

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია, მანჯავიძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა (1-8) მირცხულავა, ჭყონია, სუჯაშვილი, აზალაძე, ჯალალონია (ხორბალაძე 45), მძინარიშვილი, სარდანაშვილი, კოლელიშვილი (ჭყოიძე 45)

*2ს,ა: ყიასაშვილი*

სინბინი: მირცხულავა, სუჯაშვილი

მსაჯი: უ.ნარიმანიძე

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, თბილისის „ლოკომოტივმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი ინვნია. ნიშანდობლივია, რომ რკინიგზელებს ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, თბილისის „ლელომ" მოუგო - 9:3.

აღსანიშნავია, რომ „ლელომ" მეტოქეს ზედიზედ მეხუთედ მოუგო. რკინიგზელებმა, შარშანდლისგან განსხვავებით, სეზონი ბევრად უკეთესად დაიწყეს. წინა ტურში კი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და მანამდე დაუმარცხებელ ქუთაისის „აიას" უმძიმეს ბრძოლაში მოუგეს.

„ლოკომოტივი" თავის ხელწერას არ ღალატობს. ისევ მძიმე და მობილური მორკინალების მიძალებით ცდილობს ფონს გასვლას, რაც, ცხადია, ხშირ შემთხვევაში, გამოსდის კიდეც, მაგრამ ეს ხერხი ყოველთვის არ ამართლებს. საკმარისია, ლოკომოტიველების შერკინებას მეტოქემ წინააღმდეგობა გაუწიოს, რომ უმალ პრობლემები ექმნებათ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ლელო", რომელმაც უკვე მოასწრო ორი მატჩის წაგება, სათამაშოდ მაქსიმალურად მობილიზებული, კარგად ორგანიზებული და ბოლომდე საბრძოლველად შემართული გამოვიდა, თუმცა პირველი ათი წუთი საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში გაატარა.

„ლოკომოტივი", როგორც უკვე ვთქვით, მორკინალებით ცდილობდა მეტოქის შევიწროებას, თუმცა ლელოელებს დაცვაში შეცდომა მხოლოდ მე-9 წუთზე დააშვებინა. რკინიგზელთა მგეზავმა **ბობა კვინხიძემ** ანგარიში საჯარიმოთი გახსნა - 3:0.

ბობამ საჯარიმო მალევე ერთხელაც დაარტყა, მაგრამ ვერ გაიტანა. ამის მერე მას „ლელოს" კარის დალაშქვრა აღარ უცდია. არადა, მეორე ტაიმში ამის საშუალება რამდენჯერმე ჰქონდა, თუმცა ყოველ ჯერზე ბურთი აუტში გადაიტანა და მისი გუნდი დერეფნიდან აგორებული მოლით ცდილობდა ლელოს გატანას.

უჩვეულოდ ბევრი ხარვეზი ჰქონდა კარში დარტყმისას „ლელოს" ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს**. მას სამი საჯარიმო გაუცუდდა. ანგარიში კი მანვე საჯარიმოთი 23-ე წუთზე გაათანაბრა. შვიდ წუთში კი ლელოელთა ხანგრძლივი შეტევა ყიასაშვილმა 45 მეტრიდან გატანილი დიდოსტატური არეკნით დაასრულა - 6:3. ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი ირაკლიმ ერთი საჯარიმოც გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდა - 9:3.

მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. იმ სამი გაცუდებული საჯარიმოდან ორი ყიასაშვილმა მეორე ტაიმში დაარტყა. მანვე მატჩის მე-60 წუთზე ბრწყინვალე შეტევა წამოიწყო, ბურთი მოედნის საკუთარ ნახევარზე, ცენტრთან ახლოს მიიღო, მეტოქის დაცვაში დაუცველი არე შენიშნა, რამდენიმე მოწინააღმდეგეს დაუსხლტა და თითქმის ლელომდე ირბინა. აქ მის წინ კიდევ ერთი ლოკომოტიველი აღიმართა. ირაკლიმ მარცხნივ, მოკლე ფრთაზე მიმყოლ **ალექსანდრე თოდუას** გადააწოდა, მაგრამ ზედმეტად ძლიერად მოუვიდა, რის გამოც თოდუამ ბურთის დაჭერა ვერ შეძლო. „ლოკომოტივი" ლელოს გადაურჩა.

რკინიგზელებს მატჩის გადარჩენის შანსი ბოლო წუთებზე მიეცათ. ისინი თითქმის ხუთი წუთის განმავლობაში ლელოელთა ჩათვლის მოედნიდან სამიოდ მეტრში მორკინალების დარტყმებით ცდილობდნენ წინსვლას, მაგრამ „ლელო" თავდადებით, წესების დაცვით იცავდა თავს.

ერთ ეპიზოდში, როცა თამაშის დრო ამოწურული იყო, ერთ-ერთმა ლოკომოტიველმა რაკში ბურთს ხელი არ გაუშვა და „ლელოს" სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა. მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა და თამაშიც დამთავრდა. „ლოკომოტივმა" წლეულს პირველად წააგო - 3:9

**ხარება-ვისოლი/ყორნები** 18:16

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 7 | 6 | 0 | 1 | +55 | 12 |
| 2. ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | +64 | 10 |
| 3. ლელო | 6 | 4 | 0 | 2 | +86 | 8 |
| 4. ყორნები | 6 | 4 | 0 | 2 | +44 | 8 |
| 5. აკადემია | 6 | 2 | 0 | 4 | -8 | 4 |
| 6. არმაზი | 6 | 2 | 0 | 4 | -45 | 4 |
| 7. ბათუმი XV | 6 | 1 | 0 | 5 | -84 | 2 |
| 8. ხარება | 7 | 1 | 0 | 6 | -115 | 2 |

**გამოტოვებული მატჩები**

**29 მაისი**

არმაზი-ბათუმი XV

**30 მაისი**

ლელო-აკადემია

**3 ივნისი**

ვისოლი/ყორნები-ლოკომოტივი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# სუპერი აგრარულში



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ხავთ, რომ გაახალგაზრდავებულმა „ენერჯიმ“ „აგრარულს“ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია.

„შეიძლება, მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ და ამიტომ პირველ ტაიმში რუსთაველებს 7-8 ქულით ჩამოვრჩით, თუმცა შემდეგ თამაში გამოვასწორეთ და სეზონში მეორე ჯილდო მოვიპოვეთ“, - განაცხადა „აგრარულის“ თავკაცმა **მიხეილ კობეშავიძემ.** შეგახსენებთ, რომ მისმა გუნდმა იანვარში საქართველოს თასიც აღმართა.

სტუდენტები პირველად საწყისი მეოთხედის ბოლო წამებზე დაწინაურდნენ - **ბექა წივწივაძემ** სამქულიანით ტაბლოზე 40:38 დააფიქსირა. მას მერე, ბოლო წუთებამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა.

მეოთხე პერიოდის შუაში გუნდებმა „ყუმბარმტყორცნები“ მოიმარჯვეს და სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს (**აბაიშვილმა,** წივწივაძემ, **ჩაჩიბაიამ**). სირენამდე 2:37 წუთით ადრე შორეული ტყორცნა რუსთაველმა **გიორგი პირველაშვილმა** გამოიყენა, ხოლო ზუსტად ერთ წუთში სტუდენტმა **გიგი ბარბაქაძემ** სამქულიანით სხვაობა 4 ქულამდე გაზარდა - 78:74. დარჩენილ დროში „აგრარულის“ უკანახაზელები წივწივაძე და **მარხვაშვილი** საჯარიმოებს ზუსტად ისროდნენ და მშვიდად მიჰყავდათ მატჩი გამარჯვებამდე, თუმცა ბოლო 20 წამში „ენერჯის“ ორი შეტევა გაეპარათ და სხვაობა ქულამდე შემცირდა (81:80). სირენამდე 4 წამი რჩებოდა, როცა წივწივაძე საჯარიმოს ხაზთან მივიდა და საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 83:80.

ბექა წივწივაძე მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, ხოლო კალათბურთის ფედერაციის ვერსიით სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელი **ზვიად ბაბიაშვილი** გახდა, მწვრთნელი - **მიხეილ ბერუაშვილი.**

**25 მაისი, თბილისი**

**სპორტის სასახლე**

| ენერჯი-აგრარული | 80:83 |
|---|---|

20:14, 18:26, 18:19, 24:24

ენერჯი: მაჭავარიანი, ცეკვავა (18ქ, 6მ, 5ფ), ჩაჩანიძე, აბაიშვილი (5ქ, 3ჩ), დვალიშვილი (13ქ, 10მ, 3დ), არწივიძე (3პ, 3ჩ, 5ფ), ხმელიძე (12ქ, 8მ, 3პ), ჭოჭუა (19ქ, 5მ, 5პ), პირველაშვილი (13ქ, 5მ)

აგრარული: გულისაბედაშვილი (3ქ), ჩაჩიბაია (13ქ, 6მ), წივწივაძე (28ქ, 8მ, 3პ), მარხვაშვილი (9ქ), ტყემელაშვილი (1ქ, 5ფ), ნინიაშვილი (14ქ, 5მ, 5ფ), ათანელიშვილი (6ქ, 12მ), გ. ბარბაქაძე (8ქ, 4პ, 4ჩ), დიდია (1ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე. კომისარი: მ. რატიშვილი

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის მატჩზე მისულებს თვალში გვეცა რუსთავის „ენერჯის“ ორი ლეგიონერის არყოფნა - ამერიკელი **დომონიკ ტილფორდი** ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა, ხოლო კამერუნელი **ჟულივეტ ტუჯანი** (ლეგიონერად მხოლოდ ინსტინქტურად ვახსენეთ - უკვე საქართველოს მოქალაქეა) ტრიბუნაზე იჯდა. მის გვერდით **ანატოლი ბოისას** შენიშნავდით. ისიც სამოქალაქო ფორმაში იყო. იმავე რიგში, ოღონდ ცოტა მოშორებით **კოტე ტულუში** და **ზვიად ბაბიაშვილი** ისხდნენ. ვინლა დარჩა? - იკითხავთ. დარჩა **მიხეილ ჩიტაშვილი**, რომელიც ქვემოქართლელებს სიცხის გამო ვერ დაეხმარა...

ახლა კითხვას ერთი სიტყვა დავამატოთ: „ენერჯიში“ ვინლა დარჩა? გადახედეთ მატჩის ოქმს, მოთამაშეთა გვარებსაც ამოიკითხავთ და იმასაც დაინა-

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

# ქართველთა გაბრწყინება სერია A-ში

## მარკოიშვილის დაბომბვისგან ვირტუსი სანიკიძემ გადაარჩინა

| ვირტუსი-კანტუ | 89:78 |
|---|---|

ვიქტორ სანიკიძე: 32 წუთი, 12 ქულა, 10 მოხსნა, 1 დაფარება

მანუჩარ მარკოიშვილი: 32 წუთი, 23 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი

**სერიას იგებს კანტუ - 2:1**

*„მესამე პერიოდის ბოლოს „ვირტუსის“ ამერიკელმა ლეგიონერმა ანდრე კოლინზმა სამქულიანით ბოლონიელთა უპირატესობა 16 ქულამდე გაზარდა (69:53), სირენამდე 10 წუთით ადრე გამარჯვებულის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ წაგებას არ შეეგუა ქართველი მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ სამქულიანი, მას ორი ქულა მიკოვმა შეაშველა და მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე კანტუელებმა ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს. ერთი ქართველის მონდომების ჩაცხრობა მეორე ქართველმა სცადა - „ვირტუსის“ ფორვარდმა ვიქტორ სანიკიძემ სამქულიანით ტაბლოზე 72:60 დააფიქსირა. მანუჩარ მარკოიშვილი კი არ ცხრებოდა, ორი შეტევა სამქულიანებით დაასრულა და - 68:74. თანამემამულის აქტიურობას სანიკიძემ ისევ სამქულიანით უპასუხა და კანტუელებს დაანახვა, რომ „ვირტუსი“ არაფრის დამთმობი იყო,“* - ეს გახლავთ ფრაგმენტი გამოცემა „ბასკეტნეტში“ გამოქვეყნებული მიმოხილვიდან.

გაზეთმა „ოლრაუნდმა“ მატჩის საკვანძო ეპიზოდად სანიკიძის ორი სამქულიანი დაასახელა.

მონათხრობი ციფრებით უნდა შევავსოთ. მეოთხე პერიოდში ვიქტორმა 9 ქულა (2-დან 2 სამქულიანი), 5 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა, ხოლო მანუჩარმა ბოლო ათ წუთში ყველაზე მეტი, 13 ქულა (4-დან 3 სამქულიანი) ჩაიწერა. ქართველი კალათბურთელების საბოლოო მონაგარის ხილვა ზემოთ შეგიძლიათ.

საინტერესოა მწვრთნელების კომენტარიც. „კანტუს“ თავკაცი **ანდრეა ტრინჩიერი:**

*„შეხვედრა შესანიშნავად დავიწყეთ. პირველ პერიოდში 26:13 დავწინაურდით, მაგრამ შემდეგ ჩავარდნა დაგვეწყო. მეტოქემ მრავალმხრივად ითამაშია - ფარქვეშ შესვლაც გაგვირთულა და სამქულიანებიც უხვად ჩაყარა. გადამწყვეტი ვიქტორ სანიკიძის შორეული ტყორცნები გამოდგა... ჩვენ კი შეტევაში ძალიან გაგვიჭირდა“.*

„ვირტუსის“ მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** მოიბოდიშა:

*„სერიის მეორე მატჩისას გითხარით, რომ ბოლონიურ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ტრავმირებული ანდრე კოლინზი. თუმცა ტყუილი გამომივიდა. ექიმებთან კონსულტაციები გავიარე და ვთხოვე, რომ ამერიკელისთვის მოედანზე გამოსვლის უფლება მოეცათ, რადგან მესამე მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ან უნდა წაგვეგო და ჩემპიონატი დაგვესრულებინა, ან მოგვეგო და მომავალი მატჩების წინ ხასიათი გამოგვეკეთებინა. თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ - წინა შეხვედრისგან განსხვავებით „კანტუს“ ფარქვეშ არაფერი დავუთმეთ“...*

მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდეა. „ქართული გუნდების“ მეოთხე მატჩი ბოლონიაში დღეს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძემ ორმაგი დუბლი შეასრულა

# ბოისამ ფინალში შეაბიჯა

ხორვატიის ჩემპიონატის ნახევარფინალში „ზადარმა“ „ცედევიტას“ 2:1 აჯობა და ფინალურ სერიაში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც „ციბონას“ დაუპირისპირდება.

გადამწყვეტ ნახევარფინალში **ვლადიმერ ბოისას** გუნდმა ცედევიტელები 81:79 დაამარცხა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 22 წუთში ძირითადად გუნდზე ითამაშა: თამაშიდან მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ქულას 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა.

„ზადარს“ შეტევაში **ჰროვე პერიჩი** გაუძღვა, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# მეტრეველის მორიგი ტრიუმფი: 22-დან 21 მოგება!

გუშინ ცნობილი გახდა გრადოს ტურნირის (იტალია, 25 ათასი დოლარი) ბადე, მე-6 ნომრად განთესილი **ანა ტატიშვილი** (152) ჩინელ **ინ-ინ ლუს** (260) შეხვდება, ხოლო მე-7 ნომერ **ოქსანა კალაშნიკოვას** (161) მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული 16 წლის სლოვაკი **იანა ჩეპელოვა** (862) იქნება. ჩვენებურებმა წყვილთა თანრიგში ცალ-ცალკე გადაწყვიტეს თამაში - ოქსანა პოლონელ **მაგდალენა კიშჩინსკას** (163 წყვილებში) შეუამხანაგდა, ეს დუეტი პირველ ნომრად არის განთესილი, ხოლო ტატიშვილისა და ავსტრალიელი **ჯესიკა მურის** (277) წყვილი მე-2 ნომრად განთესეს.

იზმირის საერთაშორისო ტურნირში (თურქეთი, 25 ათასი დოლარი) ერთბაშად ოთხი ქართველია ძირითად ბადეში. **სოფიო შაფათავა** (348) პირველ წრეში შვეიცარიელ **ამრა სადიკოვიჩს** (370) შეხვდება. საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული **ეკა გორგოძე** (518) მე-8 ნომრად განთესილ იტალიელ **ჯულია გატო-მონტიკონეს** (309) ეთამაშება. **სოფიო ქვაცაბაია** (443) ავსტრიელ **ტამირა პაშჩეკს** (314) დაუპირისპირდება, ხოლო **მანანა შაფაქიძე** (387) - გერმანელ **სარა გრონერს** (243), რომელიც მე-2 ნომრად არის განთესილი იზმირში.

დიდებიდან ახალგაზრდულ ასპარეზზე გადავინაცვლოთ, სადაც დიდი ქართველი ჩოგბურთელის შვილიშვილი **ალექსანდრე მეტრეველი** ბრწყინვალედ ასპარეზობს. 16 წლის მეტრეველმა წლეულს ოთხ ტურნირში ითამაშა და აქედან სამი მოიგო, ერთში კი ფინალამდე გააღწია. 22 თამაშიდან ჩვენებურმა 21 მოიგო, ამას დავუმატოთ ერთი ტიტული წყვილთა ბადეშიც. ისრაელში ორი ტურნირის მოგების შემდეგ მან უკრაინულ ტურნირში გააღწია ფინალში, ახლა კი ჩვენებურმა სტამბოლში „ნაზრი ბარი კაპზე“ იყოჩაღა.

ეს შეჯიბრება მე-4 კატეგორიისაა, ასე რომ, ჩვენებურმა პირველად მოიგო მე-4 კატეგორიის ტურნირი (ებრაული ტურნირები მე-5 კატეგორიისა იყო). ქართველი თურქეთში პირველ ნომრად იყო განთესილი, მან საწყის ეტაპებზე ორი მასპინძელი ჩამოიცილა, ჯერ **ონურ კარგინი** - 6:1, 6:3, შემდეგ **სინან ტუნა** - 6:0, 6:0. ყველაზე მეტად ჩვენებურს მერვედფინალში გაუჭირდა, სადაც სამ სეტში დაამარცხა ბულგარელი **დიმიტარ პეტროვი** - 2:6, 6:4, 6:3. მეოთხედფინალში მეტრეველმა პორტუგალიელ **დიოგო როშას** მოუგო - 6:4, 6:3. ნახევარფინალში ქართველი პაკისტანელ **სამირ იფტიხარს** 6:3, 5:1-ს უგებდა, როცა ეს უკანასკნელი დანებდა. ფინალში მეტრეველის წინააღმდეგ 15 წლის პორტუგალიელი ვუნდერკინდი **ფრედერიკო ფერეირა სილვა** დადგა, რომელსაც სამ სეტში აჯობა - 7:5, 2:6, 6:4.

ალექსანრე მეტრეველი უკვე 173-ე პოზიციაზეა 20-წლამდელ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სუმო

# ტოჩინოშინი: ბაშო, რომელმაც რწმენა შემმატა

## შემდეგი შეხვედრა: ნაგოია

2010 წლის ზაფხულის ბაშო უკვე ისტორიის კუთვნილებაა, წლის მესამე სუპერტურნირი, რომელიც სუპერწარმატებული იყო ორი ქართველი სუმოისტისთვის - 22 წლის **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა (8-7), მოუგო ოთხ ოძეკის (!) და მებრძოლი სულის პრიზი დაიმსახურა. ამასთან, მე-2 მაეგაშირამ 99%-ით გაინაღდა კომუსუბის ტიტული, რანგი, რომელიც სუმოს იერარქიაში მეოთხეა და აქამდე მხოლოდ ერთი ქართველი, **კოკაი (ლევან ცაგურია)** ფლობდა ორი ტურნირის განმავლობაში (2006 წელს), 23 წლის ძურიოს პირველმა ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** კი 10-5 ბალანსით დაასრულა ბაშო და უმაღლესი დივიზიონის საგზური მოიპოვა. პირველად ისტორიაში მაკუუჩის დივიზიონში სამი ქართველი იასპარეზებს. ნაცუ ბაშოს ქართული ტრიუმფი კოკაის წარუმატებლობამ ჩაგვიმწარა, რომელმაც პირადი ანტირეკორდი (3-12) გაიმეორა.

შემდეგი ბაშო აიჩის პრეფექტურის გიმნაზიუმში 11-25 ივლისს გაიმართება. ნაგოიას ბაშოსთვის რეიტინგები კი ოფიციალურად 28 ივნისს გამოქვეყნდება, სწორედ იმ დღეს შევიტყობთ, გახდება თუ არა ტოჩინოშინი მეორე ქართველი კომუსუბი. ტურნირის დასრულებისთანავე, ტრადიციულად, შეიკრიბა იოკოძუნას არჩევის კომიტეტი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ასპარეზობას - მან ზედიზედ მეორე ზენშო (ყველა მოგება) მიითვალა და ისე მოიგო იაპონიის იმპერატორის თასი. სამაგიეროდ, კომიტეტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ხუთივე ოძეკი და მათ დიდი მონღოლისთვის კონკურენციის ვერგაწევა დასდო ბრალად. ცალკე განიხილეს ოძეკი **კოტომიცუკის** საკითხი, რომელიც სერიოზულ სკანდალში გაეხვია. როგორც ამბობენ, პრინცესა **აიკოს** საყვარელი რიკიში იატაკქვეშა ტოტალიზატორის ხშირი სტუმარი ყოფილა, სადაც ის ფსონებს ბეისბოლის მატჩებზე ჩადიოდა. კომიტეტმა გამოძიების დასრულებამდე გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავა.

გუშინ ბულგარელმა ოძეკი **კოტოოშუმ** მუხლის ართროსკოპიული ოპერაცია გაიკეთა. **ჰარუმაფუჯისთან** ბრძოლის წინ კოტოოშუმ მუხლის საშინელი ტკივილი იგრძნო და სასწრაფოდ საოპერაციო შეიქნა. 203 სანტიმეტრი სიმაღლის სუმოისტმა ნემსების წყალობით შეძლო ჰაკუჰოსთან და **კაიოსთან** ბრძოლა. ექიმები მიიჩნევენ, რომ კოტოოშუს 4 კვირა ეყოფა გამოსაჯანმრთელებლად და მას ივლისის ბაშოს გამოტოვება არ ემუქრება. ოპერაციის გამო კოტოოშუ სამშობლოში ვერ გაემგზავრა, სადაც მას სამოყვარულო სუმოს ევროპის ჩემპიონატი უნდა გაეხსნა, რომელიც დღეს იწყება.

მებრძოლი სულის პრიზის მიღებისას ლევან გორგაძემ შემდეგი განაცხადა: *„ძალზე ბედნიერი ვარ. პრიზს ნამდვილად არ ველოდი. ვიცი, რომ ოძეკების დამარცხება დამიფასეს. ეს ის ტურნირია, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა შემმატა. უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუკი ბრძოლისას ჰიდარიუვატეს დგომს მივაღწევ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლია, ეს რწმენა სამომავლოდ ერთობ წამადგება. ჩემი ოცნება სრულდება - სენიაკუს რანგში შევაბიჯე. თუ ჩემს მარჯვენა მხარს ბოლომდე მოვირჩენ, კიდევ უფრო ძლიერი რიკიში გავხდები“.*

ტოჩინოშინისთვის ნაცუ ბაშო ფინანსური კუთხითაც წარმატებული გამოდგა - მან მებრძოლი სულის პრიზის სანაცვლოდ 2 მილიონი იენი მიიღო, ხოლო ინდივიდუალურ ორთაბრძოლებში დაწესებული ჰონორარი 900 ათასი იენი მიითვალა. ჯამში 2,9 მლნ. იენი დაახლოებით 30 ათას დოლარამდეა. სუმოს სამყაროში ფინანსურ დეტალებს, როგორც წესი, ოფიციალურად არ ახმაურებენ, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, რიგითი მაეგაშირას ხელფასი 14 ათასი დოლარია, კომუსუბის კი - 18 ათასი. ასე რომ, ტოჩინოშინმა 4 ათასით გაიზარდა ხელფასი.

დავუბრუნდეთ ევროპის ჩემპიონატს, რომელიც 28 მაისის ჩათვლით ვარნაში გაიმართება. დიდების გარდა ასპარეზობენ ახალგაზრდებიც. სულ 26 მონაწილე ქვეყანაა, მათ შორის საქართველოც...

ლევან გორგაძემ დაასრულა კარიერის 26-ე ბაშო. მას დოჰიოზე 171 მოგება აქვს და 123 მარცხი. მაკუუჩის დივიზიონში ლევანმა 96 ორთაბრძოლა მოიგო და 99 წააგო. ლევან ცაგურიასთვის ნაცუ ბაშო კარიერაში 55-ე იყო. კარიერაში მან 376 ორთაბრძოლა მოიგო და 346 წააგო, უმაღლეს დივიზიონში მისი ბალანსია - 279:306. გაგამარუმ 28 ბაშოზე 138 ორთაბრძოლა მოიგო და 83 წააგო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — NBA პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# სასწაული ხდება



„ბოსტონთან“ ზედიზედ სამი ნაგების შემდეგ „ორლანდომ“, როგორც იქნა, გამარჯვებას მიაღწია და საკუთარ თავს ღირსება, სერიას კი ინტრიგა დაუბრუნა.

*„მართალია, აქამდე NBA-ში 0:3-ის შემდეგ სერია არც ერთ გუნდს არ მოუგია, მაგრამ მე მჯერა, რომ ადრე თუ გვიან ასეთი კლუბი მოიძებნება. ერთი რამ კარგად ვიცი - მსგავსი გმირობა მეოთხე შეხვედრის მოგებით უნდა დაიწყო“*, - განაცხადა „მეჯიქის“ დამრიგებელმა **სტენ ვან განდიმ**.

ასეთი ფიქრებით შეხვდა „ორლანდო“ მეოთხე შეხვედრას. „ჯადოქრებს“ დასაკარგი არაფერი აქვთ, ამიტომაც შეეცდებიან ისტორიაში სამუდამოდ შესვლას. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა - ფლორიდელებმა დაძაბულ ბრძოლაში, ძალების უდიდესი დაძაბვით შეძლეს სერიაში ანგარიშის გაქვითვა.

შეწყდა „ბოსტონის“ ექვსმატჩიანი მოგებათა სერია, რომელიც „კლივლენდთან“ სერიაში დაიწყო. გუშინდელმა მატჩმა წარმოაჩინა „სელტიქსის“ პრობლემები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეგულარულ ჩემპიონატში. მასპინძლებს მატჩის ბოლოს სისწრაფეში დააკლდათ და ერთი ერთზე ორთაბრძოლებშიც იბნეოდნენ. მეორე ნახევარში მათ მხოლოდ 39 ქულა დააგროვეს, ოვერტაიმში - ექვსი.

„ბოსტონის“ თამაშზე უარყოფითი გავლენა იქონია **რაშიდ უოლასმა**. მან შორიდან ოთხჯერ ისროლა და ვერც ერთი ვერ ჩააგდო, აგრეთვე ბოლო მეოთხედში არასასურველი ტექნიკური ჯარიმაც მიიღო. საერთოდ, სამქულიანების მხრივ მთელ „ბოსტონს“ პრობლემა ჰქონდა. ამ მხრივ მხოლოდ **რეი ალენი** გამოირჩა, დანარჩენებმა კი ჯამში 11 შორეული ტყორცნა აცილეს. ამას დაემატა სათადარიგოების ცუდი თამაში. მხოლოდ **გლენ დევისმა** იმოქმედა მეტ-ნაკლებად სასარგებლოდ (26 წუთში ექვსი ქულა, შვიდი მოხსნა, ორი დაფარება და ორი ჩაჭრა). უოლასი, **ტონი ალენი, ფინლი** და **რობინსონი** საერთოდ ვერ ჩასხდნენ რიტმში.

დაბოლოს, **პოლ პირსი**, მიუხედავად იმისა, რომ 32 ქულა დააგროვა, ზედმეტს იღებდა თავის თავზე. ESPN-ის დათვლით, მატჩის მიწურულს მან ზედიზედ რვა ტყორცნა აცილა საშუალო და შორი მანძილებიდან. გარდა ამისა, ძირითად დროში 86:86-ზე სწორედ პოლმა გააფუჭა ბოლო შეტევა. იმის ნაცვლად, რომ მწვრთნელის მიერ შემუშავებულ კომბინაციას მიჰყოლოდა, მარტომ შეუტია და ბურთი დაკარგა.

*„ბოლო შეტევაზე ზუსტი გეგმა გვქონდა შემუშავებული“*, - განაცხადა „ბოსტონის“ დამრიგებელმა **დოკ რივერსმა**. *- რეი ალენმა ბლოკი დაუყენა პირსს და შემდეგ გაიხსნა. შედეგად რა მივიღეთ? პოლი ბურთს ათამაშებდა, დანარჩენები იდგნენ და მას უყურებდნენ“.*

არადა, ყველა პრობლემის მიუხედავად ,“სელტიქსს“ გამარჯვებისთვის კარგი შანსები ჰქონდა. მასპინძლებმა მეტოქის ყველა მოთამაშის შეჩერება შეძლეს **დუაიტ ჰოვარდისა** და **ჯამირ ნელსონის** გარდა. „ორლანდოს“ რიგებში კიდევ **ჯეი ჯეი რედიკის** გამოყოფა შეიძლება, რომელმაც მნიშვნელოვანი სამქულიანები ჩააგდო. მთლიანად ჩააგდო შეხვედრა **ვინს კარტერმა**. ვინსენტიმ ცხრიდან მხოლოდ ერთი ზუსტი ტყორცნა შეასრულა და პერსონალური უფრო მეტი დააგროვა, ვიდრე ქულა. პრინციპში, ნელსონს ორი დაუჯერებელი ტყორცნა რომ არ ჩაეგდო ოვერტაიმში, მასპინძლები ნაადრევად მოახერხებდნენ სერიის დასრულებას.

მეორე მხრივ, „ორლანდოს“ შეეძლო თავიდან აეცილებინა ოვერტაიმი. ბოლო მეოთხედში 2 წუთითა და 24 წამით ადრე ჰოვარდმა ბურთი ჩატენა და თან ჯარიმის უფლება მოიპოვა - 85:78. „ბოსტონმა“ ამას 8:1 გაქცევით უპასუხა, მაგრამ ვერ გამოიყენა ერთი სროლით მოგების შანსი (რაზეც ზემოთ გელაპარაკეთ).

ნახევარი ოვერტაიმი გუნდები ვერაფრით ახერხებდნენ ერთმანეთის ფარის ალებას, სანამ ნელსონს არ წაუვიდა თამაში. მცველმა ორჯერ **რაჟონ რონდოს** მეურვეობისას ჩააგდო - 92:86. ამის შემდეგ, „კელტებს“ ალენის სამქულიანებმაც ვერ უშველეს.

**ბოსტონი-ორლანდო 92:96 (ო)**

**26:31, 21:20, 21:16, 18:19, 6:10**

ბ: პირსი (32+11 მოხსნა), რ. ალენი (22), გარნეტი (14+12 მოხსნა), რონდო (9+8 პასი+3 ჩაჭრა), დევისი (6+7 მოხსნა), რ. უოლასი (4), პერკინსი (3), ტ. ალენი (2), დენიელსი, ფინლი, რობინსონი.

ო: ჰოვარდი (32+16 მოხსნა+4 დაფარება), ნელსონი (23+9 პასი+5 მოხსნა), ლუისი (13+5 მოხსნა), რედიკი (12), ბარნსი (10+7 მოხსნა), კარტერი (3), ბასი (3), ჯ. უილიამსი, პიეტრუსი, გორტატი.

**სერია: 3:1**

# ბელოსტენი გარდაიცვალა

გერმანიაში 52 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა და უკრაინული კალათბურთის ლეგენდა **ალექსანდრ ბელოსტენი**, რომელმაც 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა. ბელოსტენის სიკვდილის შესახებ ცნობა გუშინ გავრცელდა, თუმცა კალათბურთელი ორშაბათს გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზად ფილტვის კიბო დასახელდა.

ბოლოსტენი 1959 წლის 24 თებერვალს ქალაქ ოდესაში დაიბადა. ის ცენტრის პოზიციაზე თამაშობდა და კარიერის დიდი ნაწილი კიევის „სტროიტელში“ გაატარა. გარდა ამისა, კალათბურთელი მოსკოვის ცსკა-ში, ესპანეთის „სარაგოსასა“ და გერმანიის ტფგ-ში თამაშობდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში კალათბურთელმა ორი ოლიმპიური მედალი მოიპოვა. სეულის ოქროს გარდა, 1980 წელს მოსკოვში ბრინჯაოს მედალი აიღო. გარდა ამისა, ბელოსტენი 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ის აგრეთვე ევროპის სამგზის ჩემპიონი იყო.

ბოლო წლებში ბელოსტენი გერმანიის ქალაქ ტრირში რესტორნის მფლობელი გახლდათ. სწორედ ამ ქალაქში თამაშობდა ის 90-იანი წლების შუაში.



ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| სომხეთი-უზბეკეთი | 3:1 |
| უკრაინა-ლიტვა | 4:0 |
| ნიგერია-ს. არაბეთი | 0:0 |
| საბერძნეთი-ჩრ. კორეა | 2:2 |
| ჩერნოგორია-ალბანეთი | 0:1 |
| ირლანდია-პარაგვაი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ჰამარბიუ | 2:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| ნორჩოპინგი-ერებრო | 0:0 დ.დ. 0:2 |
| იორგრიტე-გეფლე | 0:1 |
| ოსტერი-აიკ | 1:1 დ.დ. 1:3 |
| სუნდსვალი-გაის | 1:1 დ.დ. 1:2 |
| **ისლანდია** | |
| გრანდავიკი-ვალური | 1:2 |
| სელფოსი-სტიარნანი | 2:2 |
| რეიკიავიკი-კეფლავიკი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰლუჩინი-მოსტი | 0:2 |
| ჟლინი-ტრშინეცი | 3:1 |
| **ესტონეთი** | |
| ტრანს ნარვა-ტამეკა | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| მონტეგრანარო-მილანი | 75:81 |
| რომა-კაზერტა | 74:83 |
| **საფრანგეთი** | |
| რონი-ორლეანი | 78:71 |

TV პროგრამა

**26 მაისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
**08:00** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**09:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-მილანი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მილანი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**17:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**18:30** 2:1 - ტოქშოუ
**19:40** ახალი ამბები.
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**21:30** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-მექსიკა.
**23:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ვოლფსბურგი-ცსკა.
**01:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
**03:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
**04:55** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-მონპელიე.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVI ეტაპი. იტალია.
**11:30** ჩოგბურთი. როლან გაროსი. III დღე.
**12:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. IV დღე (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**19:40** ჩოგბურთი. როლან გაროსი. IV დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**23:05** მულტისპორტი.
**23:10** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:15** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:15** გოლფი. ევროპის ტური.
**01:20** გოლფ-კლუბი.
**01:30** აფროსნობა. რეგატა Rolex. აშშ.
**01:55** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**02:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. IV დღე.
**03:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**06:00, 06:30, 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 11:00, 11:30, 13:00, 18:45, 20:00, 21:30, 02:00, 02:30, 03:00, 03:30, 04:00, 04:30, 05:00, 05:30** ახალი ამბები.
**06:15, 06:45, 07:15, 07:45, 08:15, 08:45, 09:15, 09:45, 10:15, 11:15, 11:45, 23:30, 02:15, 02:45, 03:15, 03:45, 04:15, 04:45, 05:15, 05:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**12:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**13:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**14:00** ფეხბურთი. იაპონიის თასი. ჯგუფური ეტაპი. კობე-შიმიცუ (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVI ეტაპი. იტალია.
**16:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი. იტალია (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**19:00** ფეხბურთი. იაპონიის თასი. ჯგუფური ეტაპი. კობე-შიმიცუ.
**20:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**21:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**22:00** პრო-რესტლინგი.
**23:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**00:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**01:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**01:10** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ჩიკაგოს ფილადელფია ერგო



გაირკვა სტენლის თასის მეორე ფინალისტი. „ჩიკაგოს“ მეტოქე ფინალურ სერიაში „ფილადელფია“ იქნება, რომელმაც ხუთი მატჩი იკმარა მიმდინარე პლეი ოფის მთავარ სენსაციასთან - „მონრეალთან“, რომელმაც პირველ ორ წრეში რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ვაშინგტონი“ და სტენლის თასის შარშანდელი მფლობელი „პიტსბურგი“ დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ „ფილადელფია“ პლეი ოფში ბოლო მომენტში გავიდა, როცა რეგულარულის ბოლო მატჩში ბულიტების სერიაში გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ გუნდი ბრწყინვალედ ათამაშდა. „მფრინავებმა“ სწორედ „მონრეალთან“ სერიაში მიაღწიეს პიკს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ „კანადიენსმა“ სამ მატჩში ვერ შეძლო გოლის გატანა.

ამ პლეი ოფის მსვლელობისას „მონრეალი“ ხუთჯერ იდგა გავარდნის პირას და ხუთივეჯერ გადარჩა. **იაროსლავ ჰალაკმა** და კომპანიამ 19 ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა, მაგრამ „ფლაიერზთან“ ყველა რგოლში დამარცხდა. **მაიკ რიჩარდსი, კრის პრონგერი, საიმონ განიე** და **დანიელ ბრიერი** უფრო მაღალი დონის ლიდერები აღმოჩნდნენ და „ფილადელფია“ დამსახურებულად გახდა აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი.

გუშინდელ მატჩში „ფლაიერზმა“ კვლავ წარმატებით ჩაატარა მეორე პერიოდი და გარდამტეხი აღმოჩნდა 80 წამის ინტერვალით გატანილი ორი შაიბა. ანგარიში კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მაგრამ იაროსლავ ჰალაკმა არაერთხელ გადაარჩინა თავისი გუნდი. „მონრეალს“ გადარჩენის შანსი **სკოტ გომესმა** მისცა, რომელმაც მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, თანაც ამას პრონგერის ოთხწუთიანი ჯარიმა მოჰყვა. მაგრამ ფილადელფიელებმა გაუძლეს შტურმს. განსაკუთრებით მოინდომეს ტიმონენმა, ქობურნმა, ბეტსმა და პოუმ - თითომ ხუთი წუთი ითამაშა რიცხობრივ უმცირესობაში. სიმბოლურია, რომ მატჩში და მთლიანად სერიაში წერტილი **ჯეფ კარტერმა** დასვა, რომელიც სულ ახლახან მომჯობინდა ტრავმის შემდეგ.

კარტერის დუბლის მიუხედავად, მატჩის პირველ ვარსკვლავად „ფილადელფიას“ კაპიტანი მაიკ რიჩარდსი გახდა. ის თავის გუნდში პირველი იყო ქულებით (1+2), დარტყმებით (6), სარგებლიანობის კოეფიციენტით (+3), შაიბების ართმევით (2) და ჩაგდებების მოგებით (9). დაუმატეთ ამას 4 წუთი მუშაობა რიცხობრივ უმცირესობაში და თითქმის 23 წუთი ყინულზე. ფინალში რიჩარდსს (21 ქულა 17 მატჩში) მეორე ბრწყინვალე კაპიტანი - „ჩიკაგოს“ ლიდერი ჯონათან ტეუვზი (26 ქულა 16 მატჩში) დაუპირისპირდება.

სეზონის ბოლო სერია აუცილებლად გაახარებს ჰოკეის თაყვანისმცემლებს შემტევი თამაშით, ძალისმიერი ილეთებით, ბევრი გოლითა და პატარა პროვოკაციებით, რომელიც ორივე გუნდს ეხერხება. და კიდევ იქნება დაძაბული ბრძოლა. ცნობისთვის, „ჩიკაგოსა“ და „ფილადელფიას“ ბოლო მატჩი რეგულარულ ჩემპიონატში შესანიშნავი გამოვიდა: კრის პრონგერმა საფინალო სირენამდე ორი წამით ადრე გაიტანა შაიბა და 3:2 „ფლაიერზმა“ გაიმარჯვა.

**ფილადელფია-მონრეალი 4:2**

**1:1, 2:0, 1:1**

გოლები: 0:1 ჯონტა-9 (გომესი-12, ჰამრლიკი-9), 1:1 მ. რიჩარდსი-6 (ჟირუ-9), 2:1 ეშემი-3 (მ. კარლი-10), 3:1 ჯ. კარტერი-3 (მ. რიჩარდსი-14, ტიმონენი-8), 3:2 გომესი-2 (სუბანი-7, ჯონტა-6), 4:2 ჯ. კარტერი-4 (მ. რიჩარდსი-15).

**სერია: 4:1**

**ფინალის კალენდარი**

**29 მაისი. ჩიკაგო-ფილადელია**
**31 მაისი. ჩიკაგო-ფილადელია**
**2 ივნისი. ფილადელია-ჩიკაგო**
**4 ივნისი. ფილადელია-ჩიკაგო**
**6 ივნისი. ჩიკაგო-ფილადელია**
**9 ივნისი. ფილადელია-ჩიკაგო**
**11 ივნისი. ჩიკაგო-ფილადელია**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# მე დავბრუნდი!



როლან გაროსზე დღეს მეორე წრე იწყება, პირველი ეტაპი კი გუშინ დიდი სენსაციით დასრულდა - ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, საფრანგეთის ღიას შარშანდელი ფინალისტი **დინარა საფინა**. 24 წლის რუსს ქალთა ტურის ყველაზე ასაკოვანმა ჩოგბურთელმა, 39 წლის **კიმიკო დატემ** მოუგო.

იაპონელი 2008 წელს, 12-წლიანი (!) პაუზის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სპორტს. ის გუშინ **ვირჯინია უეიდის** შემდეგ მეორე ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი გახდა, ვინც როლან გაროსის კორტებზე მატჩის მოგება შეძლო.

დატემ 1996 წლის შემდეგ პირველად ითამაშა საფრანგეთის ღია პირველობაზე. მას ამ ტურნირზე დებიუტი 1989 წელს ჰქონდა, როცა მისი გუშინდელი მეტოქე სამი (!) წლის იყო.

შეხვედრა 2 საათსა და 34 წუთს გაგრძელდა. იაპონელი ასაკის მიუხედავად მთელი მატჩი ძალიან აქტიური იყო. ამან მას 38 „ვინერსი" (აქტიური მოქმედებით აღებული ქულა) და 63 უნებლიე შეცდომა მოუტანა. ყველაზე დრამატულად მოვლენები მესამე სეტში განვითარდა, რომელშიც საფინას თითქოს განაღდებული ჰქონდა გამარჯვება - რუსი 4:1 იყო დაწინაურებული, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ კომფორტული უპირატესობა გაანიავა და პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ ზურგის ტრავმის მკურნალობის შემდეგ, დინარამ მესამე ტურნირი ითამაშა და ზედიზედ მესამედ წააგო სასტარტო შეხვედრა.

გამარჯვებით დაბრუნდა თავის საყვარელ ტურნირზე ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს პირველ წრეში საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავდა - ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა**, რომელმაც წინა კვირას ვარშავის ტურნირზე ორ სეტში მოუგო რუს **ელენა დემენტიევას**.

ანენს 2007 წლის შემდეგ არ უთამაშია როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე. მაშინ მან მეოთხედ მოიგო საფრანგეთის ღია და ახლა სამწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა პარიზულ არენაზე.

ბელგიელს ერთადერთი რთული მომენტი ჰქონდა მატჩში. მეორე სეტის ერთ მონაკვეთში მან მოადუნა თამაში და პირონკოვამ ზედიზედ სამი გეიმის მოგებით წინ გასვლა მოახერხა - 3:2. ჟუსტინი დროზე გამოერკვა, ზედიზედ ათი ქულა აიღო, ისევ დაანესა თამაშზე კონტროლი და გეიმი აღარ დაუთმო მეტოქეს.

ამ გამარჯვებით ჟუსტინ ანენმა ზედიზედ 22 მატჩამდე აიყვანა როლან გაროსზე მოგებათა სერია. უფრო მეტი - ბელგიელს საფრანგეთის ღიაზე ზედიზედ 37 სეტი (!) აქვს მოგებული.

*„არ ვიცოდი რა მელოდა კორტზე, როგორ გავუმკლავდებოდი საკუთარ ემოციებს,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ანენმა. - *მაგრამ როგორც კი მატჩი დაიწყო, მაშინვე შევედი თამაშში, ვიგრძენი რიტმი, გამახსენდა ძველი ემოციები. შესანიშნავია ისევ ამ კორტზე თამაში და ფრანგული პუბლიკის წინაშე გამოსვლა. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე დავბრუნდი".*

ქალების პროგრამა რუსმა **მარია შარაპოვამ** დახურა, რომელიც 18 წლის თანამემამულე **ქსენია პერვაკს** ხვდებოდა. მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა პირველ სეტში 1:3-ზე მარიამ ზედიზედ რვა გეიმი მოიგო და მხოლოდ ამის შემდეგ აილო პაუზა, რამაც პერვაკს მეორე პარტიაში ორი გეიმი მოაგებინა. ეს იყო და ეს. საათი და 20 წუთი ბრძოლის შემდეგ - 6:3, 6:2 და მარია მეორე წრეში გააგრძელებს ბრძოლას.

■ ■ ■

დღის ყველაზე დრამატული შეხვედრა ამერიკელ **ენდი როდიკსა** და ფინელ ვეტერან **იარკო ნიემინენს** შორის. ამ მატჩში ენდის ხელაღებით ფავორიტად გამოცხადება არ შეიძლებოდა. შარშან, როლან გაროსზე მეოთხე წრის წაგების შემდეგ, ამერიკელს თიხნარზე არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია და ბუნებრივია, ამან დაღი დაატყო როდიკის თამაშს. თანაც ამას თითქმის ორთვიანი უთამაშებლობაც დაერთო თან - შვიდი კვირის წინ კი ბისკეინის მასტერსის მოგების შემდეგ, ენდი კორტზე აღარ გასულა.

ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ ამერიკელი კინაღამ მეხუთედ გამოეთიშა როლან გაროსს პირველი წრიდან. ენდიმ მთელი ხუთსეტიანი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი გეიმი დათმო საკუთარ მოწოდებაზე და ეს ორი პარტიის წაგებად დაუჯდა. სკანდინაველი სეტებში 2:1 დაწინაურდა, მეოთხე პარტიაში კი ორი ქულა აკლდა მატჩის მოსაგებად. როდიკი მოწოდებამ გადაარჩინა (ჯამში 19 ეისი გააკეთა) და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქედან მოყოლებული, მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა საბოლოოდ მოიპოვა ინიციატივა და სამსაათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ გატეხა ფინელის წინააღმდეგობა.

თითქოს იოლი გასეირნება უნდა ჰქონოდა „თიხნარის მეფეს" **რაფაელ ნადალს** მსოფლიოს 665-ე (!) ჩოგანთან, ფრანგ **ჟანი მინასთან**. მართალია, 18 წლის მასპინძელმა სამივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 2:6 წააგო, მაგრამ გვარიანად აწვალა ესპანელი ჩოგბურთელი. მინამ 2 საათი და 23 წუთი დაახარჯვინა რაფას, ცხრა (!) ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და 28 უნებლიე შეცდომა დააშვებინა მეტოქეს. მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა და როლან გაროსის ოთხგზის ჩემპიონი მეორე წრეში გავიდა. ნადალმა საფრანგეთის ღიაზე 33-ე მატჩი ჩაატარა და 32-ე გამარჯვებას მიაღწია.

კაცებს შორის ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო **ნალბანდიანისა** და **დელ პოტროს** არყოფნაში არგენტინელთა მთავარი იმედის - **ხუან მონაკოს** მარცხი ნაკლებად ცნობილ სლოვენიელ **გრეგა ჟემლიასთან**, რომელიც 141-ე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში. შეხვედრა ზუსტად სამი საათი გაგრძელდა და მონაკომ მხოლოდ ერთი სეტის მოგება შეძლო.

### I წრე

#### კაცები

**ენდი როდიკი (აშშ, 6)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:2, 4:6, 4:6, 7:5(4), 6:3; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-ედუარდო შვანკი (არგ) 3:6, 6:3, 7:5, 4:0 შვანკის უარი; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-დანიელ კოლერერი (ავსტრია) 6:2, 6:2, 6:1; **გრეგა ჟემლია (სლოვენ)**-ხუან მონაკო (არგ, 26) 7:6(6), 3:6, 7:5, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 22)**-დუდი სელა (ისრ) 7:5, 6:2, 6:4; **ნიკოლას მასუ (საფ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:1, 6:2, 6:4; ქსავიერ მალისე (ბელ)-სიმონ გრეილი (გერ) 6:4, 7:6, 1:1 შეწყდა; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-დავიდ გუეზი (საფ) 6:1, 6:3, 6:1; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:4, 6:3, 6:1; **პერე რიბა (ესპ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:3, 6:2, 7:6(5); **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ილია მარჩენკო (უკრ) 6:7(5), 6:1, 6:3, 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-სემ კუერი (აშშ, 18) 4:6, 7:6(3), 6:4, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:4, 6:2, 6:2; **ფლორან სერა (საფ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:0, 6:1; **ანდრეას სეპი (იტა)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 7:5, 6:4, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 30)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 7:6(7), 6:1, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა 28)**-ჟერემი შარდი (საფ) 7:5, 6:0, 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:5, 7:5, 6:3; **ორასიო სებალიოსი (არგ)**-მარტინ ფიშერი (ავსტრია) 7:6, 6:7, 1:6, 6:4, 8:6; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჟანი მინა (საფ) 6:2, 6:2, 6:2.

#### ქალები

**ჯილ კრეიბასი (აშშ)**-კატი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:0, 4:6, 6:2; **ანასტასია პალიუჩენკოვა (რუს, 29)**-ალიზ კორნე (საფ) 6:4, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 18)**-ნურის ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 6:1, 6:4; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ვანია კინგი (აშშ) 6:2, 6:2; **ოლივია სანჩესი (საფ)**-შენაი პერი (აშშ) 7:6, 6:0; **მარიონ ბარტოლი (საფ, 13)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:2, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 12)**-ქსენია პერვაკი (რუს) 6:3, 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 7:6(3), 4:6, 6:2; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 22)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 25)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 7:5, 6:4; **ანასტასია პივოვაროვა (რუს)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:4, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 23)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:1, 6:1; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 7:6(9), 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 6:0, 6:1; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 16)**-სანდრა ზახვალოვა (ჩეხ) 6:1, 6:1; **კიმიკო დატე (იაპ)**-დინარა საფინა (რუს, 9) 3:6, 6:4, 7:5; **იარმილა გროტი (ავსტრა)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:2, 6:3; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:3, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 21)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:3, 6:1.




ფორმულა 1

# ექლსტოუნი შემცვლელს ამზადებს

## იტალიას ორ რბოლას არ მისცემენ



ფორმულა 1-დან განდევნილი იტალიელი **ფლავიო ბრიატორეს** „დიდ ცირკში" დაბრუნება შეიძლება იმაზე ადრე მოხდეს, ვიდრე ამას ავტოსპორტის სამყაროში ელიან.

როგორც გერმანული პრესა წერს, ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნი** თანდათან აპირებს ფლავიო ბრიატორესთვის თავისი საქმეების გადაბარებას. ბრიტანელ პრომოუტერს საკუთარი ბიზნესის მიტოვება ჯერ არ გადაუწყვეტია, მაგრამ თავისი ვალდებულებების ნაწილი შეიძლება ძველ მეგობარს ანდოს.

ჟურნალისტები წერენ, რომ ფლავიო დაკავებული იქნება სამეფო რბოლების ახალ პარტნიორებთან მოლაპარაკებებით, ექლსტოუნს კი ეტაპების ორგანიზატორებთან, ტრასების პრომოუტერებთან და მაღალი რანგის ჩინოვნიკებთან ექნება საქმე.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციამ და ბრიატორემ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს, რომლის მიხედვითაც ფლავიო ფორმულა 1-თან დაკავშირებულ საქმეებს 2013 წლამდე ვერ დაუბრუნდება.

■ ■ ■

ცოტა ხნის წინ, ბერნი ექლსტოუნმა ოფიციალურად განაცხადა, რომ რეალური გახდა იტალიის დედაქალაქ რომში გრან-პრის ჩატარება, მაგრამ ახალი ეტაპის გამართვას შეიძლება ხელი შეუშალოს იტალიაში უკვე არსებულმა გრან-პრიმ, რომელსაც მონცას ავტოდრომი მასპინძლობს.

იტალიის გრან-პრის გულშემატკივრები შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ ამ ქვეყნის კუთვნილი ეტაპი, შესაძლოა, რომში გადაიტანონ. „ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** განაცხადა, რომ ფორმულა 1 წარმოუდგენელია მონცას რბოლის გარეშე. *„ეს ეტაპი ჩვენი სპორტის წარსული, აწმყო და მომავალია. წარმოუდგენელია იტალიის გრან-პრის რომში გადატანა",* - ამბობს დი მონტეძემოლო „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

თავის მხრივ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან ტოდტმა** აღნიშნა, რომ იტალიაში ორი ეტაპის ორგანიზება ნაკლებად სავარაუდოა, *„სავარაუდოდ, მომავალში შესაძლებელი გახდება იტალიისა და ევროპის გრან-პრის აპენინებზე ჩატარება, მაგრამ ეს საკითხი პრომოუტერების გადასაწყვეტი იქნება",* - მოჰყავს ტოდტის სიტყვები Motosport-ს.

შეგახსენებთ, რომ დღეს ესპანეთი მასპინძლობს ორ ეტაპს - ბარსელონაში ესპანეთის გრან-პრის და ვალენსიაში - ევროპის გრან-პრის. ადრე ასეთი გამოცდილება გერმანიაში არსებობდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**